საქართველოს
იაკობ გოგებაშვილის
სახელობის პედაგოგთა კავშირი

ნუშრების თოვლი

საქართველოს იაკობ
გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირი

მოსწავლეთა შემოქმედება

ნუშების ფოჩლი

2021 წ.

ეს წიგნი, საქართველოს შემოქმედ მოსწავლეთა, ერთი ნაწილის ჭაშნიკია ლიტერატურულ ასპარეზზე, ამიტომაც მკაცრად ნუ განვსჯით საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსის „ნუშების თოვლი“ მონაწილეთა ნაშრომებს. თუმცა, ახლებური ხედვა, ბავშვური უმანკოება, სისპეტაკე... კონკურსის ნიშანსვეტი გახლდათ. დიახ, არცერთი სხვა ასაკი არ დგას ისე ახლოს გენიალობასთან, როგორც ბავშვობა... ახალი თაობა, რაღაც განსაკუთრებული, გამორჩეული თვისებებით არის დაჯილბოებული მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის მიმართ. სწორედ ამ უკანასკნელის თვისებებზე, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარით, წარსულში გადახედვისა და მომავლის რწმენით გამოიცა „ნუშების თოვლი“.

გარი ჩაფიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის
პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

ISBN 978-9941-8-2513-2

დავით აბესაძე

ნუშეგის თოვლი

გაზაფხული... ულამაზესი ფერები... სითბო, სიტკბო, სიყვარული და ოცნება ერთად ირევა ჩემს თვალებსა და გონებაში. პატარძალივით მორთული ნუშის ხე დგას ჩემ წინ და მიყურებს. ღმერთო, რა სილამაზეა! ზღაპრულ სამყაროში აღარ მოგინდება წასვლა. სამოთხეც აქ მაქვს და ზრაპრული სამყაროც. შექსპირო უილიამ, წამოდექი და ამ სილამაზის შემყურე, ნუშების თოვლში ჩაფლულო, ატმის ტოტის წვერით ცას მისწვდი... ფურცლები არ დამანახო და...არ დამაღალატო, იცოდე! კიდევ ერთხელ დამიწერე შენებურად: „შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!“

სად ხარ, ვაჟას ხმელო წიფელო?! ნუშების თოვლში ჩარგავდი ფესვებს, ატმის ტოტს ხმელ ტანზე შემოგახვევდა ქარი და ახალ სიცოცხლეს დაგიბრუნებდა ჯადოქარი! ტოტია მგელო, ნუშების თოვლამდე თუ შეძლებ მოსვლას, თვალებდასისხლიანებული და დამშეული მხეცებიც ვერ გაბედავენ ამ სილამაზის გადათელვას და შენამდე სვლას შეაჩერებენ, ამაოდ დამაშვრალნი! ობოლო შვლის ნუკრო, მე შენ გეძახი, მოდი ნუშების ბაღში, აქ შეაფარე თავი, ადამიანი მხეცი გადაიფიქრებს შენს მონადირებას, რადგან მანამდე მის გულს ატმის ყვავილები მოინადირებენ და სიყვარულის სენით დააავადებენ. შეყვარებული კაცი კი ხომ იცი, დაჯდება შოთას ტარიელივით ატმის ხის მახლობლად „წყლისა პირსა“ და უიმედო სიყვარულზე იტირებს, მერე კი, რა იცი, იქნებ შენი კოცნაც მოუნდეს ვეფხისტყაოსანი ჭაბუკივით!

სად ხარ, გალაკტიონო, შენი უკვდავი ლექსებით? „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით

ხიდიდან ფენა“, ეჭვიც არ მეპარება, კიდევ ერთხელ დაწერ ამას, მაგრამ ვინ იცის, ნუშების თოვა კიდევ რა ჯადოსნურ ლექსებს შთაგაგონებს!

ჰეი, თქვენ, შავჩოხიანო ჭაბუკებო, ქართლის ველები ყაყაჩოებით რომ გადამიწითლეთ, სიყვარული რომ მოგპარათ ათასმა მომხვდურმა, წამოდექით, ნუშის ბაღებში მოსეირნე ლამაზმანებში ამოარჩიეთ თინათინები, თამარქალები, ეშხიანები, ვნებიანები, სათნო ქალები. მოკლედ, ამის თქმა მინდოდა: ეძებეთ თქვენი სიყვარული და გაიხარეთ, იქნებ ათაბაგის ქალი ბაღის შესასვლელში გელოდებათ უკვე, ურჯულოს არგამხარებელი!

ტიციან, პაოლო, სანდრო და გოგლა, თქვე ლექსის ლოთებო, ჩვენი სამშობლოს „ცა ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა“ ღამეებს რომ გათევინებთ და სიმბოლისტურად რომ მასაუბრებთ ახლა თამუნია წერეთელს – ირმისფეხება მშვენიერებას – იქნებ ნუშების ტევრში ნუშების თოვაში სეირნობა სურს კავალრებით! რად იგვიანებთ, რაინდებო?!

„ეჰ, თამუნია, თამუნია!“

გელოვანო მირზა, აბა რა გითხრა, სატრფოს ხომ მოსწერე: „მე შენი თმები დამაბრუნებენო“, მე მჯერა, შენ აუცილებლად დაბრუნდები, ყველანი დაბრუნდებით, დაბრუნდებით, „მაგრამ როდის?“

– „ნუშები როცა აყვავდებიან!“

– არ დამაღალატოთ იცოდეთ! ხომ ხედავთ, აყვავებულან უკვე!..

ო, როგორ მიყვარს... ო, როგორ მომწონს... ო, როგორ მხიბლავს ნუშების თოვლი!

ის უკვე მოვიდა... დგას ჩემ წინ და მიღიმის... ღმერთო, რა სილამაზეა! ზღაპრულ სამყაროში აღარ მოგინდება წასვლა. სამოთხეც აქ მაქვს და ზრაპრული სამყაროც. ჩვენ ვისეირნებთ ნუშების თოვლში... შემოგვიერთდით, გელოდებით ყველას!.. ცხოვრება მშვენიერია!

ანი ანრდია

ღირდა კი?!

ბიბლიური ადამის შთამომავალია ადამიანი, რომელიც ღმერთმა ტალახისაგან თავის სახედ და ხატად შექმნა, შთაბერა ღვთაებრივი სული, სიცოცხლე უბოძა, ქვეყნად დაამკვიდრა და გარკვეული მისიაც დააკისრა. როგორ ასრულებს ამ მისიას, ეს არის მისი ღირსების საზომი. ადამიანის მოვალეობაა, ესწრაფოდეს სრულყოფილებას, ემსგავსებოდეს შემოქმედს, ცდილობდეს მიწიერი ვნებების დაძლევას, თრგუნავდეს ცდუნებას, რომლითაც სავსეა ყოველდღიურობა. მაშინ ხარ ძლიერი, თუ შეგიძლია საკუთარი გრძნობების მართვა, სძლევ ამპარტავნებას, ეგოიზმს, შურსა და ღვარძლს და გეყვარება მოყვასი ისე, „ვითარცა თავი შენი“, შეგებრალება დაცემული, შეეშველები წამოდგომაში, გაუწვდი დახმარების ხელს, ამოუდგები მხარში და გაუადვილებ ცხოვრების გზაზე სიარულს.

ადამიანი ანგელოზად ევლინება ქვეყანას, მაგრამ ცხოვრებასთან ჭიდილში, მიწიერ ვნებებში ყურყუმალაობისას, ზოგჯერ ვერ უმკლავდება ცდუნებას, იტვირთება ცოდვებითა და შორდება უფალს.

როდესაც რევაზ ინანიშვილის ნოველა: „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“ წავიკითხე, აღვფრთოვანდი ვიტგენშტეინის პიროვნებით. ალბათ, ამაზეა ნათქვამი: ლამაზ სხეულში, ლამაზი სულიაო... მის პიროვნებაში შერწყმულია კოლხური სიამაყე და გერმანული პედანტიზმი, ორი ერის ყველა ღირსება, აღზრდითაც ორი ერის ღირსეული წარმომადგენელია, რჩეული პიროვნება, თვალში საცემი სანახავი, ვაჟკაცი, არისტოკრატი მანერებით, აღზრდით, ცხოვრების წესით, პრინციპული მორალით, ევროპულ-ქართული იერით, მხოლოდ ქართული სულით, ქალის ქომაგი, დამცველი,

ღირსების პატივისმცემელი და თავადაც ღირსეული ვერ ურიგდება უწესრიგობასა და უზნეობას. ღირსების გრძნობა არ აძლევს უღირს საქციელზე თვალის არიდების უფლებას. ის დაუფიქრებლად დაუპირისპირდება ჩინით თავისზე მაღლა მდგომ გენერალ ნაუმოვს, რომელიც არის ტლანქი, უხეში, მედიდური, ამპარტავანი, ქალის შეურაცხმყოფელი... რომელსაც ბრძოლაში საამაყო დაურიდებლობა სამოქალაქო ცხოვრებაშ გადმოაქვს, მას არმია და სამოქალაქო საზოგადოება ერთი და იგივე ჰგონია. არ იცის ორივეგან ადამიანად რომ უნდა დარჩეს და არა მკვლელად, რადგან ჯერ ადამიანი გაჩნდა ქვეყნად და შემდეგ მოიგონა მან სკამიცა და ჩინიც. ვიტგენშტეინმა, როგორც მამაკაცმა, თავი შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო და გენერალს სილაც გააწნა და დუელშიც გამოიწვია. მისთვის ღირსება სიცოცხლეზე მეტად ფასობს. გენერლისათვის მთავარი პატივმოყვარეობაა და არა ღირსება. ის ყველას და ყველაფერს თელავს, სიკვდილი მისთვის „ხელობაა“... „ტყვიას ტყვიაში ვსვამ“ – აცხადებს ამაყად. მასთან ღამეგათეულ ფაშფაშა, გართობის მოყვარულ, მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, უადგილო ადგილას მიუწკაპუნა. დარცხვენილმა ქალმა შეშფოთებული მზერა სტყორცნა ვიტგენშტეინს და კუპეში შევარდა. ვიტგენშტეინმა საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო ქალის დამცირება და თავხედობა არ აპატია გენერალს, რომელმაც არად ჩააგდო ჩინით მასზე დაბლა მდგომი და ახალგაზრდა, მაგრამ სულით მდიდარი, ღირსეული პიროვნება. „მე ნაუმოვი ვარ, ტყვიას ტყვიაში ვსვამ ამ სიტყვებით ის ხაზს უსვამს თავის უპირატესობას; რითიც მას კიდევ ერთხელ შეურაცხყოფს. გენერალი კი ხარ, ტყვიას ტყვიაში სვამ, მაგრამ ეს არ გაძლევს სხვისი ღირსების შელახვისა და თავხედობის უფლებას. გენერალი რომ ხარ, მეტი თავდაჭერა მოგეთხოვება საზოგადოებაში. როგორც საკუთარ თავს სცემ პატივს, ისე უნდა სცე

პატივი სხვასაც. ბრძოლის ველის წესები არ უნდა გადმოიტანო მშვიდობიანობის დროს ცხოვრებაში. სასიკვდილოდ დაჭრილმა ვიტგენშტეინმა დუელის დროსაც არ დაკარგა ღირსება. მუხლებზე ჩაჩოქილმა მხოლოდ ქუდი გაუხვრიტა გენერალს და წერილიც დაწერა, რომ გენერლისათვის ეპატიებინათ, პასუხი არ მოეთხოვათ.

გენერალი კი ვითომც არაფერი. იქნებ სინდისმა გაიღვიძა მასში ასეთი ახალგაზრდის დაუნდობელი მკვლელობის გამო?! ვინ იცის?! იქნებ! მაგრამ ვფიქრობარა! უღირსი უღირსად დარჩება! ღირსეულთა მოკლე სიცოცხლე უღირსთა დიდი ხნის სიცოცხლეს სჯობს. წარუვალია მხოლოდ სახელი, კაცობის საზომი ღირსებაა.

ვიღაცას უთქვამს: „ამაყი ადრე მოკვდება, ჭკვიან იცოცხლებს დიდხანა“. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილიც ამას ამბობს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე. ღირსება წონის სიცოცხლეს.

ჩემი აზრით, სიცოცხლე ღვთისგან ბოძებული საჩუქარია და ამ საჩუქარს გაფრთხილება უნდა. „გენერლის თანმხლებმა ქალმა, სანამ კუპეში ბარგს შეიტანდნენ მებარგულე და ვაგონის გამცილებელი, რამდენჯერმე გადმოაბრდღვიალა ვიტგენშტეინისაკენ დიდი, აღმოსავლურად წყლიანი თვალები. მერე გენერალიც და ქალიც შეიკეტნენ კუპეში“. ვფიქრობ, გარტყმული სილაც მისთვის საკმარისი იქნებოდა და აღარ იყო საჭირო სიცოცხლის სასწორზე დადება და დუელში გამოწვევა... ნუთუ სინდისმა გაიღვიძა მასში?! არა მგონია... დარწმუნებულია თავის თავში და გამოიყენა კიდეც ეს შანსი. პირდაპირ გულში ესროლა და ახალგაზრდა კაცს სიცოცხლე თვალის დაუხამხამებლად მოუსწრაფა, მას მხოლოდ მოკვლა შეუძლია. სიცოცხლის ფასი რომ იცოდეს და მასში სინდისს გამოენათებინა, ასეთ ახალგაზრდას სასიკვდილოდ არ

გაიმეტებდა და, ან დუელზე ეტყოდა უარს, ან მხოლოდ დაჭრიდა. ვიტგენშტეინმა, სასიკვდილოდ დაჭრილმაც, მხოლოდქუდიგაუხვრიტა,რითიცდაუმტკიცა,რომარცის არ არის მასზე ნაკლებად მსროლელი, მაგრამ სიკვ-დილისთვის მაინც არ გაიმეტა: დატოვა „დარბაზში უძრავად ტყვიით გახვრეტილი ქუდით, რომელიც ორი-ვე ხელით ეჭირა წინ“. სიკვდილის წინ ვაჟკაცობისა და რაინდობის დიდი გაკვეთილი ჩაუტარა მასზე ასა-კით უფროსსა და ჩინით მასზე მაღლა მდგომ „კაცუნას“.

ვიტგენშტეინმა დაიცვა როგორც საკუთარი, ისე ქალის ღირსება. დაუპირისპირდა უხეშ, ტლანქ ძალას. წარმოაჩინა ადამიანის სუსტი მხარე, დაიცვა ზნეობა. სწორედ ასეთი ღირსებების მატარებელი რომ არის და ღმერთს უახლოვდება. სწორედ ამიტომ არ ჰქონდა სიცოცხლის ასე ადრე „გახარჯვის“ უფლება. ასეთი პიროვნებები აყალიბებენ საზოგადოებაში მორალს და ანათებენ ბნელს, ქმნიან ზნეობრივ პრინციპებს. ვიტგენშტეინის მოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე მაგალითია ყოველი ჩვენგანისთვის. ალბათ, ასეთებზე ამბობს ვაჟა-ფშაველა: „ათას ცოცხალსა ბევრჯერა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

ვიტგენშტეინის სიცოცხლე ღირსებას შეეწირა...

დავდივარ და არ მასვენებს ფიქრი: ღირდა ეს ფაშ-ფაშა, გართობის მოყვარული ქალი ვიტგენშტეინის სიცოცხლედ?!

ბერბერე ბაბაშვილი

აი ია და თანაი

საქართველოი ოდითგან დიდებულია რჩეული!
მასში მცხოვრები ერები არიან ყოვლად რეულნი,
ქართველთ ასწავლეს ზნეობა, მისაღებ ანაზნეულნი.
არვის დაჩაგრავს ქართველი, მისთვის ეს არის ზნეული.
ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი
– ღვთისადმი მორჩილებაი,
არვის სიწმინდეს შებილწავს, აროდეს მოკნინებაი
და არც არავის აპატივს, თვის რწმენის შეგინებაი.
ქართველთ წესად აქვს სიწმინდეთ დაცვა
და გაფრთხილებაი.
საქართველოი უძველეს-დავით, თამარის, შოთაის,
იყო და არის მარადის, დიდებულების ჩვენაის.
ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, არვის დავუთმობთ
არაის,
სანამდე დედამიწაი ისუნთქებს ყოველ ხანაის.
შვილებს გადავცემთ სიყვარულს,
სამშობლოს ამისთანაის.
შვილებმა უნდა შეიგრძნონ ჭირი და ხილის თანაი.
მუდამ ახსოვდეთ ანბანი – „აი ია და თანაი“.
არ მოეშალოთ ქართველებს აკვანთან ტკბილი ნანაი.
მიყვარხარ, ჩემო სამშობლო, ტკბილი ხარ ოდითგანაი,
მიყვარს ქართული ჰანგები, თბილი არს როგორც „მამაი“.
ჩვენს წინაპრების ძვლებს ვფიცავთ,
ვიყოთ კეთილნი თანაი,
მათ საფლავებზე დაჩოქვით თაყვანს ვცემთ მამა-პაპაის.

ნინო ბიწაძე

განადგურებული ახალგაზრდობა

განუწყვეტლად ვფიქრობ წაკითხულზე... სიზმარშიც კი ომის მონაწილე ერთი რიგითი ჯარისკაცი ვარ. წარუშლელი კვალი დატოვა პირველმა მსოფლიო ომმა ჩემსა და კიდევ ბევრი ჯარისკაცის გონებაში.

პირველი მსოფლიო ომი- ამ სიტყვების ხსენებაზედაც კი ტანში ჟრუანტელი მივლის, რადგან მისი გახსენება ჩემში დიდ ტკივილსა და შიშს იწვევს. ეს იყო ომი, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდას ცხოვრების მკაცრი სახე დამანახვა. წარმოიდგინეთ, როგორი რთულია იყო ახალგაზრდა, რომელსაც ჩვიდმეტი წელი ახლახანს შეუსრულდა, წვერ-ულვაში ახალი წამოზრდილი გაქვს და უკვე სანგრებში იარაღით გაფაციცებული დგახარ, მხოლოდ შიშსა და სასოწარკვეთილებას გრძნობს და ყოველ წამს კი სიკვდილს მოელი.

ამ გრძნობებით ამ ომში სამი წლის განმავლობაში ყველა დიდსა თუ პატარა ბრძოლაში ვიღებდი მონაწილეობას, რომელიც ამდენი ხნის შემდეგაც გუშინდელი დღესავით მახსოვს და არასდროს დამავიწყდება, თუმცა ჩემთვის ყველაზე მძიმე აღმოჩდა 1916 წლის ვერდენი. 21 თებერვლიდან – 18 დეკემბრამდე რიგით ჯარისკაცს ყოველ წამს შეუსვენებლად, გაჩუმებულ არემარეში მკაფიოდ ისმოდა ტყვიებისა და ზარბაზნების ხმა. თავის წამოწევას ვერ ვახერხებდი, რადგან ეს არადა არ წყდებოდა. ტყვიის წვიმების ხმამ, რომელიც ჰგავდა ღვთისგან დამტყდარ რისხვას, სულიერად გამანადგურა, თუმცა ყველაზე მტკივნეული ჩემ ირგვლივ მყოფი დაჭრილ ადამიანთა კვნესის ხმა იყო... იმათი ხმა, რომლებიც სიცოცხლეს ემშვიდობებოდნენ და მალე სასუფეველში პოვებდნენ ბინას.

თავდაპირველად ბევრმა ჩვენგანმა იარაღის ხმარებაც კი არ იცოდა. როცა იარაღი მოგვაჩეჩეს ხელში და გვიბრძანეს: „თქვენ გმართებთ თქვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მათი სისხლი დაღვაროთ“ – გვიხსნიდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ ჩვენზე იყო დამოკიდებული, სწორედ ჩვენს ხელში იყო. ჩვენ კი აღტაცებულები ტაშს ვუკრავდით და იარაღს ვართმევდით. გვიხაროდა რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს გერმანიას ვადგებოდით და მზად ვიყავით მისთვის ბოლომდე, სისხლის ბოლო წვეთამდე, გვებრძოლა.

ვერდენში განცდილმა ნელ-ნელა გვანანებინა ჩვენი გადაწყვეტილება. სამი თვეც კი საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი თავების იმგვარ „გახრწნაში“, რომ აღარც ომის გაგონება გვსურდა, აღარც იარაღის ხელში აღება, აღარც სამხედრო დისციპლინის ხსენება და აღარც სანგრებსა თუ ყაზარმებში ცხოვრება.

თუმცა, რაღა გზა გვქონდა დარჩენილი, უკვე ომის ქარცეცხლში ვიყავით და საქმე ბოლომდე უნდა მიგვეყვანა. მეთაურის ბრძანებას უნდა დავმორჩილებოდით და შეტევაზე უნდა გადავსულიყავით.

ამ ყველაფერს მეტად ამძიმებდა გაუსაძლისი პირობები სანგრებსა და ყაზარმებში-ჯარისკაცებს ცხოვრება გვიწევდა მოუწყობელ და სარემონტო სივრცეში. ყაზარმათა დიდ ნაწილს ხშირად კარ-ფანჯარაც არ ჰქონდა, გვაკლდა საჭირო ავეჯი, საკმარისი რაოდენობის საწოლებიც არ გაგვაჩნდა, ამიტომ უმეტეს ჩვენგანს თივაზე უწევდა ძილი... მარათონს ვმართავდით ხოლმე, ვინც გაიმარჯვებდა და მივიდოდა ყაზარმაში, პირველი ის იძინებდა თბილად და შედარებით მშვიდად საწოლზე... ყველაზე საშინელი დრო კი ზამთარში დგებოდა, როცა ჭირდა გათბობა, გვციოდა... ქარბუქი ძვალსა და რბილში ატანდა. შესაფერისი ტანსაცმელი მაინც გვქონოდა... ჭირდა ფრონტზე საკვების მომარაგებაც, რის გამოც იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე დღის

განმავლობაში ერთ-ორ ლუკმასაც ვერ ვიღებდით. ჩვენი საკვები ერთფეროვანი იყო: ძირითადად ლობიოსგან, უხარისხო პურისა და თუთუნისგან შედგებოდა, ხორცეული კი სანატრელ ფუფუნებას წარმოადგენდა. მახსოვს, როგორი სანუკვარი იყო სამი დღის შემდეგ მშიერ კუჭზე დამსახურებული ულუფა.

ალბათ, გასაკვირია, მაგრამ სიმართლე ერთია. ხშირად იყო ისეთი შემთხვევები, როცა რამდენიმე დღის ნაშიმშილარი გადავდიოდით შეტევაზე. ჩვენი შეტევა კი ძირითადად საკვების მოპოვების ძლიერი სურვილით იყო განპირობებული. ვიმედოვნებდით, მოწინააღმდიგის მარაგს ჩავიგდებდით ხელში.

შიმშილზე საშინელი ოჯახის მონატრების ტკივილი იყო.

ხშირად, დარდების გასაქარვებლად, ვცდილობდი ჩემი ოჯახის წევრები წარმომედგინა გონებაში. თუნდაც ერთად, მაგიდის გარშემო შემომსხდრები, თუ როგორი მოუთმენლობით ველოდით, როდის მოიტანდა დედა თავისი ხელით მომზადებულ კერძებს, რომელშიც უდიდეს სიყვარულს აქსოვდა, ბოლოს კი როგორ გვტუქსავდა მე და ჩემს უმცროსს ძმას მოუთმენლობის გამო, თუმცა ეს მოგონებები წამში იფანტებოდა, რადგან კიდევ ერთი ტყვიის გასროლა ან შეტევაზე გადასვლის ბრძანების ხმა უკვე ისმოდა შორიდან....

ჩვენი ასეულის მეთაური მჭექარე ხმით, ყოველგვარი სამხედრო გამოცდილების არ მქონეებს, გვიშვებდა წინა ხაზზე.

ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, რომ ისინი ჩვენზე საერთოდ არ ფიქრობდნენ... ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ მათთვის ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასზე მეტი მნიშვნელობა ჰქონოდა.

ფრანგებს ყოველდღე ვუტევდით მდინარე მაასის ნაპირებზე. მათი დამარცხება არ გვიჭირდა. ნადავლსაც ვიგდებდით ხელში ხშირად. ძირითადად,

საკვებს. ოცდაერთ თებერვალს ვერდენში დავბომბეთ ფრანგთა დივიზია, ოცდახუთ თებერვალს დუომონის ფრონტი, თუმცა ფრანგებმა მისი დაბრუნება შეძ-ლეს, მართალია, მხოლოდ სამი დღით, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა ჩვენი დესტაბილიზაციისა და მათი „გამოფხიზლებისათვის“. სომიდან მოყოლებული ნაბიჯ-ნაბიჯ გვიტევდნენ, მედგარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და საკუთარ პოზიციებს იბრუნებდნენ. მართალია, სექტემბერში ომი შევწყვიტეთ, თუმცა ოქ-ტომბრიდან თავად ფრანგებმა შემოგვიტიეს. ყველაზე მძიმე თხუთმეტი დეკემბრის შეტევა აღმოჩდა. ეს იყო უსაშინლესი დღე ჩემს ცხოვრებაში. დღე, როდესაც სიკვდილიც სანატრელი გაგვიხდა, რადგან ფრანგები უმოწყალოდ გვიტევდნენ ცეცხლითა და იარაღით... სამი დღის განმავლობაში ხოცავდნენ და ტყვედ აჰყავდათ ჩვენი ძმები.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ჩემს ტყვიას არავინ ემსხვერპლა. ვინ იცის რამდენი ფრანგი თუ ბრიტანე-ლი დავხოცე საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მებრძოლი ამ თვეების განმავლობაში, რადგან ჩვენ ერთმანეთის მტრები ვიყავით – ორი სხვადასხვა ბა-ნაკიდან. ჩვენ მათ უმოწყალოდ ვხოცავდით, რადგან გვჯეროდა, ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული.

მეც ყოველ წამს გაფაციცებული ვიხედებოდი აქეთ-იქით, რადგან ყოველი ჩვენგანი, ალბათ, გულის სიღრმეში ვხვდებოდით, ჩვენც გარდაცვლილთა ბედს გავიზიარებდით ოდესმე, შეიძლება იმ წამს, შეიძლება შემდეგ დღეს დაა... გამორიცხული არ იყო, შემთხვევით, ნაღმისთვის დაგვებიჯებინა ფეხი ან ტყვია მოგვხვედროდა გულში.

რამდენჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში, არც კი მახსოვს. მართალი ყოფილა – შიშს დიდი თვალები აქვსო. არაერთხელ ვყოფილვარ ბრიტანელებისა და

ფრანგების ტყვიის მსხვერპლი. ერთხელ ფერდში დამჭრეს, მეორეჯერ ფეხში ისე, რომ ლამის სისხლისგან დავიცალე, თუმცა ღმერთი მწყალობდა და ყოველ ჯერზე ცოცხალი ვრჩებოდი. იცით, როგორ მიკვირს ასეთმა გამოუცდელმა, იარაღისა და სანგრის პირველად მნახველმა, როგორ მოვახერხე გადარჩენა.

ბოლოს ქანცგამოცლილს ომის სისასტიკისა და გაჭიანურებული ბრძოლის ყურება აღარ შემეძლო, დავიღალე და ყოველ წამს ღმერთს ვევედრებოდი, როგორც ჩემი მეგობრები წაიყვანა, ისე წავეყვანე მეც. ყოველდღე სულიერად სიკვდილი აღარ შემეძლო. ვხედავდი მათ, ვისთან ერთადაც გავიზარდე და ბავშვობიდან ვმეგობრობდი. ვხედავდი ჩემს თვალწინ როგორ იღუპებოდნენ ახალგაზრდები... ვუყურებდი სიბრალულით და ვერაფერს ვაკეთებდი – მათი შველა მე არ შემეძლო...ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა.

განსაკუთრებით მძიმე აღმოჩდა ორი საუკეთესო მეგობრის – ეირიხისა და ჰაინრიხის დაკარგვა იმ ავადსახსენებელი თხუთმეტი დეკემბრის შეტევის ღამეს.

ჰაინრიხი ფრანგების ჭურვზე აფეთქდა. აფეთქდა სწორედ მაშინ, როცა ყვირილით ჩემს გადარჩენას ცდილობდა. მე კვლავ გადავრჩი, თუმცა ამ მომენტმა უმძიმესი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში. იმ წამს თვალწინ ჩამიარა ჩემმა ხანმოკლე სიცოცხლემ. შესაძლებელი იყო მის ადგილას მე ვყოფილიყავი... და ვყოფილიყავი მკვდარი.

ფიზიკურად გადავრჩი, თუმცა ვგრძნობ, ომმა სულიერად ყველაფერის წართმევით მომსპო.

როგორც იქნა დამთავრდა როგორც სასტიკი ვერდენი, ისე ომი. ჩვენ წავაგეთ, თუმცა მიმაჩნია, რომ ორივე მხარე წაგებულები ვართ-საკუთარი ქვეყნისთვის მებრძოლი შვილების უამრავი საფლავისა და კიდევ სხვა უამრავი დანაკარგის გამო.

ესე იგი, ეს სისხლისმღვრელი ომი არაფრის მომცემი აღმოჩნდა. ომით არავის უხეირია არასდროს ბოლომდე.

მათ შორის, გამარჯვებულ სახელმწიფოებსაც კი, თუ არ უგლოვიათ. ომის დამთავრება იყო ერთდროულად ზეიმიცა და მწუხარებაც.

პირველ წელს ჩვენი ქალაქები სავსე იყო ფრონტიდან დაბრუნებული, გამტვრიანებული, მშიერი, მთვრალი, მოხეტიალე ჯარისკაცთა ბრბოთი, რომლებიც დადიოდნენ და თავს ყველაფრის უფლებას აძლევდნენ: უფასოდ ტრამვაიში ადიოდნენ, ამტვრევდნენ და აფუჭებდნენ რონოდებს, მუქარით აიძულებდნენ ვატმანებს მათ ნებაზე უპირობოდ ევლოთ, მათ შორის ვიყავი მეც. ამისი აღიარება დღესაც ძალიან მრცხვენია. წლები დამჭირდა დასავიწყებლად, მაგრამ მაინც ვერ შევძელი ბოლომდე დამევიწყებინა.

რომ არა ელიზას, ჩემი ბავშვობის მეგობრისა და პირველი სიყვარულის ხელშეწყობა, ამასაც ვერ მოვახერხებდი და მეგობრებისა და ოჯახისგან გამოწვეული ტკივილის გასაქარვებლად ერთადერთ გამოსავლად მაინც თავის მოკვლაზე ფიქრს მივიჩნევდი კვლავ.

ოცდაშვილი წელი გავიდა ვერდენიდან... ამდენი ხნის შემდეგაც მუდმივად პასუხგაუცემელი კითხვა დამდევს თან და თავს არ მანებებს. და შორიდან ისევ რაღაცა ხმა ჩამძახის: საერთოდ რატომ დავიწყეთ ეს ომი ან რისთვის იყო სულაც საჭირო ეს დაუნდობელი ომი – ნუთუ მართლა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობისთვის?!

არა... რა თქმა უნდა, არა! თუმცა ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი მაინც არ არსებობს. დღეს საზოგადოება იმდენად შეიცვალა, რომ ვინც ომის სისასტიკე გამოსცადა და ხმა აიმაღლა ომის წინააღმდეგ, მოღალატეებად ჩათვალეს. ზოგი დახვრიტეს, ზოგი კი დეპორტაციას ვერ ასცდა. ვინც შეძლებული აღმოჩნდა, გაქცევით უშველა თავს, თუმცა განა არის შენს ცხოვრებაში რამე ბედნიერება შენი სამშობლოდან ძალიან შორს?!

მეც შეიძლება მოღალატედ ჩამთვალონ ხმის ამოღების შემთხვევაში. ექიმი გავხდი, თუმცა შეიძლება თანამდებობა დავკარგო ან დამხვრიტონ ნაცისტების გამო. რატომ?! თუნდაც იმიტომ, რომ მათ თვალში მე გერმანიას ვამცირებ...

მე ჩემი თავი დიდი ხანია აღარ მაინტერესებს, თუმცა სამი პატარა შვილი მყავს: ორი ბიჭი და ერთი გოგო, რომლებსაც მამა ახლა სჭირდებათ. მე რომ რამე მომივიდეს, მათ ვინ მიხედავს?! ვინ უპატრონებს?! არავინ! ომმა ყველა ახლობელი წამართვა. მამა, ორი ძმა: ვილჰელმი და მიურელი და დედაჩემიც, რომელიც მიურელის სიკვდილის გაგებამ ჭკუიდან შეშალა. შვილის დაკარგვის სევდას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა... ამ დროს კი მე, ალბათ, სხვებს ვხოცავდი. ღმერთო, რა უსამართლოა ცხოვრება. ცოლი კი უმცროსის მშობიარობას გადაჰყვა. შეიძლება ჩემს შვილებს მოღალატის შვილის სახელიც მიაკერონ და მათ მომავალსაც საფრთხე შეექმნას. ამიტომ ჩუმად დარჩენა და უმოქმედობა მიწევს, იქნებ ჩემს შვილებს მაინც გამოვადგე რამეში.

ბუნებრივია, გაგიჩნდება კითხვა: ან კი შენ რას შეცვლიდი?! თუმცა, ამჯერად მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია მსოფლიოს სიკეთისკენ შემობრუნება.

იქნებ დადგეს ის დრო, რომ ჩემი პატარა ჩანაწერი გამოააშკარავონ. შედარებით პროგრესულად მოაზროვნე მომავალმა თაობამ იქნებ გონების თვალით განსაჯოს ჩემი, როგორც ჯარისკაცის, თითქმის სამწლიანი ტანჯვა და როგორც ექიმის ორწლიანი და ძველი შეცდომები აღარ გაიმეორონ მათი და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.

პირველი თუ მეორე მსოფლიო ომი ჩვენი მეთაურების ბრალია, რომლებიც ტერიტორიების შემოერთების სურვილმა და სახელის მოხვეჭამ გააგიჟა. ჩვენ, უბრალო

ადამიანები კი, გაგვწირეს სიკვდილისთვის. ვიღაცის ახირებული სურვილების გამო, ტყუილად ვებრძოდით უდანაშაულო ადამიანები ერთმანეთს.

მარტო ვერდენში ჩვენი მხრიდან ერთ მილიონამდე კაცი დავკარგეთ, დაჭრილებსა და მოწამლულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სულ რაღაც ერთმა ომმა ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ომზე დიდი საშინელება დედამიწაზე არ არსებობს.

ყოველ ღამე ბრძოლები მესიზმრება.

დღესაც სიზმარში ვხედავ რა ახალგაზრდა, ლომებივით ბიჭები, ეცემიან ჩემ წინ ბრძოლის ველზე ტყუილუბრალოდ: ზოგი სისხლისგან იცლება, ზოგი იყინება, მე ვერც მათ შველას ვახერხებ...

ბავშვური ოცნება ოცნებად დამრჩა. მინდოდა, მსურდა, ვიბრძოდი ჩემი გერმანიისთვის მაშინ, 17 წლის ასაკში. მაშინ მე არ ვიცოდი რა იყო ომი. რა იყო საყვარელი ადამიანების დაკარგვა. მწუხარება იარებად დამრჩა.

ომმა ახალგაზრდობა გაგვინადგურა მე და ჩემს ტოლებს და კიდევ სხვებსაც გაუნადგურებს.

არ მინდა ოდესმე ჩემს შვილებსაც იგივე ბედი ეწიოთ.

ვიმედოვნებ, დადგება დრო, როცა ხალხი ერთბაშად შეთანხმდება ომის სისასტიკეზე... იმაზე, თუ რა სავალალო შედეგები მოჰყვება ამას და მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს.

ანა ბოლქვაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ტრაგიკულად დაღუპული 14 წლის გოგონას ხსოვნას...

ნუშის ხე

მე ერთი პატარა სოფლის პატარა ეზოში ვცხოვრობ. ბევრი ზამთარი მიმილევია და გაზაფხულის მოლოდინში გამთენებია. ახლაც გაზაფხულის მოლოდინში ვარ. როგორც უფროსები იტყვიან, ,,თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“... წყალჩამდგარი ჩემი ტოტები მზისკენ იწევენ კვირტების მოლოდინში. მე და ჩემი მეზობლები ერთმანეთს ვეჯიბრებით, რომელი უფრო ადრე დავამშვენებთ ეზოს აკვირტული და აყვავებული ტოტებით. მე დიდი ხანია ვამშვენებ ამ ეზოსა და ოჯახის ყველა წევრის დაბადების მომსწრე ვარ... მათთან ერთად გავიზარდე და მათთან ერთად ვეზიარებოდი მათ ტკივილსა და სიხარულს.

ის დღე არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. ალიონზე მზის სხივებს შევხვდი, მამლის ყივილთან ერთად გავიღვიძე. ჩემს ტოტებზე დაძინებულმა ბეღურებმაც გაიღვიძეს, ერთი-ორი შეიჟღურტულეს, ბუმბული შეიფერთხეს დ ასაკენკის მოსაძებნად გაეშურნენ.

– შეხედე, რა ადრე გაუღვიძია, ყველას მოასწრო ეზოში გამოსვლა. ნეტა, საით მიიჩქარის? მინდა ჩავეხუტო, მოვეფერო, მაგრამ არც კი გამომხედა, რაღაცას განიცდის, შფოთავს... ნეტა, რა მოუვიდა?! რატომ ჩქარობს?! რას მალავს? ცრემლები თვალებიდან ღაპაღუპით მოსდის... ვინ აწყენინა?!

– ვინ გატკინა პატარა გული?! ისედაც სულ დარდიანი ხარ... იქნებ მამა გენატრება... გარდაცვლილი მამა ან თურქეთში სამუშაოდ წასული დედა... ეს მონატრება და დარდი ხომ ერთად გადავლახეთ, ახლა რაღა მოხდა?!

რატომ ვერ მისწორებ ცრემლიან თვალებს?! ხელში რა გიჭირავს?! ბაწარი თუ თოკი?! რისთვის, რისთვის მოგაქვს?! მინდა ჩაგეხუტო, დაგამშვიდო, ტოტები შემოგხვიო და გაგათბო, მაგრამ... არა! ეს არა! იქნებ?! არა! არა! არა! იქნებ გადაიფიქრო. ჩემს მკლავებს არ მოგცემ, რომ მასზე დაამთავრო სიცოცხლე! არა!

ტოტებს მაღლა ვწევ, იქნებ ვერ მიწვდე, მაგრამ მაინც მოახერხე ხომ?! ოღონდ ეგ არა, ტოტებს ვიმტვრევ რომ გავათავისუფლო შენი პატარა ყელი, მაგრამ არა... ირწევა შენი პატარა უსულო სხეული ჩემს ტოტებზე, მერე წყდება ყველაფერი, რაც შეიძლებოდა შენს პატარა გულს გახარებოდა. შენს ბრიალა თვალებს ხომ უამრავი თავგადასავალი უნდა ენახა. ახლა კი სამუდამოდ დაიხუჭა, შეწყდა დარდით, სევდით, კივილით, მონატრებით, უმწეობით... შიშით სავსე გულის ხმა.

– რატომ ვერ დაგიცავი?!

მრავალმა ხმამ მოაღწია ამ დღეებში ჩემამდე, ბევრმა ამირჩია მესაიდუმლედ. ჩემს ტოტებს ქვეშ გაირჩა შენი ნამუსახდილი სხეულის ამბავი. გაგკიცხეს, მიწასთან გაგასწორეს, კიდე მრავალჯერ გაგსვარეს ლაფში. დედა თავისთავს გლოვობდა რომ ვერ მოგისწრო. ბიძები, ბაბუა და სხვები თავს იმართლებდნენ, თავიანთ სიმართლეს ამტკიცებდნენ, მაგრამ არავის უდარდია შენი დარდით. არავის უკითხავს – რატომ?! შენ ხომ უფროსებს უნდა დაეცავი ყველა ტკივილისა და უბედურებისაგან.

ვის უნდა ენდოთ?! ვის უნდა მიეკედლოთ?! ვინ არის დამნაშავე?! ვინ უნდა აგოს პასუხი?!

– საზოგადოებამ?!

– საზაგადოებამ, რომელმაც გაგკიცხა?!

– ოჯახმა?!

– ოჯახმა, რომელმაც გიღალატა?!

– თანატოლებმა?!

დიახ, ჩვენ, თანატოლებმა, რომლებმაც შენს ნაცვლად უნდა ავიმაღლოთ ხმა, ჩვენ უნდა დავიცვათ შენი ტკივილი და დარდი უნდა მივიტანოთ ადამიანებამდე...

ლიზი ბურჭულაძე

ჩემი შობა

ზღაპრების უკვე აღარ მჯერა. ერთადერთი შობაა, რომელიც თავისი იდუმალებითა და მაგიური ძალით მაახლოებს ზღაპრულ სამყაროსთან. ერთადერთი შობაა, ბავშვობაში რომ მაბრუნებს...

სახლთან ახლოს გვედგა ხის „ქუხნა სახლი," როგორც მას ბებო ეძახდა. ეს პატარა ფიცრული შენობა, გაჟღენთილი კვამლის სუნითა და ჩემი პატარაობით, საოცარი სითბოთი და ვეებერთელა სიყვარულით, ჩემს მოგონებებში ბებოსთან ასოცირდება. კინოკადრებივით ენაცვლება ერთმანეთს ძალიან ახლობელი, სინათლით სავსე, ფერადი სურათები...

ბებო ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა შობისთვის. შობის წინა საღამოს აუცილებლად გამოიცვლიდა ტანსაცმელს, შუბლზე წაიკრავდა „ცახოცს", მჭადის ფქვილით დაიბანდა ხელებს, გადმოიღებდა მოზრდილ ხის გობს.. და იწყებოდა მისთვის და ჩვენთვისაც ძალიან სასიამოვნო რიტუალი... შობის ღვეზელებისთვის ცომის მომზადება. ჯერ პირჯვარს გადაიწერდა, ფქვილს ცოტაოდენ ნაკურთხ წყალს დაასხამდა და ოდნავ შემთბარი წყლით დიდხანს ზელდა. ბოლოს აიღებდა თეთრ, გაქათქათებულ, მხოლოდ ამ დღისთვის განკუთვნილ სუფრას, ცომიან გობს გადააფარებდა, კარგად შეფუთავდა და ბუხართან ახლოს, „სკამლოგინაზე" დადებდა. თვითონ კი დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, დასასვენებლად იქვე, ძველებურ ტახტზე, წამოწვებოდა.

ბებო წამოფუებულ ცომს მოწიწებით რამდენჯერმე ჩაზელდა, დიდი მონდომებით ისევ შეფუთავდა და იწყებდა მოხარშული კვერცხების დარჩევას. დარჩეულ კვერცხებს დიდ ტაფაზე აწყობდა და ყველა მხრიდან აწითლებდა. გამომშრალ, წითლად დაბრაწულ

კვერცხებს კი ორად ჭრიდა. ამ დღის მერე საგანგებოდ შერჩეულ და გადანახულ ყველსაც დახეხავდა... დასაძინებლად ყველაზე გვიან დაწვებოდა.

იმ წელიწადს, დეკემბრის ბოლოს, აირია ამინდი: ხან გაწვიმდებოდა, ხან ქარი ქროდა, ბოლოს კი თოვა დაიწყო და საშობაოდ ნამდვილი ზამთარი დადგა. არც გამიგია „ქუხნიდან“ ბებო როდის ამოვიდა დასაძინებლად. მე და ბებოს ერთ ოთახში გვეძინა. არც ის გამიგია, როდის გაიღვიძა და ადგა.

თვალი რომ გავახილე, ბებოს საწოლი, როგორც ყოველთვის, ცარიელი და ალაგებული დამხვდა. ახლაც გამეპარა – გავიფიქრე გულში, წამოვდექი და თბილი ხალათი მოვიცვი.

ფანჯარაში გავიხედე. „ქუხნის“ წინ ალუჩის ხის ტოტები თოვლის სიმძიმისგან დაშვებულიყო. დღესაც თვალწინ მიდგას „ქუხნის“ საკვამურიდან ცის ნაცრისფერ ფონზე მძიმედ, ზანტად გაწოლილი კვამლის ბოლქვები. ორი პატარა ფანჯრიდან გამოსულ შუქზე თოვლის ფანტელები ლამაზად, მშვიდად ეფინებოდა მიწას... მოვინუსხე... ხმის ამოღება და ბებოსთვის დაძახება ვერ გავბედე, შემეშინდა რომ არ დამერღვია ეს არამიწიერი სილამაზე, რომელიც, ალბათ, მხოლოდ შობის დილას შეიძლება ნახო... რამდენიმე წუთი ასე ვიდექი, ეტყობა სიცივემ გამომაფხიზლა და „ქუხნა სახლისკენ“ გავყევი ბებოს ნაკვალევს, რომელიც უკვე თოვლის ფიფქებს წაეფარა.

„ქუხნაშიც“ საოცარი სუნი და სითბო ტრიალებდა. ბებოს ხის დაბალ მაგიდაზე, ხისავე გობზე აცაბაცად, დაბრაწული, სურნელოვანი საშობაო ღვეზელები, გვერდით კი ხაჭაპურები დაეწყო. თვითონ კი აწითლებული ლოყებით, ფქვილით გათეთრებული წინსაფრით, მორიგ ხაჭაპურს აკრავდა მოზრდილ ტაფაზე ...

გარეთ ბარდნიდა... სულშიც, ეზოშიც და მთელ დედამიწაზე თენდებოდა შობის ულამაზესი დილა.

ნინო ჯელუშვილი

***

ცა... დაჰყურებს ყველას,
ძველ თუ ახალ ერას.

ველარ ხედავს სითბოს,
გულები რომ ითხოვს.

გააოცა სევდიანმა სახემ,
კაცთა შორის დაგებულმა მახემ.

გააოცა სიყვარულის ბუდემ,
საფუძვლად რომ სიძულვილი უდევს.

გააოცა ცარიელმა სივრცემ.
სავსე კიდევ... მარტოობას იტევს.

გააოცა რომ ბოროტი ბობოქრობს და იბრძვის.
მის წინ მდგარი კაცი არ ჩანს, აღარავინ იბრძვის.

გააოცა, რომ უფალი დარჩენილა სიტყვად.
დაკარგულა... მხოლოდ ერთხელ ითქვა.

გააოცა, რომ მათ გულში არაფერი დარჩა,
რომ გონებამ შეიფერა ფარჩა.

გააოცა, რომ სულ, ყველას, დაუკარგავს ნიჭი...
სიკეთის და სიყვარულის ნიჭი.

გააოცა, რომ იხილა ეს ამდენი ავი,
სიყვარულით შექმნილ კაცის... მოკვეთილი თავი...

გააოცა, თვითმკვლელობა ჩადენილმა ერამ.
განაცვიფრა ცოცხალ გვამის ცქერამ.

ცამ... მოაღო პირი,
უპირობოდ სტირის!

ᲛᲜᲘᲙᲝ ᲨᲐᲜᲯᲜᲨᲘ

* * *

მზიანი ამინდია, გასეირნებისთვის მშვენიერი დრო და აი, ისიც... დამირეკა მეგობარმა და მთხოვა პარკში გასეირნება. მეც დავთანხმდი და მასთან ერთად გავედი პარკში და დავინახე დაბალი, გრძელთმიანი, ქერა ბიჭი... პარკში ძალიან ბევრი ბიჭი იყო, მაგრამ ჩემი ყურადღება მხოლოდ მან მიიქცია სხვათაგან გამორჩეული, თავისი უცხო გარეგნობით. დიდი ინტერესი გამიჩნდა მის მიმართ... მუდმივად მასზე მეფიქრებოდა. ხშირად ვაწყდებოდი ხოლმე ქალაქში და შორიდან შევცქეროდი... ვერ ვბედავდი მასთან მისვლას და ჩემი გრძნობების გამხელას. ალბათ, ფიქრობთ ერთი ნახვით როგორ შეგიყვარდაო. მე კი ვფიქრობ, ეს არის სწორედ ნამდვილი, წრფელი სიყვარული...ეს სიყვარულზე მეტია ჩემთვის! დიახ, ესე უცებ შემიყვარდა. დიახ, ერთი დანახვით შემიყვარდა. 17 წლის ვარ და ამდენი ხნის განმავლობაში ბევრ ბიჭს შევხვედრივარ... თუმცა, არც ერთთან არ მიფიქრია სერიოზული ურთიერთობა, გარდა ამ ქერა ბიჭისა. გაგეცინებათ და მე მისი სახელიც კი არ ვიცი. მეორე დღესაც გავედი პარკში იმავე ადგილას... დიდი იმედი მქონდა, რომ ისევ ვნახავდი თუნდაც შორიდან. დიახ, ის ისევ იქ იყო, მაგრამ არა ძმაკაცებთან ერთად, არამედ ძალიან ლამაზ გოგოსთან ერთად. ისინი დიდი სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს. უეცრად გადავეშვი ფანტაზიებში და თავი იმ გოგოს ადგილას წარმოვიდგინე. ვიღაცამ შემთხვევით მხარი გამკრა და მოვედი გონს, რომ ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაწილი იყო და მეტი არაფერი. ძალიან მეტკინა გული, როცა რეალობას გავუსწორე თვალი და მათ გვერდით ჩავუარე. არც კი შეუმჩნევიათ თუ კი ვინმემ ჩაუარა, ისე იყვნენ საუბარში გართულები. საუბრისას გოგონამ

ბიჭს სახელით მიმართა: თედო... და ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ მე მისი სახელი გავიგე. სახლში მივედი თუ არა, ჩემს თავს ვუთხარი, რომ თედო უნდა დავივიწყო, რადგან მას საყვარელი ადამიანი ჰყავს გვერდით, მაგრამ არა... ვერ მოვახერხე... ძილის წინაც მასზე ვფიქრობდი და სიზმრებშიც კი მას ვხედავდი. დილაა. გათენდა და მივდივარ სკოლაში. საკლასო ოთახში შესვლისას, თვალი მოვკარი თედოს. ძალიან გამიკვირდა, რომ ის აქ ვნახე. მე სულელმა კი უეცრად გავიფიქრე – ხომ არ მომაკითხა-თქო, მაგრამ არა... ის ჩვენს სკოლაში გადმოსულა, რამაც ძალიან ამაღელვა და თან გამახარა. ჩემი კლასის წინ იყო თედოს საკლასო ოთახიც. მე მას ყოველ წამს, ყოველ წუთს ვნახულობდი და გული გამალებით მიცემდა მის დანახვაზე, მაგრამ მას არასდროს არანაირი რეაქცია არ ჰქონია ჩემს დანახვაზე. მოვიდა სახლში წასვლის დროც. ქუჩაში ვხედავ შეკრებილან ბიჭები და პატარა ბიჭს აწვალებენ. ამ დროს მათ შორის დავინახე თედოც. გავოცდი. არ მეგონა ეს ბიჭი ასეთი თუ იქნებოდა. ვცდილობდი თავიდან ამომეგდო თედო, მაგრამ არ გამომდიოდა. მისი ცუდი საქციელის მიუხედავად, ისევ განუწყვეტლად ვფიქრობდი მასზე. ერთი კვირა არ გავსულვარ ჩემი ოთახიდან. ყველა მეკითხებოდა: რა გჭირსო, მაგრამ პასუხს ვერავის ვცემდი. ერთი კვირის შემდეგ მივდივარ სკოლაში და მხვდება წერილი მერხის ქვეშ. ფურცელზე ეწერა: მე შენ მიყვარხარ! უცებ ვერ მივხვდი, ვინ იყო ამის დამწერი. შემდეგ გავედი გარეთ. თედო მოვიდა და ყურში ჩამჩურჩულა: ნახე წერილი? გაოცებისგან ხმა ვერ ამოვიღე. კანკალმა ამიტანა. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა და ხუთი წუთის განმავლობაში ვიდექი ასე გაშეშებული. შემდეგ შევედი კლასში და მთელი დღე მის სიტყვებზე ვფიქრობდი. თან მინდოდა მისთვის დამეჯერებინა, თან ძალიან მიჭირდა. მას შემდეგ, რაც მაგ პატარა ბიჭს აკადრა. ძალიან დაბნეული ვიყავი. არ ვიცოდი რა მექნა ან ვისთვის გამემხილა ეს ყველაფერი.

დარდს გულში ვიკლავდი და მაინც ჩემით მივიღე გადაწყვეტილება. მივედი მასთან, მის წინ დავხიე ის ფურცელი და ვუთხარი: შენ ჩემი სიყვარულის ღირსი არ ხარ!.. და ტირილით წამოვედი უკან. ისე არაფერი გამჭირვებია ცხოვრებაში, როგორც ამ სიტყვების თქმა. ძალიან ბევრს მწერდა თედო... სოციალურ ქსელში გავხსენი მისი ესემეს, სადაც ეწერა: თუ ახლა არ იქნები ჩემთან, ჩათვალე რომ, ვერც ვერასდროს იქნები. ძალიან მატკინა გული ამ სიტყვებმა და ვერც მის დაკარგვას გადავიტანდი იოლად. დავთანხმდი შეხვედრაზე. შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ არაფერი სერიოზული. ვისაუბრეთ ამა თუ იმ თემაზე. ვხვდებოდი, რომ უფრო და უფრო ვახლოვდებოდით, რაც ძალიან მიხაროდა. გავიდა დრო და ვიყავით ერთად. ჩვენი ურთიერთობა რაღაც დონეზე ჩამოყალიბდა, მაგრამ ეჭვები გამიჩნდა, რომ ის ჩვენ ურთიერთობას სერიოზულად არ უყურებდა და სხვებმაც მითხრეს, რომ თედო მაგარი მექალთანე იყო და ასე ბრმად არ ვენდობოდი. მე მასთან არ შევიმჩნიე ეს ყველაფერი და ისევ ჩვეულებრივად ვიქცეოდი. შემდეგ ვთხოვე მობილური ეთხოვებინა ჩემთვის. უსიტყვოდ მომაწოდა. შევედი ესემესებში და რას ვხედავ?! უამრავ გოგოს სწერს და თან ისე, როგორც მე მწერს. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე: თუ რატომ წერდა ამდენ გოგოს... მან უდარდელად, ცოტა აგდებით მიპასუხა: მერე რაა... მხოლოდ ერთი შეყვარებული ხომ არ მეყოლება... თვალებზე ცრემლები მომადგა, მაგრამ ვეცადე არ შემემჩნია და მაშინვე გავეცალე. დავშორდი თედოს და მეორე დღეს უკვე სხვა გოგოსთან დავინახე. და, საბოლოოდ, შემეცვალა მასზე წარმოდგენა. ბოლოს ისიც მიხვდა, რომ ჩემთან ურთიერთობისას ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო.

მე კი მივხვდი, რომ მეორედ აღარ დავუშვებდი ასეთ შეცდომას და აუცილებლად შევხვდებოდი ადამიანს, რომელსაც ძალიან, ძალიან ვეყვარებოდი.

ბიჭი ჭოლუჭხიჯ

დოქი

როგორც იქნა მეღირსა საკუთარი ექსპედიცია როგორც არქეოლოგს! მართალია, დიდი არაფერი, უბრალოდ, დოქი უნდა ვიპოვო, მაგრამ თავდაპირველად ესეც ძალიან კარგია! ბევრი ვიარე თუ ცოტა, მივედი დანიშნულების ადგილას. უმალვე დავიწყე თხრა! გავიდა ორი წუთი, მერე – ათი, მერე – ოცდაათი და ბოლოს, ზუსტად ერთი საათის შემდეგ ვიპოვე!.. ეს შევძელი!.. გახარებული ვიყავი და ვყვიროდი!.. უცებ შემომესმა ხმა:

– როდემდე უნდა გისმინო?!.

– ვინ არის?! – შემეშინდა... მარტო ვიყავი და ვინ მელაპარაკება-მეთქი?! მაგრამ ამის შემდეგ ორი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და მეც ეს ხმა ჩემი წარმოსახვის ნაწილად აღვიქვი.

დადგა დრო. დოქი მანქანაში უნდა ჩამედო. ჩამედო... და აი, უცებ:

– რას შვრები, შე კაცო?! არ უნდა მკითხო ჯერ?! მინდა... შენთან ერთად წამოსვლა?! იქნებ არ მინდა?!.

მივხვდი, რომ ეს დოქის ხმა იყო და ნაპერწკალივით ასმა ფერმა გამთელა.

– ხო! ხო! ვლაპარაკობ! არ გეჩვენება! ჩემს დროს ჯერ უნდა აგეღო ნებართვა! მაგრამ არა უშავს, ახლა გაპატიებ. იცი, რა კარგი იყო ჩემი დრო?! ვიყავი ახალი, ლამაზი. ისეთი ჩუქურთმიანი კაბა მეცვა... შეგშურდებოდა. ღვინოს მასხამდნენ!.. ქეიფობდნენ!.. კარგი დრო იყო, კარგი!.. მერე... წლებმა თავისი ქნა და უფუნქციო გავხდი.

ამასობაში მე, ამ ამბებით გაბრუებული, ვცდილობდი, დოქი მანქანაში ჩამედო და გამიტყდა! დაიმსხვრა ისიც და ჩემი ოცნებებიც!

მაგრამ არა... რაღაც ხდება... უეცრად განათდა და დოქი სანთელივით აინთო!..

–შენ სულ ხომ არ გარეკე!..

–კიდევ ლაპარაკობ?!.

–კიდევ ლაყბობ?!

– ახლა მოგიყვები ყველაფერს! – დაიწყო დოქმა საუბარი. შორს დადექი და კარგად მომისმინე:

მეთორმეტე საუკუნეში, როცა შოთამ ბოლო სტროფი ჩახატა წიგნში, გახუნებული ფურცლები ოქროსფრად განათდა და მზესავით აბზინვარდა... ფურცლები გაყვითლებულ ცასავით დაჭმუჭნულიყვნენ. ღრუბლები ვარსკვლავებივით ცვიოდა და მათ ადგილებს ხალხის სურვილები იკავებდა. საქართველო დიდი ალმასივით გაბრწყინებულიყო... ხალხის თვალები ტყვიასავით ცისკენ იყო მიბჯენილი.

სწორედ ამ დღეს... ჩემი ღვინით დაილია ამ დიდი ალმასის სადღეგძელო!..

გაოგნებული! მომღიმარი მზერას არ ვაშორებდი დოქს!.. დოქი კი... დოქი თითქოს არაფრად მაგდებდა.

ბედნიერი სახით ისიც ცას გასცქეროდა. ჰაერში ნუშის თეთრი ფანტელები ირეოდა... დოქი კი ისევ ისე იდგა და ცას თვალს არ აშორებდა, ისევ ცას გასცქეროდა.

ანი ჭიჭიბერიძე

დამნაშავე უმეტესად გულგრილი საზოგადოების მსხვერპლია

საზოგადოებაში ოდითგანვე სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი იყო... იყო, არის და იქნება. ჯანსაღი საზოგადოება ჯანსაღ გარემოს ქმნის. ავადმყოფის მკურნალობისას კი აუცილებელია ავადმყოფობის მიზეზების პოვნა და ზუსტი დიაგნოზის დასმა. სხვაგვარად მკურნალი, დახმარებას ვერ შეძლებს.

დღეს თითქოს გადაგვარებულია საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებები. ტოტალურად უცხოვდება ღირსების ატრიბუტები: მორალური სისპეტაკე, მიტევება, უფროსის პატივისცემა, დათმობა, ემპათია და, რაც ყველაზე მთავარია, სიყვარული. ამათ სანაცვლოდ კი ქვეყანაში გახშირდა ძალადობა, მკვლელობა, რომლის მსხვერპლიც ხდება ადამიანი, რომელიც დანაშაულს ჩადის და მერე ღვთისა და ქვეყნის წინაშე ცოდვილი დაიარება.

საჭიროდ ჩავთვალე ჩემი არჩევანის მიზეზი დამეწერა და არგუმენტებად თანამედროვე ცხოვრების ცოცხალი ეპიზოდები მომეყვანა: ჩემს მეზობლად ციხიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ცხოვრობს. მას ბებია ზრდიდა. დედ-მამა დაშორებული ჰყავდა. მას ყველამ ზურგი შეაქცია და მთელი სადარბაზო გულგრილად მოექცა.

თავიდან ის სამუშაოს ეძებდა. პოლიციაში უნდოდა მუშაობის დაწყება, მაგრამ არავინ არსად არ მიიღო. ბოლოს, ისევ „ცუდ წრეში“ მოხვდა. ასე ასცდა კიდევ ერთხელ გზას. დღეს მისი ყოფნა-არყოფნა არავის აინტერესებს . ხშირად მიფიქრია, ნუთუ ისიც ადამიანი არ არის?! ნუთუ მარტო თეორიულად დავიმახსოვრეთ:

„ერთი ადამიანი იმდენივე ღირს, რამდენიც მთელი კაცობრიობაო“ (ნიკო ლორთქიფანიძე). დღეს უამრავ ადამიანსა აქვს ამგვარი პრობლემა.

ერთი თვის წინ ქობულეთელმა თხუთმეტი წლის გოგონამ თავზარდამცემი თვითმკვლელობით დაასრულა თავისი გაუხარელი ბავშვობა. ის ვიღაც გარეწარმა შეაცდინა. ბიძამ და ბაბუამ კი იძალადეს. საზოგადოებამ იჭორავა და ამით დაკმაყოფილდა... „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო...“ თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს!

ვეთანხმები მოსაზრებას, რომ „როცა ხედავ, რომ სუსტს ჩაგრავენ და შენ დუმხარ, მაშინ ხმაურობს შენი გათავხედებული უზნეობა“. ლიტერატურის ისტორია მდიდარია საზოგადოებისა და პიროვნების მამხილებელი მაგალითებით. ძალაუნებურად მახსენდება დიდი ილიას ნაწარმოების „სარჩობელაზედ“ გმირები – ორი ძმა, რომლებიც ავი მამინაცვლისა და გულცივი მეზობლების ხელში გაბოროტდნენ, რადგან მათი ბედი არავის ანაღვლებდა.

საზოგადოების გულგრილობის მსხვერპლნი გახდნენ ძმები ჩიჩილაშვილები მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ორი განაჩენის“ მთავარი პერსონაჟები. არატიპური ძმისმკვლელი ბაჩილა თავს საკუთარ ეზოში იკლავს, რადგან, დარწმუნებულია, რომ მშობლები და საზოგადოება მას ვერ გაუგებენ, ვერ შეიგუებენ და ვერ შეურიგდებიან. ამიტომაც ვთვლი, რომ დამნაშავე უმეტესად გულგრილი საზოგადოების მსხვერპლია.

ჭარიან ბობაჭე

მე ქართველი ვარ!

დიახ, მე ქართველი ვარ!
ის ქართველი,
ვის სისხლშიც
სული ჩქეფს ქართული.
მიყვარს კუთხე-კუნჭული ჩემი,
მიყვარს ოსეთი და აფხაზეთი.
მე ვარ ქვეყნიდან სადაც,
დავითისა და თამარის,
თავდადებული დემეტრეს...
სადაც 300 არაგველის...
გალაქტიონის, ვაჟას, აკაკისა და ილიას...
სხვა ათას გმირთა ჩქეფს სისხლი ქართული.
ყოფილა დღე, გვიჭირდა ერთად,
ყოფილა დღე, გვილხინდა ერთად,
ბევრი ტანჯვა და ბევრი ტკივილი,
ბევრი ღალატი და ბევრი სისხლი.
იდგა ქვეყანა სულ გაუნძრევლად.
შიგნიდან მტერი...
გარედან მტერი...
კვლავ არ დაგინდეს,
არ შეგიბრალეს.
დღეს ჩვენი ერი მყარად დგას ისევ,
ისევ გვინთია სულში სანთელი
და ისევ ცოცხლობს ქართველი ერი!

ნინო ჯუნაშვილი

მანათობელთა ძახილი

სულ ერთი ციცქნა იყო ფერადი ფრთოსანი-ზუ, როცა დაიჭირეს და საგულდაგულოდ გალიაში გამოკეტილს, ერთ-ერთ თაროზე მიუჩინეს ადგილი.

დრო მიიჩქაროდა მის სიცოცხლეს კი არა ემატებოდა რა, ტყვეობას მთლად გადაეგვარებინა მისი უმწეო სხეული, დავიწყებოდა თავისუფლების გემო,

აღარც ბრაზობდა, ოცნებაც აღარ ეკარებოდა მის პაწია გულს, თვით გალობაშიც ვეღარ ჰპოვებდა ხსნას.

ყველასაგან მივიწყებული აიტუზებოდა გალიის კიდესთან და ცივი მზერით ათვალიერებდა არემარეს.

მხოლოდ მაშინ, როდესაც მზე გორათა მიღმა ამოიჭყიტებოდა, ცის ლაჟვარდს ნათელი ფერებით ააკიაფებდა და სამყაროს სინათლეს აჩუქებდა, მხოლოდ მაშინ ღვივდებოდა მის სხეულში მიმქრალი ნაპერწკალი, სულს უფორიაქებდა გაურკვეველი ძალა, ისიც წამოწევდა მოხდენილ ნისკარტს და ინტერესით შეჰყურებდა მნათობს, რომელიც თითქოსდა რაღაცას ეჩურჩულებოდა, მკრთალი გაურკვეველი ბგერები აღწევდნენ ზუს სხეულამდე და ინტერესს უფრო და უფრო უღვივებდნენ....

ჩვეულებრივი, მზიანი დღე იყო, ფრინველი საკენკს შეეექცეოდა და უემოციოდ შიგადაშიგ წამოწევდა ხოლმე თავს. უეცრად თაროზე გალია შემოდეს. არც ეს გაჰკვირვებია და უდარდელად განაგრძობდა საუკეთესო მარცვლების ამორჩევას.

მობეზრდა ეს საქმიანობა და ახალ გალიას დაუწყო დაკვირვება, მალევე შენიშნა ცოცხალი არსებაც, რომელიც უეცრად წამოენთო. დამაყრუებლად გაჰკიოდა და „საკნის“ კედლებს შეუბრალებლად ეხეთქებოდა. უმწეომ აღარ იცოდა რა ეღონა.

ცდილობდა გაერღვია უშნოდ დაგრეხილი ბარიკადები და შეეგრძნო სიციცხლის, თავისუფლების გემო. მისმა გულის ტკივილმა ზუმდეც მიაღწია.

ისიც უცქერდა და თითქოს სული აუფორიაქდაო, მოსვენებას ვეღარ ჰპოვებდა, ნანობდა დროს, რომელიც ტყვეობას შესწირა, თითქოს მის სხეულში პატარა პეპლებმა იწყეს ფარფატიო, დაფარფატებდნენ და ზუს მოქმედებისკენ უბიძგებდნენ...

ღამის წყვდიადი ზანტად მიიზლაზნებოდა.

ვეღარ გაუძლო უმწეოს გულმა, სწვდა საკეტს და მთელი მონდომებით ჩამოჰკრა ნისკარტი. ნეტავ გენახათ რა მოქნილი იყო მისი საოცარი ნისკარტი და, როდესაც მზემ მკრთალი ფერებით შეაფერადა სამყარო მისმა ფრთებმა კვლავაც შეიგრძნეს თავისუფლება ის-ის იყო სარკმლიდან გასვლას და სამყაროსთან შერწყმას აპირებდა მოაგონდა საწყალი არსება მეზობელი გალიიდან, ვერ შეძლო წასვლა და მისი მიტოვება.

მყისვე გალიასთან მიფრინდა და უცნობის გათავისუფლებას შეუდგა.

ბევრი იწვალა არაფერი გამოსდიოდა, ცოტაღა რჩებოდა სადაცაა ამისთვის საკენკის დასაყრელად შემოვიდოდნენ.

დამფრთხალმა გახედა მზეს, რომელსაც უკვე მთლიანად დაეპყრო ჰორიზონტი. საოცარია, საოცარია... ზუს უკვე გარკვევით ესმოდა რას ბუტბუტებდა მნათობი და უეცრად დასწვდა ზუ.

გალიას ნისკარტი მტკიცედ ჩაჰკიდა ფრთები, ღონივრად მოიქნია და მოიგერია უჩინარი სივრცე...

გალია ნაწილებად იყო დაშლილი, ზუ კი არსად ჩანდა.

ნუთუ უკვე გაფრინდა ჩვენი გმირი?!

ოჰ, არა, არა! საწყალს გალია ზედ დასცემოდა და მთლად დაესისხლიანებინა მისი ნორჩი სხეული.

საოცარია, მისი ფრთები კვლავაც გაშლილი და აღმაფრთოვანებელი იყო, გეგონებოდათ სადაცაა წამოენთება და სიხარულით აღტაცებული აისწრაფებს ზეცისკენო.

ხოლო უცნობი შეუსვენებლივ ფრინავდა სანამ შეეძლო... ფრინავდა გაშლილი ფრთებით, გადაჰყურებდა მრავალფერ სამყაროს და მუდამ უსმენდა მანათობელთა ძახილს, უსმენდა საოცარ ბგერებს და ცდილობდა მათამდე მიეღწია...

ლიკა ებრალიძე

არაფრიდან ყველაფრამდე

შუა ზამთარი იყო. დილა თითქოს სიმშვიდით შემოსილიყო. სუსხიანი და ჩაბნელებული. წვიმის ნამი არემარეს მოსდებოდა. ირგვლივ სიჩუმეა, ჩიტიც კი არ გადაფრენილიყო. მე ჯერაც არ ავმდგარიყავ. ისეთი სიმშვიდე იყო, ძილის გარდა, არაფერი მინდოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მხოლოდ ძილით არაფერი გამომივიდოდა. როგორც ადრე, სკოლაში რომ დავდიოდი, დედა რომ შემოაღებდა კარს: ადექი, სკოლაში წადიო... თან თბილი ჩაით რომ დამხვდებოდა ოთახიდან გასულსდალიე და ისე წადიო. ბუხართან ბებო კვერებს დამახვედრებდა ხოლმე: – უჭმელი არსად გაგიშვებო. სკოლიდან დაბრუნებულს თბილი ოჯახი, თბილი სახლი და საკვები რომ დამხვდებოდა, განა არის ამაზე კარგი რამ დედამიწის ზურგზე?! მაგრამ წარსულის მოგონებებიღა შემომრჩა. დღეს უკვე მარტოობაა ჩემ ირგვლივ. ვდგები. გავდივარ ოთახიდან და მხვდება ცარიელი კედლები, სიცივით გაყინული ოთახები... არანაირი თბილი საჭმელი. რატომ?! გეტყვით. იმიტომ რომ, აღარავინ მყავს. დედა შუა გაზაფხულს გარდამეცვალა. კარგად მახსოვს... მაშინ მე თოთხმეტი წლისა ვიყავი. მამაჩემის გარდაცვალების გამო, იმდენი ინერვიულა, გულმა შეაწუხა და უცებ, ერთ დღეს, მისი ცხოვრება, ის ნათელი დღეები შეწყდა. ის დღე ჩემთვის ყველაზე საშინელი დღე იყო. ვერ აგიღწერთ როგორ ან რანაირად ვგრძნობდი თავს. სიტყვებით ამის გადმოცემა ძალიან ძნელია ჩემთვის. სულ პატარა დავობლდი, არ ვიცოდი ცხოვრება როგორ გამეგრძელებინა. დედა სულ მიმეორებდა, რომ „დრო ყველაფრის მკურნალია“. მაგრამ დრო მიდის და შენ კი ჩემთან არ ხარ. მე კი დღესაც იმ სიყვარულით, იმ გრძნობით მიყვარხარ და ყველგან

გეძებ, მაგრამ განა მოხვალ?! განა დამიბრუნდები?! ნეტავ ერთ დღეს მოხვიდე და ჩამეხუტო... როგორ მინდა, როგორც ბავშვობაში დამიძახებდი ხოლმე, ისევ ისე დამიძახო... ახლა მხოლოდ საფლავიღა შემრჩა, სადაც მივდივარ და ვმშვიდდები. დეე, უშენობა დღემდე მკლავს, მანადგურებს, შენ ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ტკივილი ხარ. მე მოვალ შენთან და ისევ ისე, იმავე გრძნობით ჩაგეხუტები. დედის გარდაცვალების შემდეგ, რაღაც დროის მონაკვეთში, ბებოც ავად იყო. ვამჩნევდი, რომ გამოფიტული იყო, სიარულიც კი აღარ შეეძლო. განუწყვეტლად იმეორებდა: მე თუ აღარ ვიქნები, მე თუ აღარ ვიქნები... ჩემი თბილი ბებო. როგორ მიყვარდა. 16 თებერვალი. დილის 08:00 საათი. როცა დილით ავდექი, ბუხართან მკვდარი ვიპოვე. ჯერ მეგონა, რომ, უბრალოდ, დაღლილობისგან ჩაეძინა, მაგრამ, როცა მივუახლოვდი და ბებოს ვეძახდი, ხმას არ მცემდა. ერთ დაძახებაზეც მეუბნებოდა ხოლმე: ბებო აქ ვარ, ბებო გენაცვალოსო. მივუახლოვდი და გაყინული იყო. ცხარე ცრემლებით ავტირდი. ერთი ბებო გამაჩნდა ქვეყნიერებაზე და ისიც წავიდა, მანაც მიმატოვა. მიხარია რომ ოჯახი, რომელიც მყავდა, ისევ ერთიანია... ისინი, იქ, ზევით ერთად არიან... და როცა დრო მოვა, ოდესმე მეც მათთან მივალ. მათთან მივალ მაშინ, მაშინ როცა დრო მოვა.

ამის შემდეგ ჩემი მთავარი მიზანი სწავლა გახდა. მთელი ჩემი ყურადღება სწავლაზე გადავიტანე, რადგან ვიცოდი, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება უნდა დამეწყო... საკუთარი თავის რჩენა უნდა მესწავლა. მთელ დღეებს მეცადინეობაში ვატარებდი, მეგობრებს იშვიათად ვხვდებოდი. დღე-დღეს მისდევდა. თანდათან თავდაჯერებული გავხდი. დედას და მამას ხომ გაუხარდებოდა, როცა გაიგებდნენ, რომ მათმა შვილმა დამოუკიდებელი ცხოვრება აიწყო?! და რა თქმა უნდა, გაუხარდებოდათ. დღესაც კი მენატრება დედაჩემის ცისფერი თვალები, მისი შემოხედვა. მამაჩემის თბილი

ხელები, ხელებს რომ შემომხვევდა ხოლმე: ჩემი გოგო როგორ გაზრდილაო. 2020წლის 15 ივნისი... როცა სკოლა დავამთავრე. ახლა უკვე აბიტურიენტი ვარ. ზაფხული ძალიან თბილი დღეებით დაიწყო. მალე გამოცდები მეწყება. ჩემთვის არავინ აღარ არსებობდა. მთლიანად წიგნებში ვიყავი ჩაფლული. დღე და ღამეს ვასწორებდი კითხვაში. ვიცოდი რომ საკუთარ თავზე მარტოს უნდა მეზრუნა. ჭამაც კი აღარ მახსოვდა.

მოულოდნელად მეგობარმა დამირეკა. ჩემი მეგობარი გერმანიაში სწავლობდა გაცვლითი პროგრამით. მონატრება... მარტო იმას არა, მეც მომნატრებია. როცა გაიგო, რომ იურიდიულზე ვაპირებდი ჩაბარებას, დახმარება აღმითქვა. მე ბავშვობიდან ვოცნებობდი მოსამართლე გავმხდარიყავი.

გამოცდის დღეც დადგა. ვცახცახებდი. ხელი, ფეხი-ყველაფერი მიკანკალებდა. საშინლად ავნერვიულდი. გამოცდიდან გამოსულს, აღარც კი მახსოვდა, რა დავწერე. სახეზეც გაფითრებული ვიყავი და ეტყობა ეს იმდენად დამეტყო, რომ ვიღაც უცნობმა მკითხა: – უკაცრავად, ხომ კარგად ხართ?! შევტრიალდი და დავინახე ცისფერთვალება, მაღალი ქერა ბიჭი დიდი თმით...

– კარგად ვარ, ყველაფერი ნერვიულობის ბრალია.

– იმედი არ დაკარგოთ, ყველაფერი არგად იქნება-მითხრა და წავიდა.

თქვენ ხომ იცით როგორი შეგრძნებაა, როცა გეშინია, როცა ფიქრობ, რომ „ის“ შეიძლება ვერ შეძლო ან არ გამოგივიდეს.

ბიჭს დედაჩემივით ცისფერი თვალები ჰქონდა.

დეე, როგორ მინდა ჩემს გვერდით იყო და როგორ მინდა შენს სითბოს ვგრძნობდე...დეე, ნეტა იცოდე როგორ მიყვარხარ!

უბედნიერესი ვარ. მოვეწყე. ჩავაბარე. მერე კაფეში დამლაგებლად დავიწყე მუშაობა. პირველი ხელფასით დედას იები ვუყიდე.

– თქვენი პატარა გოგო მიზანს მიაღწევს! ძალიან მენატრები! ზამთარში სიცივისგან გაყინულს შენი მოქსოვილი ქუდი მათბობს... გჯეროდეს ცხოვრებას არ დავნებდები.

გავიდა დრო... უნივერსიტეტი დავამთავრე და მოსამართლედ დავიწყე მუშაობა.

ჩემი პირველი სხდომა. ისევ ისე მაკანკალებს, როგორც მაშინ, მისაღებ გამოცდებს რომ ვაბარებდი. დარბაზში გიორგის ვხედავ. გიორგი თავისი დედის მკვლელს უჩივის... მე ყველა საბუთს გულდასმით ვეცნობი და ბოლოს, განაჩენიც გამომაქვს:

– მე-19 მუხლის თანახმად, დამნაშავეს მიესაჯოს უვადოდ თავისუფლების აღკვეთა სხვისი სიცოცხლის განზრახ მოსპობისა და განადგურების გამო.

მერე გიორგიმ ხელი მთხოვა და ჩვენ დავქორწინდით. ცარიელი კედლები სიხარულმა აახმაურა.

დღეს მე უკვე ის პატარა გოგო აღარ ვარ, რომელიც ხელებგაშლილი ელოდა სხვებისგან დახმარებას. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მე მაინც შევძელი ფეხზე დადგომა. მე საკუთარი თავის იმედმა და რწმენამ გადამარჩინა. მე ის „არაფრად“ შემოსილი ცხოვრება ფერადად ვაქციე. ჩემი ცხოვრება თვითონ მე შევცვალე. და დღეს მინდა, თქვენ ყველას გითხრათ: ცხოვრება ომია და იბრძოლეთ... იბრძოლეთ იმისთვის, იბრძოლეთ ამისთვის... იბრძოლეთ ბედნიერებისთვის! იბრძოლეთ ჩემსავით „არაფრიდან ყველაფრამდე“!

ანი ჭარგეშვილი

***

მე უბრალოდ ვწერ სიმწრით ამ
ფურცელზე,
გულის ტკივილები
განა დამელია.

ამას მოგიყვებით მე შევთხზე
ამბავი,
ადამიანი ყველაფრის
განგების.

ერთსა გოგოსა,
ულამაზესი ხეხილი ჰქონია,
თურმე გამვლელებს ყველასა,
ეს სასწაული ჰგონებია.

ერთხელ ერთი დედაბერი
მისულა, შავებში ჩაცმული.
უფიქრია თურმე –
ეს გოგო ძალიან თავზეგასულია.

დედაბერს უთქვამს,
დიდძალ ფულსა მოგცემ,
ოღონდ ეგ ბაღი,
ჩემი უნდა გახდეს.

გოგონამ იფიქრა:
ამ ფულით ბევრსა ვიყიდი ასეთს,
და რამდენი ჩემი ოცნება
შეიძლება ახდეს.

თანხმობა უთქვამს
გოგონას ბეჩავს,
ულამაზესი ბაღი
ასე გაუყიდავს.

სად აღარ უვლია,
ცხრა მთა გადაუვლია,
მაგრამ ამ ხეხილის ფასი,
ვერაფერი უპოვია.

ბოლოს მისულა,
ისევ დედა ბერთან,
ფული არ მინდა
ბაღი მირჩევნია.

უკვე მიყიდია,
ვეღარ დაგიბრუნებ,
ბაღი ჩემიაო –
დედაბერს უთქვამს.

ფული დაუყარა
ფეხებთან დედაბერს,
ბაღისკენ გაქცეულა
და რა უნახავს.

ბაღიდან მჭკნარა
ფოთლები დაუყრია,
აღარ ეტყობოდა
სიცოცხლის ნიშანწყალი.

იქვე დამჯდარა და,
ტირილი დაუწყია...
რამდენი ვიწვალე და
სულ წყალში ჩამიყრია.

ფულზე რად გავყიდე,
ასეთი ძვირფასი?!
– ბოლოს ასე
მწარედ უნანია.

მერე მიმხვდარა რომ,
სიმდიდრე ეს არის,
თუნდაც პატარა რამ
რაც ცხოვრებაში გაგვაჩნია.

ფულზე ვერ გავყიდით,
ჩვენ ამ ქონებას,
რაც ამ ცხოვრებაში
გვაბადია.

ამას ვინც აფასებს,
ის ადამიანი
ნამდვილად
ჭკვიანია.

მაგრამ...
სინანული,
ახლა უკვე,
ძალიან გვიანია!

თინათინ ზუძაძიშვილი

გაზაფხულის სურნელოვანი თოვლი

წვიმა. თოვლი. თოვლჭყაპი. ქარი. სუსხი, მაგრამ მაინც რაღაც სულში ჩამწვდომი სითბო და სურნელიც ტრიალებს ჰაერში. ხან გრილი ნიავი დაიქროლებს, ხანაც თბილი სიო უბერავს – ეს გაზაფხულია. ყველაზე ლამაზი, მხიარული და ათასფრად აჭრელებული. ცოტაც და ირგვლივ მთელი დედამიწა ახლადამობიბინებული ბალახით იფარება. აქეთ იებს ამოუყვიათ თავი, იქით-ენძელებს. პატარები, უსუსურები მზეს შესციცინებენ, იქნებ მეტი სითბო გაიმეტოს ჩვენთვისო. ისეთი ლამაზები და ნაზები არიან, მათი სიმშვენიერით გულში ისეთი სიყვარულის სითბო ჩაგეღვრება, რომ მთელი დღე იფიქრებ, რამ შექმნა ასეთი სურნელოვანნი, ლამაზები და როგორ მატებენ ბუნებას ასეთ მომხიბვლელობას. მოგინდება, რომ დაკრიფო და დედას მიართვა საჩუქრად. მაგრამ ხელს ვერ შეახებ, ვერ მოუსპობ სიცოცხლეს გაზაფხულის ამ უსუსურ, ნაზსა და ლამაზ მახარობლებს, თავისებურ ეშხსა და სილამაზეს რომ მატებენ თავიანთი არსებობით ბუნებას.

მაგრამ, იცით რა ალამაზებს გაზაფხულს ყველაზე მეტად? – აყვავებული ნუშის ხეები. ჩემი სოფლის მინდვრებში კილომეტრების მანძილზე რომ ჩამწკრივებულან გზის აქეთ-იქით და თეთრად გადაპენტილან. გზად მიმავალი გადახედავ იქაურობას და გგონია თოვლით დაფარული არემარეაო, მაგრამ ეს აყვავებული ნუშის ხეებია, სამოთხის ბაღს გვაგონებს იქაურობა. საკმარისია ნელმა სიომ დაუბეროს, რომ ნუშის ყვავილის ფურცლები ცაში აფარფატდებიან, დატრიალდებიან და შემდეგ ნელ-ნელა დაეშვებიან დაბლა... მძიმე-მძიმედ, ნაზად მოედებიან მიდამოს და შენც, თეთრად მოფენილ მიწაზე გაირბენ-გამოირბენ...

ggონია, თოვლი მოსულაო, ხელში აიღებ ბღუჯად ყვავილის ფურცლებს, მაღლა აისვრი. თოვლი... თოვ-ლი... გაზაფხულის სურნელოვანი თოვლი მოსულაო,- გასძახებ გვერდში მყოფთ და ტკბები მისი სინაზითა და სილამაზით. ნანახით მონუსხულს შენც მოგინდება ხის ძირში დაჯდომა. დაჯდები კიდევაც და იფიქრებ, იფიქრებ ათას რამეზე. ლამაზი აზრები არ დაგელევა. ისე გავა დრო, რომ ვერც გაიგებ, რას აკეთებდი მთელი დღე, მაგრამ მე გეტყვით თქვენ... თქვენ სულის სიღრემეში ღრმად იხედებოდით და არასასურველი აზრებისაგან თავისუფლდებოდით.

გარეთ კი ნუშის თოვლის სურნელი იდგა.

ანანო ზუმბაძე

ჩემი ცხოვრება

გამარჯობა. ეს მე ვარ, ალექსი. უკვე რვა წელია, რაც ამ საშინელ ადგილას ვარ გამოკეტილი. დიახ, ზუსტადაც. მე ციხეში ვარ. კიდევ თორმეტი წელი დამრჩა. ზამთარში ძალიან ცივა, ჩვენს განყოფილებაში კი იმაზე მეტად, ვიდრე გარეთ ყინავს. ნორმალური საბნებიც არ გვაქვს. ერთი გამხმარი და გაქუცული პლედი, სულ ესაა. ახალ წელს სიცხიანები შევხვდით, არა მგონია კარგი წელი დადგეს. ყველანი უბედურები ვართ, ბედნიერება აღარც ერთს აღარ შეგვრჩენია და უმეტესობას დასაკარგი აღარც აღარაფერი გვაქვს. მთელი მნიშვნელოვანი წლები ციხეში გავატარე. არც ვიცი სად უნდა წავიდე. ნეტავ ჩემი მეუღლე როგორ არის.

დღეს ოცი თებერვალია. ნელ-ნელა თბება. უკვე რვა წელია რაც აქ ვარ და იმ დღიდან მოყოლებული ვერ ვწყვეტ ფიქრს. ვერ გამოვხატავ იმ შინაგანად გამტეხველ გრძნობას, როცა იღვიძებ და სახლში აღარ ხარ, ვეღარც კედლებსა და ნივთებს ცნობ და... ხვდები, რომ სახლისგან ძალიან შორს ხარ. ალბათ, ციხეში ყოფნამ ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება მიჩვენა. ზოგჯერ იმას ვერვ აფასებთ სათანადოდ, რაც გვაქვს. ორ წუთში თავისუფლება დავკარგე და ნეტავი იცოდეთ, როგორ მინდა გავიღვიძო და ჩემს სახლში ამოვყო უცებ თავი. შევხედო იმ მონაცისფრო კედლებს... ჩემს მეუღლეს შევხედო თვალებში და ვუთხრა, რომ ის ამქვეყნად ჩემთვის ყველაფერია... ბოლოს-დაბოლოს, ის ხომ ჩემი ერთადერთი სიყვარულია.

ახლა დროებით ჩემი სათქმელის წერა უნდა შევწყვიტო. ზარი დაირეკა, რაც იმას ნიშნავს, რომ საუზმე გვაქვს.

– ციხეში ყოფნა რთულია თუ არა?!

– არც ისე, ყველაფერს შეგუება უნდა. ბევრი აქედან გაქცევაზე ოცნებობს, ბევრს კი აღარავინ და აღარაფერი დარჩენია ამ ქყვეყნად, ამიტომ ციხეში რჩებიან და ყოველივეზე თანხმობას აცხადებენ.

– უცნაურია...

– შეიძლება გტანჯავს შეგრძნება, როცა თავისუფლებას მოულოდნელად გამოგაცლიან. ეს ყველფერი ჭკუიდან გშლის, განიცდი, ლამისაა ფსქიოლოგიურად განადგურდე და ერთი უბრალო შეშლილი გახდე. ეს ყოველივე საკმარისია, ციხის გიჟად რომ გამოგაცხადონ. უკვე ყველაფერი სულერთი ხდება, თავისუფლებას კი ასე ეკარგება ფასი. გვერდით აღარავინ გყავს, შენ კი უკვე დანებდი და გარშემო აღარაფერი გაინტერესებს... აღარც მიზნები, აღარც ბავშვობის ოცნებები. უბრალოდ, იმ ადამიანად იქეცი, ვინც არასდროს გინდოდა გამხდარიყავი. ახლა კი ერთადერთი, რაც გამშვიდებს, არის ის, რომ ცხოვრება მწარეა. ყველა ვინც გაიზრდება, შენსავით შეუერთდება ამ მწარე რეალობას. ცხოვრებაც ასე მთავრდება. იშვიათია თუ ვინმეს ამ დროს მეორე შანსი გადაარჩენს. სამწუხაროა, რომ ასე ბევრი ადამიანი დაიღუპა. თუმცა საბოლოოდ რა?! არც არაფერი! ნეტა საკუთარი თავისთვის კითხვა თუ დაუსვამს, ვინ უნდოდა რომ ყოფილიყო?! ან საერთოდაც, ვინ იყო, რა უნდოდა ამ ცხოვრებისგან?! წარუმატებლობის, დამარცხებისა და განსაცდელის გარეშე, შეიძლება ბედნიერებას ვერ მიაღწიო... ნუთუ სწორია ასე რომ ვფიქრობ?! რა არის მთავარი?!

მე მგონი დაინტერესდი, ძვირფასო მკითხველო! გინდა საიდუმლო გაგანდო?! ჩემზე ამბობენ, მკვლელიაო, მაგრამ სინამდვილეში მე „დრო“ მოვკალი. თავიდან ეს გამარჯვება მეგონა, თუმცა ახლა ვხვდები, რომ დავმარცხდი. ერთი ებრაელი ვარ, ისეთივე ჩვეულებრივი, როგორიც შენ. ხუთი წლის ასაკში მშობლებმა სახლიდან გამაგდეს. დასაბრუნებლად კი, საჭმლისთვის ცოტაოდენი

თანხა იყო საჭირო. ასე გავიზარდე. პირველი სამსახურიც ასე ვიშოვე. ახლა რომ მახსენდება, სისხლიანი მოგონება მიჯდება თავში და არ მშორდება. ათი წლის შემდეგ გამოვიპარე და ქუჩაში დავიწყე ცხოვრება. კიდევ კარგი ის მოხუცებული გამოჩნდა და შემიფარა. დიდი სახლი ჰქონდა.მომეფერა. მომიარა. სკოლაში შემიყვანა. განათლება მომცა. ახლა ვთვლი რომ ის იყო ჩემი სახლი, მაგრამ მაინც მენატრებოდა ჩემი მშობლები. დიდი ხანი დავყავი მასთან, მაგრამ გული სხვას მკარნახობდა. ამიტომაც გავიქეცი... გავიქეცი სადღაც შორს. ასე რამდენიმე წელი დავყავი, მაგრამ ქურდობის დროს ჩავფლავდი. გამომიჭირეს ვიღაც მთვრალებმა, უკან დამედევნენ, მე კი სადღაც ჩაკეტილ სივრცეში ვიყავი მობუზული. მომიახლოვდნენ, ცემა დამიპირეს, თუმცა, იმაზე თუ ვის უნდა გამოეყენებინა მოპარული იარაღი, ჩხუბი მოუვიდათ. გადავწყვიტე უცბად ხელი დამევლო იარაღისთვის და გავქცეულიყავი. ასეც მოხდა. იარაღი ჩავიგდე ხელში, მაგრამ ინსტიქტმა თავისი ქნა და ორივე სიცოცხლეს გამოვასალმე. პოლიციამ დამაკავა. ოცი წელი მომისაჯეს. ვერაფერს ვერ ვამბობდი. ციხეში ყოფნისას კი ხშირად ვრჩებოდი საკუთარ თავთან. როცა ხმის ამოღება გადავწყვიტე, უკვე გვიანი იყო. მე ალექსი ვარ! ორმოცდახუთი წლის... უბრალო ებრაელი, რომელიც მკვლელობის ადგილას შემთხვევით მოხვდა და რომელიც, ახლა ციხეში იტანჯება.

ისევ ზარის ხმა! მოგვიანებით გავაგრძელებ თხრობას, ძვირფასო მკითხველო.

ახლა ამ ფურცლებზე წერის მიზანია ის, რომ ყველამ გაიაზროს რისი თქმაც მინდა: ციხეში თავისუფლება დავკარგე. ახლა ვხვდები, რა ფასი ჰქონია თავისუფლებასა და რას უნდა დაუთმოს ადამიანმა გასავლელი ცხოვრება ისე, რომ შემდეგ არ ინანოს. შესაძლებელია ეს ჩანაწერი დიდი რომანის საფუძველი გახდეს, მაგრამ ახლა მხოლოდ ამისი შესაძლებლობა მაქვს. მე მკვლელად მაქცია ჩემმა არეულმა და

დაულაგებელმა ცხოვრებამ. ადამიანსაც ვერ ვუწოდებ საკუთარ თავს იმის შემდეგ, რაც ჩავიდინე. ახლა კი გონს მოვეგე, ვფიქრობ და ვხვდები, რომ ჩემნაირად შეიძლება კიდევ სხვაც გაიზარდოს. კიდევ რამდენი ბავშვი შეიძლება გაიზარდოს ჩემსავით ან ძალიან მძიმე ადამიანად ჩამოყალიბდეს. შემდეგ ამ მწარე გარემოებამ გააბოროტოს და საბოლოოდ, ცხოვრება ციხეში დაასრულოს. ბევრჯერ შემეძლო რაიმე კეთილი საქმე მეკეთებინა... ვინმესთვის დახმარების ხელი გამეწოდებინა. გადავწყვიტე ხმა ამოვიღო. მინდა ყველამ დაინახოს, რა სიბნელეშია გახვეული ეს სამყარო. მე უნდა შევძლო მისი გამომზეურება. დედამიწა შეპყრობილია უამრავი სენით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ არ გავექცეთ სიკეთეს და მარტივად არ ავირჩიოთ ბოროტების გზა, არ ჩავიდინოთ მკვლელობები. არ ვთქვათ ის, რისი თქმაც არ გვინდა. ჩვენს გადასარჩენად კი რაღაცის მოფიქრებაა საჭირო... ვისწავლოთ ერთმანეთის დახმარება, პატიება, მიტევება...რათა ისეთი კვალი დავტოვოთ ამ ქვეყანაზე, რომ, როცა მოვკვდებით და იქ... დიდ კართან დავდგებით, ჩვენში ნაკლებად იყოს იმის განცდა, რომ ჩვენ რაღაცა ძალიან გვინდოდა, ვერ გავაკეთეთ და დრო უქმად გავფლანგეთ. ყოველდღიურად დავიწყოთ ჩვენი მიზნების შესრულება, გავიდეთ გარეთ, შევხედოთ სამყაროს, შევეცადოთ ის მწარე რეალობა, ჩვენ, უბრალო ადამიანებმა რაღაცით შევცვალოთ.

ცოცხალი ვარ, მაგრამ ციხემ ცხოვრება წამართვა. ჩემი ჩანაწერის დასასრულს, მინდა გითხრა, ჩემო ძვირფასო მკითხველო: არ იფიქრო რომ ეს დასასრულია. მე კიდევ ბევრი მაქვს დასაწერი, კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლი. ის, რისი გაზიარებაც თქვენთვის მინდა. ეტყობა, ჩემი მოვალეობაც წერა ყოფილა. მე კი შევეცდები, ჩემში ყოველივე კარგი და ლამაზი აღმოვაჩინო და ასე განვაგრძო ახალი ცხოვრება. მე ვარ ალექსი! მე ვარ ის, რომელმაც თავისუფლების ფასი ციხეში გაიგო!

ინოლუ ღონღუჰე

რა იმალება ნიღბების ქვეშ?!

ხშირად მეუბნებიან, რომ კარგი წარმოსახვის უნარი მაქვს. თუმც, ამჯერად ეს უფრო მეტია, ვიდრე წარმოსახვა. ეს არის რაღაც უცნაური, რამაც შეიძლება დაგაინტერესოს კიდეც.

მე მოვხვდი ჩემსავე წარმოსახულ სამყაროში. უცნაურია, თუმცა საინტერესო. ადგილი, სადაც მე მოვხვდი, ჩვეულებრივი ქალაქი იყო, მაგრამ განსხვავებული მაცხოვრებლებით სავსე. მივდივარ ქუჩაში და ვხედავ უამრავ სახეს. ყველა მათგანი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო, ჩემ ირგვლივ უამრავი ხალხი ტრიალებდა, ყველას სადღაც ეჩქარებოდა. ერთმანეთს არავინ ელაპარაკებოდა. ისინი უბრალოდ გაყინული სახეებით მოძრაობდნენ. გარემოც ამ ხალხის მსგავსად ცივი და ნაცრისფერი იყო, ცაც კი. ქუჩებს ეფინა სქელი, მძიმე ნისლი. არემარე ნესტის სუნით იყო გაჟღენთილი... სიჩუმეს დაესადგურებინა ირგვლივ. არავინ საუბრობდა, ყველანი ჩუმად, თავჩაღუნულნი და სახეგაყინულნი მიუყვებოდნენ გზას. განა შეიძლება, ადამიანი ასე დაემსგავსოს რობოტს?! არავითარი გრძნობები, არავითარი თანაგრძნობა, არავითარი სიყვარული. თითქოს ისინი ისე დააპროგრამეს, რომ ვერც კი მიხვდნენ თუ როგორ გახდნენ ამ სისტემის ნაწილნი.

მოულოდნელად გაისმა ხმა, რომელმაც ყველას შეაწყვეტინა მუშაობა. დამაინტერესა რატომ გაისმა ეს ხმა? ან რატომ გაჩერდა ამ ხმის გაგონებაზე ყველა? ბრბო მოედნისკენ დაიძრა და მეც მათ ავედევნე. მივედით მოედანზე, სადაც შავებში ჩაცმული კაცი შემაღლებულ ადგილას იდგა. მან ბრბოს თვალი გადაავლო და ისე გაიცინა, როგორც მელაკუდამ, რომელმაც თავი მოუყარა ქათმებს და ბედნიერებისგან

გულიანად ხარხარებს. შემდეგ წელში გაიმართა, ჩაახველა და დაიწყო საუბარი:

– მოგესალმებით, ძვირფასებო, დღეის მონაცემებით თქვენმა შრომისუნარიანობის კოეფიციენტმა ხუთი პროცენტით მოიმატა. ხელისუფლება მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მალე უკეთეს შედეგს დადებთ. როგორც ფრანკლინი იტყოდა: „დრო ფულია“, ამიტომ ნუ დაკარგავთ დროს. ახლა კი შეგიძლიათ დაუბრუნდეთ თქვენს საქმეებს.

შავებში ჩაცმულმა კაცმა კიდევ ერთხელ ჩაიცინა და გზას გაუდგა. ხალხიც უცბად დაიშალა. შავებში ჩაცმული კაცი კი ნისლში გაუჩინარდა.

ამ კაცის სიტყვებმა და ხალხის ასეთმა დამოკიდებულებამ ერთობ ძალიან გამაოგნა. არც ერთ მათგანს არ გასჩენია არავითარი კითხვა, მე კი შემდეგმა კითხვებმა მოსვენება დამაკარგვინა: ვინ იყო ეს კაცი?! რატომ უნდა ემუშავათ ამ ხალხს?! რატომ არაფერი თქვეს?! რატომ აქვს ამ ხალხს გაყინული სახეები?! სამწუხაროდ, კითხვებზე პასუხს ვერ ვპოულობდი. მივუყვებოდი ნაცრისფერ ქუჩას, სადაც არაფერი შეცვლილა. ყველანი ისევ გაყინული სახით მიაბიჯებდნენ. უცებ ჩემთვის ჩავილაპარაკე:

– ნიღბიანები.

და უცებ ყველა ჩემი კითხვა სადღაც გაიფანტა და თავში მხოლოდ ერთადერთი კითხვა მიტრიალებდა:

– რა იმალება ნიღბების ქვეშ?

ამასობაში შებინდდა. მზის სხივი, რომელიც ისედაც ოდნავ მოჩანდა, ახლა უფრო შესუსტდა და ძლივსღა ციმციმებდა. ნელ-ნელა ლამპიონებიც აინთო. მეგონა შინ წასვლა მაინც აღბეჭდავდა ადამიანთა სახეებზე ემოციას, მაგრამ ამაოდ. შენობების ფანჯრებიდან ყვითელი შუქი გამოდიოდა. მარტო მე დავრჩი ქუჩაში და ჩაფიქრებული მივუყვებოდი გზას. ისევ ერთადერთი კითხვა მიტრიალებდა თავში:

– რა იმალება ნიღბების ქვეშ?

რას წარმოვიდგენდი, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მხოლად დაღამება იყო საჭირო. ფანჯრებიდან ადამიანების ლანდები აჩრდილებივით მოჩანდნენ. ინტერესმა შემიპყრო და შევიხედე რომელიღაც სახლის ფანჯარაში და დავინახე ადამიანი, რომელიც ტკივილისგან იტანჯებოდა. ნიღაბი არსად ჩანდა. ის მარტო იყო თავის თავთან. მეგონა ეს ყველაფერი მეჩვენებოდა. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ახლა სხვა სახლის ფანჯარაში შევიხედე. იქ დავინახე ქალი, რომელიც შეშინებული იჯდა კუთხეში და ისე ცახცახებდა, როგორც ქარში ვერხვის ფოთოლი. არა! ეს სიმართლე არ არის! აბა როგორ დავიჯერო, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს თავიანთი სიცოცხლისთვის?! ისინი ნიღბებით ცხოვრობენ. რეალურად კი ასე მგონია, მათ ეს არ უნდათ და ერთადერთ მესაიდუმლედ ბნელი ღამე ჰყავთ, რომელიც წყვდიადში ითრევს მათ საიდუმლოს და მზის პირველივე სხივზე უკვალოდ აქრობს. და თუ ეს სიმართლეა, მაშინ რა აიძულებს მათ ამის გაკეთებას?! რატომ არაფერს აკეთებენ?!.. კითხვები დაუსრულებლად ტრიალებს თავში, ერთმანეთში ირევა და ქაოსს ქმნის. სახლის ყველა ფანჯრიდან მოჩანდნენ აჩრდილები... ზოგი გულნატკენი იყო, ზოგი იმედგაცრუებული, ზოგი ნატანჯი, ზოგი სასოწარკვეთილი, ზოგიც შეშინებული და მარტოსული. ღამემ მათ ნიღბებს ფარდა ახადა და მათი ნამდვილი სახეები დამანახა. ყველაფერი შიშის სუნით ყარდა. ირგვლივ მხოლოდ შიში ტრიალებდა- „არსებობის შიში“. რწმენა... რწმენა აქ დიდი ხანია ყველამ დაივიწყა. მათ აღარ სწამდათ აღარც უფლის, აღარც ხვალინდელი დღის, აღარც იმედის, აღარც მომავლის. არა! ეს არ არის სწორი! არა, ეს არ არის სწორი, ისინი შეეგუვნენ ამ ყველაფერს, მაგრამ მე არა! მე არ გავხდები მათი ნაწილი და სანამ იმედის მცირედი ნაპერწკალი მაინც არსებობს, მე ვიბრძოლებ. გავრბოდი რაც ძალი და ღონე მქონდა. თავადაც არ ვიცოდი სად მივდიოდი. მანამდე არ გავჩერდი სანამ ქალაქის განაპირას,

ერთ პატარა ტაძარს არ მივადექი. ტაძრის დანახვამ ძალიან გამახარა. ტაძარი ღია იყო და გადავწყვიტე შიგ შევსულიყავი. ტაძარში ათიოდე ადამიანს მოეყარა თავი და გულმხურვალედ ლოცულობდნენ. ჩემი დანახვა თითქოსდა გაუკვირდათ კიდეც. თავი დავხარე და ჩემთვის ხმადაბლა ჩავილაპარაკე:

– შეიძლება შემოვიდე?

წინამძღოლმა თბილად გამიღიმა და მითხრა:

– უფლის სახლი ყველასთვის ღიაა, მოდი, მიამბე რამ დაგამწუხრა.

ტაძარში შეკრებილთ ვუამბე, რაც თავს გადამხდა. ყველა დადუმდა. ტაძრის წინამძღოლს ვკითხე:

– რატომ აღარ სწამთ ამ ადამიანებს ღმერთის?! რატომ შეწყვიტეს ბრძოლა?! რა არის ამისი მიზეზი?!

წინამძღოლი ცოტა ხანს დუმდა და შემდეგ თქვა:

– ამ ხალხის შეცვლის მიზეზი ფულია. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ფული ეშოვათ. მათ ღმერთი დაივიწყეს და ეშმაკს გაურიგდნენ. ახლა კი ნანობენ, გაყინული სახეებით დადიან და როცა მთვარე ამოდის, მხოლოდ მაშინ ხდებიან ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან. ცდილობენ მოინანიონ, მაგრამ ახლა ძალა არ ჰყოფნით, ბრძოლისუნარიანობა დაკარგეს და სიცივემ დაისადგურა მათ გულებში. მათ უნებურად აღმართეს კედელი... ის კედელი, რომელმაც ისინი ღმერთს დააშორა.

– რადგან ასეა, ჩვენ დავანგრევთ ამ კედელს.

თუ მათ უარი თქვეს ღმერთზე. დარწმუნებული ვარ, ღმერთი არასოდეს იტყვის ჩვენზე უარს.

არ ვიცი რას გავაკეთებდი, მაგრამ ვიცოდი რომ რაღაც უნდა მეღონა. ტაძარში შეკრებილ ხალხს ვთხოვე წამომყოლოდნენ და ტაძრიდან გამოვედით. ჯერ ისევ ბნელოდა, მაგრამ არც ისე ძალიან. მოედნისკენ მივრბოდით იქ, სადაც შავებში ჩაცმული კაცი ხალხს ბრძანებებს აძლევდა. ქალაქში მძიმედ ჩამოწოლილიყო ნისლი. როდესაც მოედანზე მივედით, ჩაირთო ის

ხმა, რომლის გაგონებისთანავე, მთელი მოსახლეობა მოედანზე იკრიბებოდა ხოლმე. სულ რაღაც ათიოდე წუთში ლამპებით ხელში გამოჩნდნენ ლანდები. სიბნელე უფრო შესუსტდა. ყველა გააოგნა იმ ფაქტმა, რომ შემაღლებულ ადგილას შავებში ჩაცმული კაცის მაგივრად ახლა მე ვიდექი. რაც კი შემეძლო გამბედაობა მოვიკრიფე და საუბარი დავიწყე:

– ხალხნო, რატომ შეწყვიტეთ ბრძოლა?! რატომ დაივიწყეთ ღმერთი?! რატომ არა სვამთ კითხვებს?! ნუთუ თქვენს ცხოვრებას ცხოვრებას უწოდებთ?! არა! ეს მონობაა! თქვენი სახეებიც კი ყალბია. თქვენ იბრძვით არსებობისთვის, მაგრამ დავიწყებული გაქვთ სიკეთე, ერთგულება, თანადგომა, მეგობრობა, სიყვარული. მე არ ვაპირებ ნიღბით ცხოვრებას. მე არ ვაპირებ ბრძოლის შეწყვეტას.

ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ხმა არავის ამოუღია. სახეებზე ემოცია კვლავაც ვერ დავინახე. ზევით ავიხედე იმედით და თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი მომეხსნა. სიმშვიდეს ვგრძნობდი, ვგრძნობდი რომ მარტო არ ვიყავი. უცბად უკნიდან გალობის ხმა მომესმა. ისინი გალობდნენ, ერთ მუშტად შეკრებილიყვნენ და გალობდნენ. შორიდან მათი ლამპები ისე მოჩანდა, სანთლები გეგონებოდათ. თვალებიც სითბოთი ავსებოდათ. მზის პირველმა სხივმა გვახარა გათენება და ასე იმედით შევხვდით ახალი დღის დაწყებას. ეს იყო გრძნობა სიმშვიდის, ბედნიერებისა და სიყვარულის. ცამაც ნაცრისფერი მოიშორა და ერთიანად გადათეთრდა. აღმოსავლეთის კალთიდან მზეც ამობრძანდა და თავისი ადგილი დაიკავა ცის ტახტრევანზე. მძიმე ნისლი შავებში ჩაცმულ კაცთან ერთად ისე გაუჩინარდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

მზის სხივებმა გაათბეს ცივი ქალაქი.

ჩვენ დავანგრიეთ კედელი...დავანგრიეთ და დავინახეთ მომავალი. ის მომავალი, რომელმაც უკეთესობისკენ უნდა შეცვალოს ყველაფერს. დავინახეთ სიყვარული... ის სიყვარული, რომელიც ასე გვჭირდება ყველას.

მარიკა ქანდელაკი

ბალერინა

ღამდება... და აი, ისევ ვიწყებ ფიქრს ბალეტზე... ვოცნებობ, რომ ერთ დღეს გავხდე ბალერინა, თუმცა ჩემს ოჯახს არ აქვს სახსრები, რომ ბალეტზე სიარული შევძლო. ყოველ ღამე, ძილის წინ, ფიქრი არ მასვენებს: – რა იქნება ეს ოცნება რომ ამიხდეს?.. მე ხომ მეტი არაფერი მინდა... მაგრამ შემდეგ კვლავ დედის სიტყვები მახსენდება: სჯობს ამაზე ფიქრს თავი დაანებო... და მეც სევდის მორევში ვიძირები...

გათენდა. მზიანი დღე იყო და გასეირნება გადავწყვიტე. როგორც ყოველთვის, ბალეტის შენობასთან მივედი. აქამდე შორიდან ვუყურებდი ხოლმე ამ უზარმაზარ შენობას. დღეს კი ერთი კეთილი გოგონას წყალობით შიგნით შესვლა მოვახერხე. ეს გოგონა ბალერინა ყოფილა. შიგნით რომ შევედი, ყველაფერი იმდენად მშვენიერი იყო, თვალს ვერ ვწყვეტდი. ლამაზი კაბები და ფეხსაცმელები, დიდი დარბაზები, სადაც რეპეტიციას გადიან. ეს ყველაფერი მართლაც რომ მშვენიერი იყო. გოგონა გასახდელში შევიდა, მე დარბაზში ველოდებოდი. და აი ისიც, ლამაზი ვარდისფერი კაბით, მაღლა აჭიმული თმით. ამ ყველაფერს რომ ვხედავდი, სურვილი უფრო მიძლიერდებოდა გავმხდარიყავი ბალერინა.

ცეკვა დაიწყო... ის ისე მსუბუქად და დახვეწილად მოძრაობდა, გავიფიქრე: მე ასე ვერასდროს შევძლებ ცეკვას-მეთქი.

– შენც ცეკვავ? – მკითხა კეთილი, სათნო ღიმილით მშვენიერმა გოგონამ.

– არა... მაგრამ მინდა მეც შენსავით ვცეკვავდე.

– მერედა რატომ არ ცეკვავ?

– ჩემს ოჯახს ფინანსურად უჭირს – ამოვიოხრე მე.

– კვირას შერჩევაა, ნებისმიერს შეუძლია მოსვლა, თუ მოეწონები, უფასოდ შეგეძლება ბალეტზე სიარული.

– მართლა?! მაგრამ... მე ხომ ცეკვა არ ვიცი...

– ნუ ღელავ, მე დაგეხმარები, მე გასწავლი! მთავარია ნიჭი და მონდომება.

– მაგრამ მხოლოდ ხუთი დღე დარჩა...

– მოვასწრებთ! ახლავე დავიწყოთ!

და ჩვენ დავიწყეთ ცეკვა. ეს ისეთი ნაზი იყო, ისეთი ჰაეროვანი. თავი ბუმბული მეგონა, ისეთ აღმაფრენას ვგრძნობდი. ღრუბლებში დავფრინავდი, მაგრამ მე მაინც კარგად არ გამომდიოდა, რამდენჯერმე დავეცი კიდეც, თუმცა კვლავ ფეხზე ვდგებოდი და ცეკვას ვაგრძელებდი.

– კარგია. – მითხრა მან.

– ვიცი მატყუებ.

– არა, ნიჭი და მონდომება გაქვს, ცოტა ტექნიკას სჭირდება დახვეწა.

– ხვალაც რომ მოვიდე, ხომ შეიძლება?

– რა თქმა უნდა, შეიძლება.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და შინ წამოვედი. მთელი გზა ვცეკვავდი, ვერ ვჩერდებოდი. ისეთი ბედნიერი ვიყავი! მეგონა, ვეღარაფერი შემაჩერებდა ჩემი სანუკვარი ოცნების ასრულებაში.

სახლში რომ მივედი, დედას ჩავეკარი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. ვფიქრობდი, რომ გაუხარდებოდა, მითანაგრძნობდა და წარმატებას მისურვებდა, მაგრამ კვლავ მისი ეს სიტყვები:

– არა მგონია რამე გამოგივიდეს... ისინი კარგად, პროფესიონალურად ცეკვავენ, შენ კი უბრალოდ, სამოყვარულო დონეზე... ძალიანაც ნუ გაგიხარდება, თორემ მერე გული დაგწყდება.

მისმა ამ სიტყვებმა გამტეხა. ოთახში შევედი და დედაჩემის სიტყვებზე დავიწყე ფიქრი. იქნებ ის მართალია?.. მე ხომ ვერც კი ვცეკვავ!.. უარი ხომ არ ვთქვა?.. ან იქნებ ცდა ღირს?.. არაა... უარს ვეტყვი!

გათენდა მეორე დღე. სკოლის შემდეგ ბალეტის სტუდიაში უნდა წავსულიყავი, მაგრამ მე უკვე გადავიფიქრე შერჩევაზე გამოსვლა, ამიტომაც წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. საბოლოოდ, გადავწყვიტე არ წავსულიყავი, მაგრამ მოულოდნელად ჩემს კარზე ზარის ხმა გაისმა. ის გოგონა იყო.

– დაგავიწყდა მოსვლა?

– არა... უბრალოდ, გადავიფიქრე...

– რა? რატომ? – მკითხა გაოცებულმა – ნუ სულელობ, თუ არ ცდი, ვერ გაიგებ რა მოხდება.

მისმა ამ სიტყვებმა თავდაჯერებულობა შემმატა, მოტივაცია ამიმაღლა და გადავწყვიტე ამ საქმისთვის თავი არ დამენებებინა, ბოლომდე მებრძოლა და ძალღონე არ დამეშურებინა. რამდენიმე დღეში ცეკვა უფრო დავხვეწე, გავიწაფე.

დღეს უკვე შაბათია, ერთი სული მაქვს როდის გათენდება ხვალინდელი დღე, თუმცა ძალიან ვნერვიულობ. ნეტავ თუ ამირჩევენ?... რა თქმა უნდა, ამირჩევენ! მე ხომ, სულ რაღაც, ხუთ დღეში ძალიან დავიხვეწე!

გათენდა, მთელი ღამე არ მძინებია. უცებ ჩავიცვი და დედასთან მივირბინე. ვთხოვე ჩემს გვერდით ყოფილიყო. ხმა არ ამოუღია, რას ვიზამ, ალბათ არ მოვა. სტუდიაში წავედი. ჩემს კარადაში საჩუქრის დიდი ყუთი დამხვდა, როდესაც გავხსენი, დავინახე მშვენიერი, ფერადი თვლებით გაწყობიდი ვერცხლისფერი კაბა და ვარდისფერი ფეხსაცმელები. ოთახში ჩემი მეგობარი შემოვიდა, მასაც ზუსტად ასეთივე კაბა ეცვა. მაშინ მივხვდი, რომ ეს საჩუქარი მისგან იყო. არა და, ვფიქრობდი, დედამ ხომ არ გამომიგზავნა-მეთქი. მასთან მისვლა რომ დავაპირე, სტუდიაში ერთი ჩია ტანის ქალი შემოვიდა.

– ჩაიცვით და სცენაზე გამოდით! – თქვა მან.

მოვემზადე და სცენაზე გავედი. მე და ჩემი ბალერინა მეგობარი გვერდიგვერდ ვიდექით. ვუჩურჩულე:

– მადლობა.

– რისთვის?

– ყველაფრისთვის. – გამიღიმა და ცეკვა დავიწყეთ. მასთან საუბარი მამშვიდებდა. როდესაც ცეკვა დავასრულეთ, დადგა ყველაზე დაძაბული მომენტი-შერჩევა. ექვსი გოგონა უნდა შეერჩიათ. სამი გოგონა შეარჩიეს, შემდეგ ჩემი მეგობარიც დაასახელეს. კიდევ ორი გოგონა დარჩა.

– ნია. – გაისმა ერთ-ერთი გოგონას სახელი და მხოლოდ ერთი შანსიღა დამრჩა. როგორ მინდა ჩემი სახელი გავიგონო! ისე ვნერვიულობ... მალე, ალბათ, გული საგულედან ამომივარდება. უცებ კარი გაიღო და დარბაზში დედაჩემი შემოვიდა. თითქოს დრო გაჩერდა... აღარაფერი მადარდებდა... მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ დედაჩემი ჩემთან იყო... და აი, ზუსტად მაშინ გაისმა ჩემი სახელი! ბედნიერებისგან იმდენად დაბნეული ვიყავი, რომ ემოციებს ვეღარც კი გამოვხატავდი... მხოლოდ სადღაც შორიდან მესმოდა დედაჩემის გაოგნებისგან გახარებული ხმა:

– შენ ეს შეძელი!.. ჩემმა გოგონამ ეს შეძლო!

ძალიან ბედნიერი ვარ! ახლა უკვე ხელს აღარაფერი მიშლის ოცნების ახდენაში და მე აუცილებლად გავხდები ცნობილი ბალერინა.

ლიზა ქუხუჩე

ხმაურიანი სიჩუმე

ვიხსენებ... ნეტავ მერამდენე გაზაფხულია... მეოცე?! ოცდამეათე?! სარკმელში გაზაფხულის სურნელით გაჟღენთილი ნიავი შემოდის და ჩემი ბნელი კედლის აჩრდილებს ნაზად ეალერსება. ჩემ წინ გულუბრყვილო, ორ დაბალ ვაშლის ხეს ვხედავ. ვფიქრობ, თუ საიდან აქვთ ამხელა გამბედაობა. ასეთი მკაცრი ზამთრის შემდეგ მაინც გამოიღონ კვირტები. აი, უკვე მერამდენე გაზაფხულია და მაინც ზღვის ტალღებზე შემომსხდარი გემებივით ტივტივებენ მოგონებები ჩემში. დიდი ხნის წინ, იმ სუსხიან ღამეს რომ დავმარხე, იმ ღამეს როცა სოფელს იდუმალ, მკვდარ სიჩუმეში ღრმად ეძინა. ახლა მხოლოდ ჩემს მეზობლად მდებარე ანკარა მდინარის სევდიანი დუდუნი მესმის, მხოლოდ მასთან შემიძლია დუმილით საიდუმლოს გამხელა და ჩემში ღრმად დამალულ, ათას ენით გამოუხატავ გრძნობებზე ლაპარაკი. ნეტავ სად მიაქვს ჩემი სიტყვები ან, საერთოდ მიაქვს?!. უკვე კესანებმაც კეკლუცად წამოწიეს თავები კიბეზე და შემახსენეს: „არ დამივიწყო, აქ ვარ, ვგრძნობ, ცოცხალი ვარ“. ხშირად ვხედავ ერთ მოხუცს, რომელსაც სოფელში „მოხეტიალეს“ ეძახიან, რომელსაც ყოველთვის ერთი და იგივე გაურეცხავი ტანისამოსი აცვია, ერთი და იგივე გამოხედვა, ერთი და იგივე სევდა, თითქოს სამუდამოდ მიეკერა ეს ნიღაბი და მისი ნაწილი გახდა... ახლა მხოლოდ სამი თუ ოთხი მეგობარი ჰყავს. ისინი სულ თან დაჰყვებიან, კუდს უქიცინებენ და თავის კეთილ პატრონს სულში გაჩენილ სიცარიელს რაღაც დონით მაინც უქარვებენ. ისიც გაუღიმებს, თავის დარჩენილ ბოლო ლუკმას სამად გაუყოფს და სევდიანი თვალებით ცქერას გააგრძელებს. შეეჩვია მარტოობას, თავის მეორე ნახევრად გადაექცა და სადაც

არ უნდა წავიდეს, ყველგან თან აჩრდილივით დაჰყვება. ახლოდან თუ დააკვირდები, თვალებშივე წაიკითხავ სევდას, რომელიც დიდი ხანია დაივიწყა, მაგრამ ხომ იცით, უძიროა ადამიანის სევდა, ტკვილი... დროებით მიივიწყებ, მაგრამ მაინც ყოველთვის შავი ღრუბელივით დაგყვება და დროგამოშვებით გაწვიმს კიდევაც.

ზაფხული. წლის ყველაზე ხმაურიანი სეზონი. მდინარე მოცინარი და მხიარული ბავშვებითაა სავსე. კაცები თივას ეზიდებიან ჭალიდან, მოხეტიალე კიდევ დახეტიალობს. მე ისევ ვდგავარ და ასე გადის დროც. საღამოს, როცა მზე ჩადის და მისი სხივები ბოლოჯერ კოცნიან მთის მწვერვალს, მე მახსენდება ჩემი ოჯახი, ოქროსფერთმიანი ქეთო, დედამისი თამარი და მამა იაკობი, მახსენდება როგორ მოხატა ქეთომ ჩემი სარკმელი ლურჯად, დარაბები კი ყვითლად. სახლიც სხვანაირი სითბოთი იყო სავსე, მათი სიცილის ხმები ზუილით ახლაც ღრმად ჩამესმის და ახლაც ჩემშია. როგორ გემრიელ საჭმელს ამზადებდა თამარი. მისი სუნი ჩემს კედლებს კიდევ ახსოვს, ახლაც კი შემიძლია ისევ ვიგრძნო. იაკობის ულამაზესი ბაღი, რომელიც ედემის ბაღს უფრო მოგაგონებდათ, ჩემ დაზიანებულ ადგილებსაც მკურნალობდა. ის იყო ჩემი ექიმიც და პატრონიც. ახლა ჩამსხვრეული მინა, კედლების წვეროებში მერცხლების ბუდე და იაკობის კლასიკური ლიტერატურა დამრჩა მტვრიან მაგიდაზე. მახსოვს, როგორ უკითხავდა ქეთოს ძილის წინ და ისიც ყოველთვის დიდი ინტერესით უსმენდა.

აი, შემოდგომა. ხეების ცეკვა და მელოდია, რომელსაც ქეთო ხშირად უკრავდა ბებერ პიანინოზე. ყვითელი ფოთლები... სიჩუმეს რომ ჰგავს, ეგ მელოდია. ყანჩელის უდიდესი ნამოქმედარი. ალბათ, იღბლიანი ვარ ჩემს კედლებს რომ ახსოვთ მუსიკა და სულის სიმებზე აწყობილი ჟღერადობით, მოგონებების სახით აძლევენ ბანს. ახლა სხვივები ისევ ეთამაშება ყვითელ ფოთლებს,

მაგრამ მზე ჩადის და სულ არ უნდა გამომშვიდობება. მე კი ესეც ქეთოს მახსენებს. მას მეგობრები არ ჰყავდა, მაგრამ საღამოს სულ ეზოში თამაშობდა და თამარიც უჯავრდებოდა, რადგან ნერვიულობდა. ისიც მოწყენილი სახით ალაგებდა სათამაშოებს და გაბუტული სახით ამოდიოდა კიბეებზე. ნოემბერი, შემოდგომის ყველაზე არეული თვე და ისევ და ისევ თამარის ხასიათი, ქარი, წვიმა, მზე, ტორნადო და ცისარტყელა. მიზეზი ბზარისა, რომელიც ბოლო წლებში გაჩნდა მასა და იაკობს შორის. მე ყველა ის მტკივნეული სიტყვა მახსოვს, რაც კი ერთმანეთისთვის მიუხლიათ, ყველა კარის გაჯახუნება და ქეთოს ტირილი... ნათლად მახსოვს, არ მშორდება და კოშმარივით თავს დამტრიალებს.

ზამთარი. ახლოში მყოფი „აფერისტი“ მზე, გაუსაძლისი ყინვები და ისევ მოჩვენებად გადაქცეული მოხეტიალე, ისევ იგივე ტანისამოსი, ისევ ის ვიწრო თვალები, ისევ ის დანაოჭებული სახე, ისევ თებერვალის ქარიშხლები და ჩემი სიკვდილის დღე. მეგონა მხოლოდ მაშინ დავსრულდებოდი, როცა დამანგრავდენენ, როცა ამომგლეჯდნენ მიწიდან, როცა ზვავი გადამაყირავდება... მაგრამ არა! მე მოვკვდი, როდესაც მათ ბოლოჯერ გაიჯახუნეს კარები და სამუდამოდ წავიდნენ. სიკვდილი დავიწყება... მოხეტიალეც მკვდარია. უკვე 60 წელია, ჩვენ ვინც მიგვატოვეს, ასე უცებ, ასე გაუცნობერებლად დიდი ხნის წინ მოვკვდით. ადამიანებიც მე მემსგავსებიან... ემსგავსებიან ცარიელ სახლს, როცა მას ყველანი ტოვებენ და შემდეგ სიცარიელე, სიცარიელე... თეთრმა სევდამაც მოთოვა და აი მეც... რად გადავიქეცი?! – ვეკითხები ჩემს თავს. სევდა და წუხილი, სარკმელზე შერჩენილი პატარა, ყვავილების ჩუქურთმებიანი შპალერი.

მიტოვება...

როგორც სახლში, ისე სულში, დარჩენილია სამუდამოდ მიხურული კარებისა და ობის კვალი.

ნინი ჭეჭელიჩე

გეონდეს იმედი და იქნები ბედნიერი

ზაფხულის ერთ საღამოს საშუალო ფენის ოჯახში დაიბადა გოგონა – ნინ, დედა მშობიარობას გადაჰყვა. პატარა გოგონა კი მამისა და უფროსი ძმის ამარა დარჩა. ოჯახის უფროსს ცოლი ძალიან უყვარდა და მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ვერც ახალშობილის დაბადებით გამოწვეულმა სიხარულმა დაუყუჩა, უფრო მეტიც... გარკვეული დამწუხრებული და სასოწარკვეთილი საავადმყოფოს ეზოდან გავიდა და მის შემდეგ მის შესახებ შვილებს აღარაფერი გაუგიათ, ექიმების ამარა დარჩენილ და-ძმას მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა – გიორგი უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში უნდა გაეგზავნათ, ახალდაბადებულ გოგონაზე ზრუნვა კი იმ მედდამ გადაწყვიტა, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. გიორგი ყველაზე მეტად თავზარდაცემული იყო ამ ამბით. დედის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს მამის მიტოვებით გამოწვეული სიბრაზეც დაემატა და ახლა კიდევ პატარა და-ნინი... მთელი ღამე ფიქრობდა ბიჭი, ექიმების საუბარსაც მოუსმინა. ვერ გადაეწყვიტა რა გაეკეთებინა.. მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ მისი ერთადერთი სისხლი და ხორცი, მისი ოჯახი ახლა მხოლოდ ეს ახალშობილი იყო. მთელი ღამე თეთრად გაათენა. ბოლოს აფორიაქებული ახალშობილის ოთახში შეიპარა, ჩვილი გულზე მიიხუტა და მიიხუტა თუ არა, მაშინვე იგრძნო, რომ არასოდეს არ მიატოვებდა. სანამ მორიგე ექიმი პალატებს შემოივლიდა, ოთახიდან გამოსვლა მოასწრო და ფეხაკრეფით გადაკვეთა საავადმყოფოს ეზო.

გამთენიისას და-ძმა თბილისისაკენ სატვირთო მატარებელს გაჰყვა. რამდენიმე კვირა ბიჭი ტვირთის ზიდვით ირჩენდა თავს, ბინა კი ერთ-ერთი მიტოვებული

შენობის ოთახში დაიდეს. რამდენიმე დღეში ერთ-ერთმა ქარხნის უფროსმა შენიშნა ქუჩაში მოსიარულე ბიჭი, რომელიც პატარა გოგონას ასეირნებდა. ქარხნის მეპატრონე მათი ბედით დაინტერესდა, გიორგიმაც გულწრფელად უამბო თავისი თავგადასავალი. მეპატ-რონეს შეეცოდა ბიჭი. იგი მაშინვე თავის ქარხანაში წაიყვანა, ქარხნის ეზოში კი მუშებისთვის განკუთვნილი ერთი ოთახი გამოუყო და იქ დააბინავა. ასე თუ ისე, ბიჭს ნორმალური სამუშაო ჰქონდა. უფროსიც ხელს უწყობდა და დის მოვლასაც მშვენივრად ახერხებდა. შედარებით უკეთესად აეწყო მათი ცხოვრება. დრო გადიოდა. გიორგის მუშაობა, პატიოსნება და სიბეჯითე შეუმჩნეველი არ დარჩენია ქარხნის მეპატრონეს. ბიჭს უფრო და უფრო მაღალ თანამდებობაზე აწინაურებდ-ნენ. ასეთმა შესაძლებლობამ ბინის შეძენისთვის თან-ხაც დაუგროვა ობოლ და-ძმას და მალე მათ საკუ-თარი ჭერი ეღირსათ. ნინი უკვე აბიტურიენტი იყო, ის ყოველთვის ცდილობდა თავის ძმას გვერდით ამოსდ-გომოდა. ამიტომ დღის მეორე ნახევარში ისიც კაფეში მიმტანად მუშაობდა. ასე სწავლასაც ახერხებდა და მუშაობასაც. გოგონას ერთი დიდი ოცნება ჰქონდა. მას ხატვა ძალიან უყვარდა და მიზნად დაისახა ცნობილიდიზაინერი გამხდარიყო. თუმცა, ეს გარკ-ვეულ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა და გოგონაც საკუთარი სურვილის გამხელისგან თავს იკავებდა. და-ძმა ერთმანეთს ძალიან ჰგავდა. ორივე ერთნაირად შრომისმოყვარე, სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო ტანის წაბლისფერთმიანი და თაფლისფერთვალება იყო.

მალე ქარხანა დაკეტეს. გიორგი იძულებული გახდა სხვა სამუშაო მოეძებნა და ამჯერად ერთ-ერთი მდიდარი ოჯახის პირად მძღოლად დაიწყო მუშაობა. შემოსავალი არც თუ ისე ურიგო ჰქონდა. უმუშევრობას კი ყველაფერი ერჩივნა. ნინი ისევ კაფეში მუშაობდა. ერთ-ერთ სამუშაო დღეს, გოგონას შეკვეთა მიჰქონდა

მაგიდასთან. კაფეს გვერდით პატარა ხელოვნური ტბა გაეკეთებინათ. მოულოდნელად გოგონას ვიღაც დაეჯახა და ტბაში ჩააგდო. შეშინებულმა გოგომ ისტერიული ყვირილი დაიწყო. მან ცურვა არ იცოდა. მის საშველად კი ჩანდა არავინ ფიქრობდა წყალში გადახტომას. გოგონას დასახმარებლად მოულოდნელად კაფეს ერთ-ერთი სტუმარი გადაეშვა წყალში და ნინი წყლიდან ამოიყვანა. როცა გოგონამ სული მოითქვა, მადლობის მაგივრად ბიჭს ჩხუბი დაუწყო...

– როგორ იქცევით?! თქვენ გამო წყალში გადავვარდი...

ბიჭმა გაოცებულმა შეხედა ნინის, მერე ღიმილით მიუგო: – მე არ დაგჯახებივარ, ჩემო კარგო. მე მხოლოდ გადაგარჩინე....

ნინის უცნობის ძალიან შერცხვა...გაწითლდა...მერე დააკვირდა... თანდათან გააცნობიერა რაც დაემართა... კი, ნამდვილად სხვა დამეჯახა – გაიფიქრა ნინიმ და ამჯერად უკვე ბოდიშის მოხდამ მოუწია.

– მაპატიეთ, წამიერად დავიბენი, თქვენთან მადლობის მეტი არაფერი მეთქმის-სასწრაფოდ წამოდგა და კაფესკენ გაეშურა. უცნობმა გოგონას თვალი გააყოლა. მერე დაეწია და გააჩერა:

– მოიცადეთ, კაფეში ასე ხომ ვერ მიხვალთ. ნება მომეცით, მეგობრობის ხელი გამოგიწოდოთ და აქვე მღაზიაში გამომყვეთ. ორივესთვის მშრალი ტანსაცმელი ვიყიდოთ – გოგო შედგა დარცხვენილმა მიმოიხედა... კაფეში, თან ასეთ პრესტიჟულ კაფეში, ასე ჩაცმული დაცინვისა და საყვედურის მეტს ვერაფერს მიიღებდა.

– ისედაც ბევრი გააკეთეთ ჩემთვის, საჭირო არ არის-უპასუხა უცნობს. ბიჭი უკან დახევას არ აპირებდა. სახეზე კვლავ ღიმილმა გადურბინა...

– კარგი, მაშინ ასე გავაკეთოთ. თქვენ ჩემთან ვალში ხართ. მე ხომ გადაგარჩინეთ ახლ კი ვალდებული ხართ მეც დამეხმაროტ და აქვე მაღაზიაში მშრალი ტანსაცმელი ამარჩევინოთ. ნინის სახეზე წამიერმა

ბრაზმა გადაუარბინა. თუმცა, მალევე მიხვდა უცნობის ჩანაფიქრს. ის ახლა ამ გზით ცდილობდა მის დათანხმებას... წინააღმდეგობა არ გაუწევია, ხმის ამოუღებლად გაჰყვა ქუჩის მეორე მხარეს მდგარ მაღაზიაში.

– ხო მართლა, მე ნიკა მქვია – უთხრა ბიჭმა და ხელი გაუწოდა.

– ნინი...სასიამოვნოა – ხმადაბლა გაეპასუხა ნინი.

ისინი გზის მოპირდაპირე მაღაზიაში შევიდნენ. ტანსაცმელი იყიდეს, იქვე ჩაიცვეს და ისე გამოვიდნენ გარეთ.

– არ მოგშივდათ?! მოდით, რამე მივირთვათ...

– არა... გმადლობთ... მე უნდა წავიდე... თანაც უკვე საკმარისად შეგაწუხეთ.

– რას ამბობთ?! რა შეწუხებაა?! წამობრძანდით... გთხოვთ... ნუ მაწყენინებთ.

ისინი იმ კაფეში შევიდნენ, რომელშიც ნინი მუშაობდა. დიდხანს ისაუბრეს... თავისდაუნებურად ისე გამოვიდა, რომ ერთმანეთი უფრო ახლოს გაიცნეს. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ნიკას თავისი კომპანია აქვს, სადაც ახალგაზრდა ნიჭიერი დიზაინერები ჰყავს დასაქმებული და თვითონაც დიზაინერია.

ნინის ძალიან გაუხარდა... ის ემოციებს ვერ მალავდა.

– მართლა? ჩემი ოცნებაა დიზაინერი ცნობილი გავხდე. მე ძალიან მიყვარს ხატვა. კარგია და რას ელოდები?! სწავლობ?!

– არა... ჩემს ძმას ვეხმარები... ფინანსური მდგომარეობის გამო ვერ ვახერხებ.

– არა უშავს... გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ჩემი კომპანია ხშირად უფინანსებს სწავლას ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს. შემიძლია დაგეხმარო და თანაც თუ წარმატებით ჩააბარებ ყველა გამოცდას, სანამ სწავლას დაასრულებ, შეგეძლება ჩემთან დამწყებ დიზანერად იმუშაო.

– ამას ჩემთვის მართლა გააკეთებთ?!

– რასაკვირველია.

ნინიმ მადლობა გადაუხადა და შემდეგ დარცხვენილმა და დაბნეულმა უთხრა:

– მაპატიეთ, მაგრამ ჩემი წასვლის დროა. სახლში, ალბათ, ჩემი ძმა უკვე მელოდება.

თქვენი ნებაა... როგორც გინდათ... წამოდით, მანქანით წაგიყვანთ სახლამდე.

– არა. გმადლობთ. აღარ შეგაწუხებთ. მე აქვე ვცხოვრობ.

– ასეთ დროს მარტო სიარული საშიში მგონია.

თქვენ მაგაზე არ იდარდოთ. მე ყოველთვის ამ დროს ვბრუნდები სამსახურიდან.

ნიკას გაცილებაზე ხმა აღარ ამოუღია. მხოლოდ ის უთხრა, რომ თქვენობით აღარ მიემართა მისთვის. ტელეფონის ნომრები გაცვალეს და ერთმანეთს თბილად დაემშვიდობნენ.

როდესაც ნინი შინ მივიდა, გიორგი არ დახვდა, მაგიდაზე კი ფურცელი იდო და ეწერა, რომ ის გვიან დაბრუნდებოდა და ნინის არ ენერვიულა.

ნინის ერთი მეგობარი ჰყავდა -ელენე. სწორედ მას დაურეკა ნინიმ და მასთან მისვლა სთხოვა. ერთი სული ჰქონდა ნინის ელენესთვის იმდღევანდელი ამბავი მოეყოლა. ელენემაც არ დააყოვნა და ნინიმაც ყველაფერი დაწვრილებითუამბიო.

– იქნებ მოეწონე ?!

– არა... რას ამბობ?! ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ! თანაც ის ჩემნაირ გოგოს ზედაც არ შეხედავს.

– რატომ გგონია ასე?! – იმიტომ რომ ის მდიდარია, მე კი ვინ ვარ? მხოლოდ და მხოლოდ კაფეში მიმტანი... მეორე დღეს ნინი სამსახურიდან გაათავისუფლეს წინა დღის ინციდენტის გამო.

ატირებულ ნინის ქუჩაში შემთხვევით ნიკა გადაეყარა და როგორც შეპირდა, კომპანიაში დიზაინერის ასისტენტად დააწყებინა მუშაობა.

ნინი ნიკამ სახლამდე მიაცილა და ნინის ძმაც გაიცნო.

ნიკამ ნინის ხათრით ელენესაც თავისთან დააწყებინა სამსახური.

გეგა ნიკას კომპანიაში მენეჯერად მუშაობდა და ელენე დანახვისთანავე მოეწონა.

ელენე ნინის კითხვებით თავს აბეზრებდა. მას ცნობისმოყვარეობა კლავდა გაეგო რა ხდებოდა ნიკასა და ნინის შორის.

ნინი ჯიუტად უმტკიცებდა ელენეს, რომ უფლისწული და კონკია მხოლოდ ლამაზ ზღაპარში რჩებიან ერთად.

ნინის დაბადების დღე... ტელეფონი არ ჩერდება... მოლოცვები... მხოლოდ ნიკა არ ჩანს... კარებზე ზარი და კარებთან ზღაპრული ვარდები ნიკასგან... მერე თვითონ ნიკა და სიყვარულში გამოტყდომა... მერე სიხარული და სიხარულისგან აღმაფრენა... ნინი ძალიან, ძალიან ბედნიერია... ნიკას თავი სიზმარში ჰგონია. ნინის ბეჭედი ზუსტად მოერგო. მღელვარებისაგან ხმა წაერთვა. ზღაპარი ახდა!

ლუკა ჯუანსტონი

* * *

ომიდან-მშვიდობა არც ისე შორია...
როცა გმირები ამდენი გვყოლია...
როცა ვახტანგი ღვთის კაცი გვგონია...
დავითი ლომივით შებმია გოლიათს!

თამარ მეფე რომ ასეთი გვყოლია,
ერეკლეს სახელი მსოფლიოს სცოდნია...
მტერი ახლაც არ გვასვენებს... მოდიან...
ამდენი მტრის ყოლა ადვილი როდია?!..

ეს გამარჯვება არ უნდა დამთავრდეს!
უნდა ვიშრომოთ! არ უნდა დავმარცხდეთ!
შორიდან დიდგორი, შამქორი, კრწანისი!
ბიჭებო, გამაგრდით! წარსულის ხმა ისმის!

ალექსი ქუბლაშვილი

ნუშების თოვა

2021 წლის თებერვალი იდგა. თენგო დილით ადრე, ჩვეულებისამებრ, სამსახურისკენ მიმავალი ნაცნობ ქუჩებს მიუყვებოდა. ცივი ქარი ქროდა. მიდამო თოვლით იყო დაფარული. არ ისმოდა არც ბავშვების და არც ხალხის ჟრიამული. სრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. თითქოს სოცოცხლე გამქრალიყო. მაწანწალა ძაღლები თუ გაირბენდნენ ხანდახან, ისინიც შიშით უყურებდნენ თენგოს, მხოლოდ კუდს აქიცინებდნენ. ის კი ნელი ნაბიჯით აგრძელებდა გზას, ჩაფიქრებული მიუყვებოდა ქუჩას, უიმედო მზერით აკვირდებოდა არემარეს. თან ახსენდებოდა ოჯახი, მეგობრები, ნათესავები, რომლებიც თვეზე მეტია არ ენახა. ენატრებოდა მათი ხმა, ღიმილი.

თენგო შეჩერდა. მოიხსნა პირბადე. ღრმად ჩაისუნთა, ფილტვები სუფთა ჰაერით აევსო. მისი ყურადღება იქვე მდგარმა ნუშის ხემ მიიქცია. დიდხანს უყურებდა, აკვირდებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა. ნუში გაყინულიყო, ვერ გაეძლო ცივი ზამთრისთვის. მოულოდნელად თენგოს თვალები გაუნათდა. მან შენიშნა პატარა ყლორტი, რომელიც ნუშის ფესვიდან ამოსულიყო და ისე ღრმად ჩასჭიდებოდა მიწას, რომ ეტყობოდა გადარჩენას ცდილობდა.

– „იცოცხლებს... გამოგვივა!“ – წამოიძახა გახარებულმა თენგომ და იმედიანი, სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა სამსახურისკენ. ჩაიცვა თეთრი ხალათი. მოირგო სკაფანდრი და იმედიანად შევიდა პალატაში. სარკმლიდან შემომავალმა მზის პირველმა სხივებმა გაათბო და გაანათა ირგვლივ ყოველივე.

გავიდა დრო. დღე დღეს მისდევდა. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს კი თენგო ისევ მიუყვებოდა ნაცნობ ქუჩას და... „ჰოი, საოცრებავ!“ ნუში აყვავებულიყო და გაზაფხულის მოსვლას აუწყებდა დედამიწას. თეთრად აფეთქებული ნუშების „თოვლი“ მოსდებოდა ქვეყანას. თენგომაც მიაღწია დასახულ მიზანს და ყოველ დილით, ჩვეულებისამებრ, მიუყვებოდა სამსახურისკენ მიმავალ ნაცნობ გზას და ამჯერად უკვე კმაყოფილი უყურებდა მომღიმარსა და ბედნიერ სახეებს... აფეთქებული ნუშის ხეები კი თვალს უკრავდნენ და დილა მშვიდობისას ეუბნებოდნენ.

ნინო ჯაჯანაშვილი

გიორგი ლეონიძის „მარიტას“ მიხედვით

ადამიანი დაბადებიდან არის თავისუფალი... იზრდება, ვითარდება, თავად ირჩევს ცხოვრების გზას და იღებს გადაწყვეტილებებს.

გიორგი ლეონიძემ მოთხრობა „მარიტაში“ შესანიშნავად წარმოაჩინა, როგორ შეიძლება იქცეს ხალხი ბრბოდ. რაც იმას ნიშნავს რომ, სიბრძნის ადგილი დაიკავოს უგუნურებამ, არჩევანისა და თავისუფლების უფლება – მონობამ, სიყვარულის – სიძულვილმა, სინათლის – სიბნელემ, სიკეთის – ბოროტებამ.

ხალხი ბრძენია რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხი პიროვნებათა თავმოყრაა, პიროვნება გონიერია, მას უნარი აქვს გადაწყვეტილების მიღებისა, საკუთარი არჩევანისა, კეთილის და ბოროტის არა მხოლოდ გარჩევისა, არამედ კეთილის არჩევისა. ბრბო უსახო, უპიროვნო მასაა... ერთ რომელიმე ძალას დამორჩილებული. ბრბო უგუნური, მორჩილი, უღირსებო, მიწიერი სულისკვეთების თვალდაბრმავებული და სმენადახშულია. პიროვნებაში ეს ჭიდილი არასოდეს მთავრდება, პირიქით, ამ ჭიდილში იწრთობა ადამიანის ნებისყოფა, ხოლო სუსტ ადამიანში იმარჯვებს ხორციელება და მაშინ ადამიანი ცხოველური ინსტიქტების მონა ხდება. ბრბოდ გადაქცეულ მასაში ადამიანები დაჩლუნგებულები და თავისუფლებადაკარგულნი ხდებიან. პიროვნება ზრუნავს შინაგანი ჰარმონიის მოპოვებაზე. სახარებაში იესო ამბობს: „მიეცეს კეისარს კეისრისა“. ადამიანის „ხორციელებაზე“ ფიქრი არ უნდა აღემატებოდეს სულიერებაზე ზრუნვას. ადამიანს სჭირდება როგორც „ხორციელი“ (სხეულის ზრდისთვის), ასევე სულიერი საზრდო (სულიერი ზრდისთვის). როგორც სახარებაში წერია: „არა მარტო პურითა ცხონდების კაცი“, სულის

უპირველესი მასაზრდოებელი კი რწმენაა. უფლის მცხოვრებნი მაშინ იწოდებიან ხალხად, როდესაც ისინი აღიქვამენ და ადარებენ მარიტას არამიწიერ მშვენიერებას. ხალხის გადაქცევა ბრბოდ სამყაროს ტრაგედიაა. ბრბო არის მარტივად დასამორჩილებელი მასა. იგი ანადგურებს ყველაფერს... უპირველესად კი, პიროვნებას.

ხალხის ბრბოდ გადაქცევა შეიძლება ძალიან სწრაფად მოხდეს, ამისთვის საჭიროა გამოჩნდეს ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ადამიანებზე ზემოქმედება. მას აქვს უნარი თავის ნებას დაუმორჩილოს ყველა. ასეთი ადამიანები შეიძლება ადრე უჩინარები იყვნენ, მაგრამ შემდეგ შეიძლება უცებ გამოჩნდნენ და გავლენა მოახდინონ თავიანთი ძალით სამყაროზე. ყოველთვისაა იმის საფრთხე, რომ უცხო და გამორჩეული ადამიანი წარმოჩინდეს ბელადად. ურჩხულის დამმარცხებელი თვითონ იქცეს ურჩხულად, ტირანად და სხვა რაიმე ტიპის ერთპიროვნულ მმართველად. აქ საშიში სწორედ ეს ერთპიროვნულობაა.

ადამიანთა უმრავლესობა მიდრეკილია თავი დააღწიოს მტანჯველ ფიქრებს და სხვას მიანდოს გზის ძიება თუ გადაწყვეტილების მიღება. მას ჰგონია, რომ ფიქრებისგან გათავისუფლებით ცხოვრებას გაიიოლებს, მაგრამ ამგვარად ის პიროვნულობას, სულიერებას, ადამიანობას კარგავს. ოდნავ თვალის მოხუჭვაც კი საკმარისია უსახო ბრბოდ გადაქცევისთვის. ამიტომ ყოველთვის ჩაუმქრალად უნდა ენთოს ადამიანის სულში მოყვასის სიყვარული.

XX საუკუნეში დამკვიდრებული სტერეოტიპები:

„ქალის საქმე მხოლოდ საოჯახო საქმეების კეთებაა...“

„პოლიტიკაზე აზრის გამოთქმა ან პოლიტიკოსობა მხოლოდ კაცის საქმეა...“

„შვილების ქორწინების საკითხი მის აღმზრდელებს ეხებათ...“

„მთავარია, ქალმა საოჯახო საქმეების კეთება იცოდეს... ესეც საკმარისია ქორწინებისთვის...“

„აუცილებელი არაა ქალმა განათლება მიიღოს...“

„ოჯახის რჩენა მხოლოდ კაცს ეხება...“

„შვილების აღზრდისა და გაზრდის საკითხი მხოლოდ დედას ეხება...“

„ქალი ვერასოდეს იქნება ინიციატორი...“

„კაცია და გადაწყვიტოს...“

ადამიანების განვითარება დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ის იზრდება. XX საუკუნეში ზემოთ მოხსენიებული სტერეოტიპები ძალიან პოპულარული იყო, თუმცა მათ დღესაც ხშირად ვხვდებით.

გიორგი ლეონიძის ამ ნაწარმოებში ჩემთვის ყველაზე მკაფიოდ ერთი სტერეოტიპი ჩანს...ეს არის ქორწინების საკითხის გადაწყვეტა გარეშე პირების მიერ მთავარი ინდივიდების ნების საწინააღმდეგოდ. გარიგებით ქორწინების საფუძველი თითქმის ყოველთვის მატერიალური კეთილდღეობაა.

მარიტას მეძროხე გედია უყვარდა. მისმა ბებიამ და ციციკორემ კი გარიგებით შეთეს მიათხოვეს. ფიქრობდნენ, ასე მარიტას უზრუნველი და ბედნიერი ცხოვრება ექნებოდა. მარიტა ბებიის მსგავსად ძალიან ბეჯითი იყო. საქმის კეთება არსოდეს ეზარებოდა, ხალიჩების შესანიშნავი მქსოველი იყო. საყვარელ ადამიანთან ერთად ბევრს იშრომებდა, მთებს გადადგამდა და მიზანს მაინც მიაღწევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მარიტას საქმე ქმრის უპირობო ქვეშევრდომობა იყო.

საბედნიეროდ, დღეს ეს სტერეოტიპი ბევრმა წყვილმა დაამსხვრია. ოჯახში ქალსა და კაცს თანაბარი უფლებები აქვთ, ანუ ქალსაც შეუძლია იმუშაოს, გამოთქვას საკუთარი აზრი, მიიღოს განათლება ან აკეთოს საყვარელი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ დაქორწინებულია.

ქორწინება მონობას არ ნიშნავს! ოჯახში ქალმაც და კაცმაც ერთმანეთს ხელი უნდა შეუწყონ, რათა უკეთესად წარმოაჩინონ საკუთარი თავები საზოგადოებაში. შეიძლება ცოლი ქმარს რაღაც საკითხში დაემორჩილოს ან პირიქით, თუმცა ეს შიშითა და ძალდატანებით კი არა, სიყვარულით უნდა ხდებოდეს.

XX საუკუნეში შექმნილი ნაწარმოებები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც არავის აქვს უფლება პირდაპირი გაგებით „ჩაქოლოს“ ვინმე, ან ცილი დასწამოს. თუმცა დღესაც ისევ ხდება ბევრი ქალის „ჩაქოლვა“. მათ არა აქვთ უფლება იყვნენ რეალიზებულნი ან საკუთარი შრომით დოვლათი შექმნან.

საუკუნეების მანძილზე პოპულარობას არ კარგავს მოწოდება: „არა ძალადობას ოჯახში!“ „არა ძალდატანებით ქორწინებას!“ ეს ადამიანების განვითარებისა და განათლების დაბალ დონეზე მეტყველებს, რაც ნამდვილად სამწუხარო ფაქტია.

ყველა ადამიანი ვალდებულია დაფიქრდეს, თავისდაუნებურად ხომ არ გვევლინება „ციციკორედ“, „შეთედ“ ან იმ სოფლის თავკაცად, რომელმაც დაუფიქრებლად შეიძლება გადაუწყვიტოს ადამიანს ბედ-იღბალი და საბოლოო განაჩენიც დაუფიქრებლად გამოუტანოს.

მე, როგორც საზოგადოების ნაწილმა, მინდა ვიცხოვრო იმ საზოგადოებაში, სადაც ყველა ადამიანი იცავს უპირველესსა და მთავარს. ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი უფლებები.

ჯესიკა ჯაჯალია

წარსულის დაბრუნება

ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ რომ წავიკითხე, ჩავფიქრდი... თედო ძალიან შემეცოდა. ის ჩემი თანატოლი იყო და არ იმსახურებდა იმ ყოფას, რომელშიც ცხოვრობდა, ამიტომ გადავწყვიტე ნაწარმოების ფინალი შემეცვალა.

თედომ დატოვა მარო ბებოს სახლი და თბილისისკენ გაემგზავრა. თბილისში ჩასვლისთანავე იყიდა ბევრი წებო, რათა თავისი შინაგანი ტკივილი დაემალა. ეს ტკივილი გარედან არ ეტყობოდა, თვითონაც ამბობდა, რომ აღარ ანაღვლებდა მამამისი. თუმცა, ეს ასე არ იყო, თორემ ადამიანმა რატომ უნდა ყნოსოს წებო და ვირტუალურ სამყაროში გადავიდეს?! თედო ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ჯერჯერობით მისი მიზანი არ ჩამქრალიყო. ის ისევ აგრძელებდა ყნოსვას და ვერ ივიწყებდა, უბრალოდ, ამ ყველაფერს. იმედგაცრუება ფარავდა და თავს იტყუებდა, რომ მამა არ ანაღვლებდა. თედო სანამ თავს იტყუებდა, მას მამამისი ყველგან ეძებდა. როდესაც თედომ აფხაზეთი დატოვა, მამას თავისი ცოლის დაღუპვის გამო, მოუწია მოენახულებინა თავისი ძველი საცხოვრებელი სახლი. რა თქმა უნდა, იქ მარო ბებო შეხვდა. მარო სიხარულის ცრემლების ფრქვევით მოუყვა ყველაფერს. მამას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმედი დაუბრუნდა, რომ ოჯახის შეკრება ისევ შესაძლებელი იყო. მამამ თავისი ცოლშვილი თბილისში გაამგზავრა, თვითონ დაჭრილი კი აფხაზეთში დარჩა. ომი რომ დამთავრდა, დაიწყო ოჯახის ძებნა. დროთა განმავლობაში ის ფიქრობდა, რომ ისინი დაიღუპნენ. მამა რომ აფხაზეთში ცოცხალი დარჩენილიყო, იძულებული გახდა აფხაზი ცოლი მოეყვანა. მათ ორი გოგონა შეეძინათ. მამამ მარო ბებოს

სთხოვა, რომ წაჰყოლოდა და სანამ თავის პირველ შვილს, თედოს იპოვნიდა, მისი გოგონებისთვის მიეხედა. მამა და მარო ბებო წავიდნენ სახლში. მამამ გოგონებს გააცნო ბებო და უთხრა: თქვენი ძმა უნდა დავაბრუნო სახლში. რა თქმა უნდა, ამ გოგონებისთვის ეს სიტყვები ცოტა დამაბნეველი აღმოჩნდა, რადგან ჯერ ისინი სამი წლისანი იყვნენ. მამამ მოამზადა პატარა ზურგჩანთა და გულში თქვა: ამჯერად არ დავნებდები, წარსულის შეცდომებს არ გავიმეორებო. ეს მოგზაურობა მამისთვის ცოტათი რთული იქნებოდა, რადგან მან მარო ბებოსგან მხოლოდ ის იცოდა, რომ თედოს თვალების პრობლემა ჰქონდა. მამა მატარებელში სულ იმას ფიქობდა, თუ რა უნდა ეთქვა ამდენი ხნის უნახავი შვილისთვის. მაგრამ ამ სიტყვებს, ჩემი აზრით, წინასწარ ვერ მოიფიქრებ. ეს სიტყვები ხომ შენი მგრძნობიარე გულიდან უნდა წამოვიდეს. იმ ღამეს მამას არ უძინია. სულ გზას გაჰყურებდა. ელოდებოდა როდის დამთავრდებოდა ეს ,,პატარა“ გზა, რომელიც უსასრულო ბილიკს ჰგავდა და რომლის ბოლოშიც შვილი ელოდებოდა. გათენდა. მატარებელი გაჩერდა და მგზავრებმა ნელ-ნელა დაიწყეს ჩამობარგება. მამა დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდა, რადგან იქ ყველაფერი შეცვლილიყო. არ იცოდა ძებნა საიდან დაეწყო. ამიტომაც გულს მიენდო და,ზუსტად იმ დაღმართზე ჩაიარა, სადაც თავისი შვილი ცხოვრობდა (ალბათ, ეს მამაშვილური კავშირი იყო. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?! მთავარია, თუ იცნობდა მამა თავის შვილს). მამა ყველას ეკითხებოდა შვილის შესახებ. ყველას პასუხი ერთნაირი იყო. არავინ არაფერი იცოდა. უშედეგო ძებნით დაიღალა კიდევ ორი საათი ეძებდა თავის შვილს... გადაწყვიტა იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო. უკვე ცხრა საათი იყო. თედოც ამ დროისთვის გამოდიოდა გარეთ საჭმლის მოსამზადებლად. ეს ის ადგილი იყო, სადაც მამა ისვენებდა. მამამ როდესაც დაინახა გარეთ გამოსული ბავშვი, გაუკვირდა. გაუკვირდა

იმიტომ, რომ ეს ბავშვი ყველანაირად ემთხვეოდა მარო ბებოს აღწერილს, მაგრამ აკვირვებდა ის, რომ გარეთ ამზადებდა საჭმელს. რა უნდა ექნა?! დაიბნა, ის დარწმუნებული არ იყო, რომ თავისი შვილი იყო. ბოლოს გადაწყვიტა დალაპარაკებოდა. ფიქრობდა, რომ ლაპარაკით შეძლებდა გაეგო და ჩაწვდომოდა ბავშვის გულს. ამის შემდეგ კი ყველაფერს მიხვდებოდა, რადგან მამა ხომ ყველაზე მეტად თავისი შვილის გულს იცნობს?! მამა თედოს მიუახლოვდა და დამეგობრება სცადა. თედო კეთილი ბიჭი იყო. მამას თავისი საუზმე გაუნაწილა და თავის საცხოვრებელში შეიპატიჟა. მამა ახლა მეტად გრძნობდა გუმანით, რომ მისი შვილი იქნებოდა, მაგრამ, ამის თქმა იოლი არ იყო. იმ ღამეს მამამ თედოს სასტუმროში დაძინება შესთავაზა. თედოც, რა თქმა უნდა, დათანხმდა. ამას ყოველთვის ხომ ვერ შესთავაზებდნენ?! იმ ღამეს მამამ ორი ოთახი აიღო და ორივეს ტკბილად ეძინა. გათენდა, ისაუზმეს. საუზმის შემდეგ კინოში წაიყვანა. დაღამდა. სასტუმროში ბრუნდებოდნენ, თედოს ძალიან უკვირდა, ის უცნობი კაცი რატომ ეხმარებოდა და გადაწყვიტა მისთვის ეკითხა. ეს კითხვა მამისთვის რთული აღმოჩნდა. აქ უკვე ვეღარ მოატყუებდა, რადგან მოტყუებას ნიჭი უნდოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა საკუთარ შვილს ატყუებ. მამამ შვილს დაუჩოქა, ცრემლები წამოუვიდა და უთხრა: მე მამაშენი ვარ. ვიცი, რომ ეს რთული მოსასმენია და შეიძლება გძულვარ კიდეც, მაგრამ რას ვამბობ! გეძულები, აბა რა იქნება! შენ ხომ გგონია, რომ შენ და დედა მიგატოვეთ და სხვა ცოლი შევირთე! მაგრამ ეს ასე არ არის, გთხოვ, დამიჯერე... ამ დროს თედომ გააჩერა და უთხრა: მე შენ არ მძულხარ! შენი მესმის. ამ ყველაფერს ხალხი დამცინავად უყურებდა, მაგრამ მათ ვერ განსჯი, ეს ხომ მათ გამოცდილი არ აქვთ და ამიტომ ვერც მიხვდებიან! იმ ღამით ბევრი ილაპარაკეს... ილაპარაკეს, როგორც მამამ და შვილმა.

იმ ღამით იმაზეც შეთანხმდნენ, რომ საუზმის შემდეგ, დედის მოსანახულებლად წავიდოდნენ. გათენდა. მამა-შვილმა ისაუზმა და დედასთან წავიდნენ. მამა ცოტა ნერვიულიბდა, რადგან თედო მოუყვა ყველაფერს. ისიც, რომ დედამ დალევა დაიწყო, დალევის მიზეზი კი მამა იყო. მაშინ კი, როცა გაიგო,რომ ბიჭი სახლიდან გაიქცა,სმას თავი დაანება. ბავშვის სახლიდან გაქცევამ დააფიქრა ბევრ რამეზე და მიხვდა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო. მამა-შვილმა თერთმეტ საათზე დედას სახლში მიაკითხეს და ელოდებოდნენ, რადგან ის სამსახურიდან პირველ საათზე ბრუნდებოდა. ჩვეულებისამებრ, სახლში დაბრუნებისას, კალათით ერთი დღის საჭმელი მოჰქონდა. უცებ ეს კალათა ხელიდან გაუვარდა და გაშეშდა, რადგან ქმარი და შვილი ერთად დაინახა. ძალაუნებურად თვალები აუცრემლდა. მამა დედას მიუახლოვდა. ამ დროს კი დედამ ქმარს სახეში სილა გააწნა და ატირებული ხმით მიაყარა შეკითხვები: თუ რატომ არ დაბრუნდა, სად იყო ამდენი ხანი და ა.შ. ეს გაუთავებელი შეკითხვები იმწამსვე შეწყდა, როდესაც მამა დედას ჩაეხუტა...

ამის შემდეგ სახლში შევიდნენ. მამამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი. უთხრა, რომ ჰყავდა ორი ობოლი გოგონა აფხაზი ქალისგან და მისი სურვილი იყო, რომ ყველას ერთად ბედნიერად ეცხოვრათ. მეორე დღეს ყველანი მატარებელში ჩასხდნენ და აფხაზეთში გაემგზავრნენ. როდესაც სახლში მივიდნენ, ბავშვებმა გაიხარეს მამის დაბრუნებით. თედოცა და დედაც ბედნიერები იყვნენ იმით, რომ ერთმა ორი და შეიძინა, მეორემ კი – ორი შვილი. ასე შეიქმნა დიდი ოჯახი, რომლის წევრებიც იყვენ: მამა, დედა, ორი პატარა გოგონა, თედო და, გაგიკვირდებათ, მაგრამ მარო ბებოც.

ეკატერინე ჯაჯულიშვილი

ღალატი

წარსულს ჩაბარდა, გაფრინდა, გაქრა
ყოველი სიტყვა, ვნებათა ღელვა...
ცაზე მზე ჩაქრა და დაითალხა
სამყარო, მაგრამ ტკივილი ელავს.

გულში, რომელშიც ცეცხლად ანთია
დარდი, ცრემლი და მისი ღალატი.
დროს ის გრძნობებიც გაუფანტია,
ოდესღაც რომ არ დავუმალავდი.

გულს ნაცრავს უკვე ნაბიჯი მწველი,
თუთქავს სხეულს და მდინარე ცრემლის
მოჰყვება ფიქრის მღვრიე ნაკადებს...
და თავის დახსნას მათგან არც ელის.

მიმნდობი არის ტრფობა ბალღივით,
ამიტომ ...კრავი მგელის არჩივი
ხდება. ბოროტს მზადა აქვს ორმო...
დასცინოს, ავნოს და დაიმონოს.

ვაი, რომ გვიან ხვდება დიაცი
და დაიტირებს გრძნობას – ურიგოს,
ამაო არის გონზე მოგება,
ბედს უკვე არ სურს ჩამოურიგოს...

ის საჩუქარი, რაც წრფელად უძღვნა...
მის ნაცვლად ხვდება მდევართა ხელში
და სიყვარულის მორევის ნაცვლად,
ახლა სიკვდილი უდგას თვალებში...

ბრბო ბრმა არის და... დაუნდობელი,
თვით სატანაა მისი მშობელი,
მისი სიტყვებიც იქცევა ქვებად,
თუ დრო დაუდგა და მოიხელთა.
„კრავი უმანკო“ – ბედს მიმნდობელი,
ეშმად იქცევა მაშინ ყოველი...

ამაო არის ძებნა მშველელის,
ყველა ქვა როდი არის კედელი,
ციხე-სიმაგრე, კოშკი თუ ზღუდე
თავს დაგექცევა... თუ შეეყუდრე
ასპიტის კერას, გველის გალიას...
ვინც შენი წრფელი გრძნობა არია...

ნანო ჭარქოსია

თავგადასავლების ქურდი

სარკიდან მიღიმის ჩემივე სახე,
მოდი ახლოს, მოდი და მნახე
მაგრამ მე ვიცი მისი ეს მახე,
უძრავად ვდგავარ ვით ლოდი ან ხე.

ფეხის თითების წაყინვამ ძილბურანიდან ამოათრია. ოთახში ძლივს აღწევდა ისრებივით გასროლილი მზის სხივები. დღესაც იგივე განმეორდებოდა. ხერხემლის ტკაცუნით წამოდგა და ფეხის გულებით ჩაეხუტა ცივ იატაკს. ოდნავ თავბრუც დაესხა და, შიშის მიუხედავად, მაინც ჩაიხედა სარკეში. შავი თმა ასწეწვოდა და თვალებს უფარავდა. ფიქრობდა, რომ ყვრიმალზე ბოლომდე გაწოლილი ნაიარევი მის სახეს უფრო მიმზიდველს ხდიდა. ოთახიდან გასვლისას სუსხიანმა ქარმა სახეში სილა გააწნა. დღესაც იხეტიალებდა და უცნობების თავგადასავლებს გადაყლაპავდა, მათ სხეულში იცხოვრებდა, თავის მოსაწყენ ცხოვრებას უცნობების გონებაში გაექცეოდა, სხვა ადამიანი გახდებოდა. ფართო ქუჩაში მტაცებელივით ჩასაფრებოდა მომავალ „საკბილოს.“ გუშინ ჯამბაზი იყო. მოხეტიალე ცირკის წევრი. პარკში, ბატიბუტის დახლთან იდგა მაღალი კაცი, წითელი შარვლითა და ხუჭუჭა თმებით. ბავშვებს ფოკუზებით ასულელებდა და ამხიარულებდა, მათ სიცილზე კი, თვალებში სიამოვნების ნაპერწკალი აუკიაფდებოდა-ხოლმე. მის გონებაში მალე შეაღწია „თავგადასავლების ქურდმა.“ წარმოიდგენდა ამ კაცად მოხეტიალე ჯამბაზის ცხოვრებას და ფიქრობდა ცირკის დიდებულ დღეებზე. როგორ გადაუვლიდა ხოლმე ქალაქს აღელვებისა და მოლოდინების ციებ-ცხელება.

თითოეული ბილეთი ერთ ამოსუნთქვაში იყიდებოდა და წითელი ნაჭრისგან უბადრუკად შეკემსილი კარავი ძლივს იტევდა საოცრებების სანახავად მოსულ ხალხს. მბრწყინავი კოსტიუმები, აკრობატები, ჟონგლიორები, ჯადოქრები და ცირკის ცხოველები. სევდა მათ თვალებში და სახლში დაბრუნების, აქედან გაქცევის, მწველი სურვილი მათ გულებში. და აი, ჩავეფლობი თეთრ საღებავში იმდენად ღრმად, რომ ნაიარევსაც ამომივსებს და დამიფარავს, მოვირგებ პატარა წითელ ბურთს ცხვირზე, შევისწორებ იხვებიან ჰალსტუხს. წითელ მარცხენა ფეხსაცმელს მარჯვენაზე ჩავიცვამ, მწვანე მარჯვენა ფეხსაცმელს კი მარცხენაზე, დავიხატავ სახეზე უშველებელ ღიმილს და შევაბიჯებ სცენაზე. სცენის შუაგულში ორი მაღალი ბოძი დგას, მათზე გაბმულია თოკი, რომელიც დღეს ჩემი საასპარეზო ადგილი იქნება. ბოძზე დამაგრებულ კიბეზე ავდივარ და შუბლი ოფლით მეცვარება. გარშემო ხმაური დაგუბულ ბგერებად აღწევს ჩემს ყურებამდე. თოკის ერთ ბოლოში ვდგავარ, ხელებს კოსტიუმზე ვიწმენდ, ღრმად ჩავისუნთქავ და პირველ ნაბიჯს ვდგამ მაცდურ თოკზე. თოკი ჯიუტდება, უარს ამბობს დაყოლაზე, მაგრამ უფრო მტკიცე, ოსტატური ნაბიჯით ვიმორჩილებ მას. დღეს გაოცდება ხალხი. მეორე ნაბიჯი. დღეს დაუკრავს ხალხი ყველაზე ხმაურიან ტაშს. მესამე ნაბიჯი. მივაღწევ მეორე ბოლომდე. მეოთხე ნაბიჯი. არ მინდა გავფრინდე. მეხუთე ნაბიჯი.

– ბიჭუნი!

– ჰმ?

– ბიჭუნი, გაბრუნდი სახლში, პარკი იკეტება. რამდენ ხანს უნდა იდგე ასე უძრავად და რაღაცას მიშტერებული?!

მაგრამ დღეს არ წავა პარკში, დღეს ხელს ვერ შეუშლის პარკის დარაჯი. დღეს უფრო საინტერესოს

იპოვნის ვინმეს ამ ქუჩაზე. აქ ყველა ჩქარობს სადღაც. არავინ ჩერდება ცაში ასახედად. არავინ ადარებს ღრუბლებს ქალთევზას ან სამყურიან ძაღლს. აქ მუდამ ყავისა და მელნის სუნია. ყველას ერთნაირად აცვია და ყველას ერთნაირი სახე აქვს. მისალმებისას კოცნის ხმას გამოსცემენ, მაგრამ ერთმანეთს არასდროს კოცნიან, ჩახუტებისას სხეულებით ახლოს დგანან, მაგრამ ერთმანეთის გულის ხმას მაინც ვერ გრძნობენ, თავს დაუხრიან ერთმანეთს და შემდეგ თვალს აარიდებენ, სხვა გზით წავლენ. მაგრამ „თავგადასავლების ქურდმა“ იცის, რომ თითოეულ მათგანს საიდუმლო ცხოვრება აქვს. აქ ვიღაც ციხესიმაგრის მცველია, დიდებული მეფეა, მეამბოხე და მეომარია, ასტრონავტი და ალ-ქიმიკოსია. მათ ცხოვრებაში უნდა შეაღწიოს და ისევ ასე გაატაროს ეს დღე.

რას ეტყვი ამ ბიჭს?! ნუთუ ფლანგავს თავის ცხოვრებას?! რისთვისაა ეს ყოველდღიური გაქცევა?! რატომ ცდილობს რეალური სამყაროდან ილუზორულ ხილვებში გაქცევას?! რა უბიძგებს მას გააქროს სამყარო მის გარშემო? რატომ არაფერი რეალური არ აღელვებს? რუტინულ ცხოვრებას ოცნებებით გაექცა, მაგრამ რა დააბრუნებს მას საკუთარ თავში?! როდის შეწყვეტს ის სასწაულების ძებნას სხვა ადამიანებ-ში?! მალე ყოველდღე სხვა ადამიანთა ცხოვრებაც მოსაწყენი გახდება მისთვის. მერე რას იზამს? ნაიარევი... ნაიარევი საიდან გაჩნდა?! მას მოსწონს ნაიარევი. ყრიმალზე ბოლომდე გაწოლილი ნაიარევი. ნაიარევს არასდროს გაურბოდა, ის ყველა მის პერსო-ნას აქვს. საიდან გაჩნდა? თვითონ გაიჭრა. რატომ? იმიტომ, რომ შეცვლა უნდოდა. ვითომ ეს მისი მეტოქის ცივმა და ბასრმა ხმალმა შექმნა დუელისას. არა... ვითომ ეს დათვთან შებმისას მოუვიდა მაშინ, როცა ტყეში დაეხეტებოდა ჯადოსნური სოკოს საპოვნელად.

დასრულდა ტყუილები. აღარ შეიპარება უცნობის გონებაში... აღარც სარკეში ჩახედვის შეეშინდება. ის უკვე ნამდვილად შექმნის საკუთარ თავგადასავალს.

სარკეში ვუცქერ მომღიმარ სახეს,
ეს მე ვარ და არავინ მიგებს მე მახეს.

ამ ფართო ქუჩის შუაგულში რა უნდა ამ ბიჭს?! ნეტავ რატომ დგას ასე უძრავად?! რას მისჩერებია?! რა უნათებს თვალებს?! ხალხი კი კივის და მანქანა არ უკლებს სიჩქარეს.

მაგრამ მაბრმავებს ელვარი შუქი,
ბოლოს რასაც ვმზერ, ეს არის მუქი.

ჭარი ჭეჭრელიშვილი

გახსენი მაშინ, როცა ძლიერი იქნები!

ელენე ახლახან დაბრუნდა თავის სოფელში. მან წელს დაამთავრა სამართლის ფაკულტეტი და მალე ბავშვთა უფლებების დამცველად დაიწყებს მუშაობას. მან აიხდინა თავისი ოცნება. თუმცა კარგად არ ახსოვს თუ რატომ უნდოდა ეს პროფესია. დღეს ის ძალიან გახარებული და ბედნიერია, სანამ მუშაობას დაიწყებს, დასვენება ექნება, რომელსაც თავის სოფელში გაატარებს. მან უკვე დაიწყო ბარგის ამოლაგება. თავისი საყვარელი უჯრა გამოაღო და შემთხვევით კონვერტი იპოვა სათაურით: „გახსენი მაშინ, როცა ძლიერი იქნები“.

თავიდან გაუკვირდა, როცა ნახა დრო და ჟამის გამო გაყვითლებული კონვერტი. ვერ გაიხსენა როდის და რატომ დაწერა წერილი, რომელიც ამ კონვერტში იყო ჩადებული. მისი სიყვითლის გამო დაასკვნა, რომ ეს დიდი ხნის წინ მოხდა.

ნეტავ რა იყო მასში?! სულმოუთქმელად დაიწყო კითხვა:

„დღეს 2005 წლის 20 აპრილია. გუშინ 10 წლის გავხდი და მე ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ჩემი საუკეთესო მეგობარი ჩემს დაბადების დღეზე არ მოვიდა. ჩვენ ხომ ყველაფერი ერთად დავგეგმეთ. მამამ მითხრა, რომ მას ვეღარასდროს ვნახავ, რადგან ბავშვთა სახლში წაიყვანეს. ასევე მითხრა, რომ ჯერ პატარა ვარ და ვერ გავიგებ იმას, თუ რატომ არის სოფიასთვის ბავშვთა სახლში წასვლა კარგი. მეზობლების საუბარს ყური მოვკარი, რომ, თურმე მისი მშობლები მასზე ძალადობდნენ. მე და არ მყავს. სოფია კი ჩემთან ყველაზე ახლოს იყო. მინდოდა, რომ მთელი ცხოვრება საუკეთესო

მეგობრები ვყოფილიყავით. ნეტავ არსებობს დღეს ვინმე, ვინც სოფიას დაიცავს?! არ ვიცი, მაგრამ მე მინდა გავხდე ის ადამიანი, ვინც ბავშვებს დაიცავს და მათ მუდამ ბედნიერებას მოუტანს“.

ელენემ კითხვა დაასრულა. მან უკვე ზუსტად იცის თავისი გადაწყვეტილების მიზეზი და ბედნიერია, რომ მას ახლა ყველაფრის ძალა აქვს.

ელენე ჯოსიჯე

* * *

...და ზღვის ტალღებზე გადაიქროლებს
ჩემი ოცნების ნაზი თოლია,
მე... ჩემს სიცოცხლეს შენ მირჩევნიხარ.
...ვერ გაგცვლი სხვაზე ასე მგონია.
მე ჩემს სიცოცხლეს შევწირავდი
შენი ოცნების ტალღებს მგონია,
არ ვიტირებდი, არც ვინანებდი ერთი წუთითაც,
ჩემო თოლია,
და თუ გაგვწირავს ბედისწერა და ზღვის ტალღები –
სიყვარულისთვის შეწირულად გაგვიხსენებენ –
ასე მგონია...

* * *

შენს მოლოდინში დღეები მიჰქრის
და თმებს ჭაღარა შემოეპარა.
ეს სიყვარული ისე გაჰქრება,
როგორც ყვავილი – ია პატარა.

ჩვენ დავბერდებით და გავთეთრდებით,
ია კი, ისევ კვლავ გაიხარებს,
ის სიყვარული კვლავ იარსებებს,
ჩვენ კი მივხურავთ ამ ქვეყნის კარებს.

ანი ჭჭედლიშვილი

ყვავილობა

ყველაზე დიდ ბაღში, რომელიც სინამდვილეში არც ისე დიდია. ახლა ხეები ყვავილობას იწყებენ. დაკვირტვა საინტერესო პროცესია ბაღის პატრონისთვის, რომლის ცნობისმოყვარე და ყოვლისმხედველი თვალები ყველაფერს დეტალურად სწავლობენ. ბაღის პატრონი ხეების ყვავილობას იმდენ ხანს აკვირდებოდა, რამდენი წლისაც თვითონ მისი ბაღი იყო და ვერ გაერკვია, რომელი იყო ამ ჯადოსნურ პროცესს შორის ყველაზე უფრო ლამაზი. იქნებ კი ის, როცა პირველად ჩნდებიან სიფრიფანა კვირტები. მათ შიგნით თანდათანობით სასწაული იღვიძებს. სასწაული უბრალოდ ვერ მოხდება. ბაღის პატრონმა იცის, რომ ყველაფერი მშვენიერი მის ბაღში ლოდინით მიიღწევა და ისიც და მისი კვირტებიც მოთმინებით ელიან სასწაულს.

სასწაული ხდება. კვირტებიდან ყვავილები ჯერ მორცხვად იმზირებიან, თავიანთ ნაზ სხეულებს კვირტების ნაზ ფეთქვას თავს აფარებენ. შემდეგ თანდათანობით სიმორცხვე იკლებს და ცნობისმოყვარეობა მატულობს. ისინი თამამად იშლებიან და ტრიუმფით წარსდგებიან ყველაზე დიდი ბაღის წინაშე. სასწაულების მთელი აფეთქებაა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს ბაღის მეპატრონე. კვირტები კი ამ წამიდან იწყებენ ნელი სვლით მიწაზე ცვენას...

ყვავილების გაშლის მთელი ხმაურის ფონზე, ისინი ჩუმად და უბრალოდ, უხმაუროდ ცვივიან ძირს. თავიანთ ბედს დამორჩილებულნი ნელა ეშვებიან ფარფატით მიწისკენ. თუმცა, ყოველთვის მაღლა იყურებიან. იყურებიან იქ, სადაც ყვავილობაა. იქ, ვისთანაც ისინი რაღაც უხილავი ძაფით არიან დაკავშირებულნი.

ბოლოსდაბოლოს უხსოვარ დროს თავადაც იყვნენ ყვავილები და ყვავილებსაც მოუწევთ ოდესმე კვირტებად ყოფნა.

ბაღის პატრონი ამ ყვავილობას აღფრთოვანებული ადევნებს თვალს. კვირტები ბედნიერი თვალებით იცქირებიან. ყვავილობისთვის, გაზაფხულისთვის, ალბათ, დაჭკნობაც ღირს... ნუშების თოვლი კი ჰაერში დაფარფატებს და ყველას კარგ გუნებაზე აყენებს.

შარიან რანიშვილი

მაინც რა არის სიცოცხლე?!

მაინც რა არის სიცოცხლე?! საიდან მოდის ან სად მიდის?! სწორედ,

დღეს დავფიქრდი, თუ რა არის სიცოცხლე. მაინც-დამაინც რას ნიშნავს სიტყვა – „სიცოცხლე“ ან რა არის „ცხოვრება“. ალბათ, სიცოცხლე ისეთი რამაა, რაც ღმერთმა მოგვივლინა იმის გამო, რომ სამყარო შევიცნოთ და ჩვენი კვალი დავტოვოთ აქ, დედამიწაზე. თითქოსდა ეს ძვირფასი საჩუქარია ღვთისაგან, მაგრამ რატომ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ცხოვრება არ უნდა? იმიტომ, რომ არ აქვთ ისეთი ცხოვრება, რომელიც დააკმაყოფილებთ და სიამოვნებას მიანიჭებთ. არ აქვთ ის, რაც მოკვდავს უნდა გააჩნდეს. თუ ღმერთს სურს, რომ ჩვენ სამყარო შევიცნოთ, რატომ უქმნის ზოგიერთ ადამიანს ცხოვრების ცუდ პირობებს?! ხომ იცის, რომ იმ ადამიანს ადრე თუ გვიან აღარ მოუნდება სიცოცხლე და ამაზე იფიქრებს მუდმივად. ხომ შეუძლია, რომ ეს მდგომარეობა შეუმსუბუქოს და სიცოცხლე შეაყვაროს... რატომ ხდება ასე?! ცოდვა და ცხოვრების ფუჭად დახარჯვა – ალბათ, ესაა პასუხი. ცოდვა არის ის საშინელება, რაც ნებისმიერ ადამიანს ნელ-ნელა ჩაუსაფრდება, სულში შეუძვრება და დიდხანს აღარ მოშორდება. ჩვენ, ადამიანებს, კი არ გვსურს მისგან თავის დახსნა, რადგან ცოდვის ჩადენა ადვილია, მისი მონანიება კი რთული. ადამიანები ხომ ასეთები ვართ. გვინდა ყველანაირად მარტივი გავხადოთ ცხოვრება. რომ არა ცოდვები, ყველა ადამიანი უზრუნველად და ტკბილად იცხოვრებდა, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა, ხალხი ერთმანეთს შეიყვარებდა, ყველანაირი პრობლემა და დაბრკოლება გაქრებოდა. თუმცა, იმაზეც

მიფიქრია, რომ ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრება არც ისე საინტერესო და მიმზიდველი იქნებოდა. თუ არ გვეცოდინებარა არის ცოდვა. მაშინ ცუდსა და კარგს ერთმანეთისაგან ვერ გავარჩევთ. ცოდვის ჩადენის შედეგ მონანიება და გადაფასებაც უნდა შეგვეძლოს. დროის ფუჭი კარგვაც დანაშაულია.

დროის ისეთ მონაკვეთში, როცა ყველაზე ნაკლებად გინდა მოვიდეს ბოროტება, აი, ზუსტად მაშინ შემოგეჭრება სულში და ისე დაგაჭკნობს, როგორც წითელ, სურნელოვან ვარდს აჭკნობს ზამთარი.

ჩემი აზრით, სიტყვა „ფუჭი“ ცუდს უნდა ნიშნავდეს, რაღაც ზედმეტს. ფუჭად დროის კარგვა, რა თქმა უ ნდა, მეც კარგად გამომდის. ხანდახან ძალიან მინდა დრო ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად გავატარო ან ღმერთს ვესაუბრო ტაძარში. მაგრამ ზოგჯერ რაღაც მიბიძგებს ხოლმე და სურვილი მიჩნდება არანორმალურად გავატარო მთელი დღე... მინდა უბრალოდ ვიწვე და ვუსმენდე კლასიკას, ვუსმენდე სამყაროს, ვუსმენდე კედელს, ჭაღს, სარკეს, ფანჯარას, ჰაერს, ცას, მზეს, წვიმას, დედამიწას, ვარსკვლავებს... უბრალოდ, მინდა, რომ ყველაფრისგან გავთავისუფლდე, გავაქრო ყველაფერი რაც ნერვებს მიშლის და მწვავს შინაგანად. მინდა, რომ თვალის გახელისას ყველაფერი ჩემს გარშემო დალაგებული და დამშვიდებული დამხვდეს.

მინდა, რომ თვალები დავხუჭო და წარმოვიდგინო როგორი იქნება ჩემი ხვალინდელი დღე.

მე კონსერვატორიის კარებთან მივდივარ და ლექტორს ვეუბნები:

– „გამარჯობა, ბატონო, დღეს ბახის პიესა მოგიმზადეთ და იმედია, მოგეწონებათ“

ის მეთანხმება. მე ვიოლინეს ვიღებ და ვიწყებ დაკვრას. ალბათ გაგიკვირდებათ, თუ რატომ ვფიქრობ

ასე ძალიან ჩემს მომავალ ცხოვრებაზე. რაღაც ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიბრძვი, მივიწევ მომავლისკენ და აწმყო აღარ მაინტერესებს. მეშინია მომავალზე ფიქრმა აწმყო არ დამაკარგვინოს და მთელი ცხოვრება სანანებელი არ გამიხადოს. მინდა, რომ ჩემი ცხოვრების თითოეული წამი და წუთი ნაყოფიერად და საინტერესოდ გავატარო. მინდა, რომ ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი ყალბი არ იყოს. სიცოცხლე არ მომბეზრდეს და თითოეული დღე, როცა თვალს გავახელ და ფანჯრიდან მზის სხივი შემომეჭყიტება, ვთქვა: „გამარჯობა, სიცოცხლევ, მე შენ მიყვარხარ!“

ეჰ, მაინც რა არის სიცოცხლე?! საიდან მოდის ან სად მიდის?!

ნინა სიჭინავა

უცნობი კაცი

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში ცხოვრობდა ერთი უცნაური კაცი, რომელსაც ცოტა ვინმე თუ იცნობდა ირგვლივ. ის ხშირად ჩნდებოდა ქუჩაში თავის ძაღლთან ერთად. ერთ დღესაც საკუთარ ძაღლთან ერთად გამოვიდა სახლიდან. იქვე ახლოს მაღაზიაში შევიდა, იყიდა ორი პური, ერთი თავის ძაღლს მისცა, მეორეს კი – თვითონ მიირთმევდა. შორი ახლოს, პატარა სკვერში შეჩერდა, სკამზე ჩამოჯდა, მისი ერთგული ძაღლიც იქვე მიუცუცქდა. მათ მოპირდაპირედ იჯდა ბიჭუნა, რომელიც თითქოს რაღაცაზე გაბრაზებულიყო და გული სტკენოდა. ბიჭუნა ხატავდა და თან მათ ისე შესცქეროდა, რომ თვალს არ აშორებდა. უცნაური და დაჟინებული ცქერა არ გამოჰპარვია კაცს და დაინტერესდა, თუ რატომ უყურებდა მას ეს ბიჭი ასე. მიუხედავად ინტერესისა, კაცი მასთან არ მივიდა, სამაგიეროდ, ბიჭი მივიდა იქეთ. მას ხელში თაბახის ფურცელი ეჭირა, რომელზეც რაღაც ეხატა. კაცი კარგად დააკვირდა ნახატს და ფურცელზე თავისი თავი და ძაღლი ამოიცნო.

– რატომ დამხატე? – ისე ჰკითხა კაცმა, თითქოს წინასწარ იცოდა რას უპასუხებდა ბიჭი.

– ძალიან მომხიბლა თქვენი და ძაღლის ურთიერთ დამოკიდებულებამ და იმიტომ, ალბათ.

– ალბათ?! ჰმ! ჩაფიქრდა კაცი და ნახატს ისე შესცქეროდა, თითქოს ტექსტი იყო, რომელიც უნდა წაეკითხა.

– რატომ არ მეკითხებით სად ვისწავლე ხატვა? ზოგადად ყველა, ვინც ჩემს ნახატებს დაინახავს, ამას მეკითხება.

– ამ კითხვაზე მე ვიცი პასუხი და იმიტომ – უპასუხა კაცმა.

– ხატვას ისე ვერ ისწავლი თუ შენში არ არის ხატვის ნიჭი. ნახატს რომ შეხედავ იმ წამსვე მიხვდები, რომ შენი შთაგონებით, ფანტაზიით, წარმოსახვით ქმნი მას, გაქვს საკუთარი ხელწერა, რომელიც შენ განსაკუთრებულ შემოქმედად გაქცევს. ხატვის პროცესში შენს სულიერ სამყაროს წინ გადაუშლი ადამიანებს და აძლევ იმის საშუალებას, გაიგონ შენი დამოკიდებულება ნახატის მიმართ. თითოეული ნახატით უნდა გადმოსცე შენი განწყობა.

– მადლობა, ეს ჩემთვის ძალიან დიდი კომპლიმენტია!

– ყველა კომპლიმენტი სანდო არაა, მაგრამ ჩემი ნამდვილად სანდოა, მერწმუნე! – უთხრა კაცმა და გაიღიმა.

– ერთი კითხვა მინდა დაგისვა: როდიდან გაგიჩნდა ხატვის სურვილი?

– ბავშვობაში ვნახე ერთი კაცი, რომელიც ჩემი სახლის უკანა ეზოში იდგა მოლბერტით, ფუნჯითა და ფერადი ზეთის საღებავებით და თბილისის ლამაზ პეიზაჟებს ხატავდა, რამაც ძალიან მომხიბლა და დავინტერესდი თუ როგორ ახერხებდა ამას. ახლოს მისვლის მომერიდა. ხელი რომ არ შემეშალა, ისეთი ადგილი შევარჩიე, სადაც თვითონ ვერ შემამჩნევდა და მეც კარგად დავინახავდი თუ, როგორ ხატავდა. მოსახერხებელი ადგილი რომ ვნახე, შემდეგ ვაკვირდებოდი ხატვის პროცესს. მას შემდეგ სულ მინდოდა მეც მხატვარი გამოვსულიყავი, მაგრამ... ეჰ! ღრმად ამოისუნთქა ბიჭუნამ და თვალებზე ცრემლები მოადგა.

– იცი, ძალიან არ მიყვარს სიტყვა „მაგრამ“ – უთხრა კაცმა.

– რატომ? – ჰკითხა ბიჭმა

– რადგან მე ძალიან მინდოდა თეატრის მსახიობი გავმხდარიყავი, ეს ჩემი ოცნება იყო, „მაგრამ“ აი ეს სიტყვა ყოველთვის გულს მტკენდა. „კარგი მსახიობი

იქნები, მაგრამ სხვა ავიყვანეთ... კარგი იქნებოდი, მაგრამ არ ხარ შესაფერისი“... და ასე შემდეგ. იცი ერთ რამეს ახლა ვნანობ, არ უნდა დავნებებულიყავი და უნდა გამეგრძელებინა ძებნა „მაგრამ“... აი ახლაც, მაგრამ ეს არ გავაკეთე.

– ბიჭი ჩაფიქრდა და კაცს ჰკითხა.

– ახლა ნანობთ თქვენს ასეთ შეცდომას ?

– კაცმა გაიღიმა და უთხრა: – მართალი ხარ, ეს ნამდვილად შეცდომა იყო და შენც ასეთ შეცდომას ხომ არ უშვებ?!

– ბიჭი დაფიქრდა და გადაწყვიტა ეთქვა მამა-აცისთვის: „სიმართლე რომ გითხრათ, მგონი, მეც ეგრე ვიქცევი“.

– ოო, ეგ უკვე ცუდია. თუ გინდა მიზანს მიაღწიო, ისე არ უნდა მოიქცე როგორც მე მოვიქეცი. ბევრჯერ წაიქცევი, მაგრამ წამოდგომა უნდა შეგეძლოს. მე, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის გასააზრებლად მთელი ცხოვრება დამჭირდა და არ მინდა ვინმეს კიდევ იგივე დაემართოს – უთხრა კაცმა ბიჭს და წამოდგა.

– კარგი ჩემი წასვლის დროა, იმედია შენ მიერ დასახულ მიზანს მიაღწევ და უკან არასოდეს არ დაიხევ. წარმატებებს გისურვებ, ყმაწვილო!

– მადლობა, თქვენს რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებ. თქვენნაირი კეთილი ადამიანები მრავლად უნდა არსებობდნენ ამ ქვეყანაზე.

– კაცმა გაიღიმა და ბიჭს დაემშვიდობა.

ბიჭი გზად სულ კაცის ნათქვამზე ფიქრობდა. სახლში რომ მივიდა, თავის ოთახში შევიდა და მაშინვე მოლბერტს მიუჯდა. მთელი ღამე ხატავდა, დილით კი ნახატი უკვე დასრულებული ჰქონდა. მან გადაწყვიტა, თავისი შესრულებული ნახატების გამოფენა. დილით ადრიანად ამდგარი ვერ ისვენებდა, ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა სამხატვრო გალერეაში. როდესაც იქ მივიდა, მან თავისი ნახატი აჩვენა, მაგრამ იქედან უარით გამოისტუმრეს, ბიჭუნა არ დანებდა, გაეშურა

მეორე სამხატვრო გამოფენის გალერეაში, თუმცა არც იქ მიიღეს...

მას ყურში ჩაესმოდა უცნობი კეთილი ადამიანის ხმა – „არ დანებდე, შენ მიზანს მიაღწევ და შესანიშნავი მხატვარი გამოხვალ!“

მესამე სამხატვრო გალერეას ძალიან მოეწონა ბიჭის ნახატები და უფლება მისცა დარბაზში თავისი ნახატები გამოეფინა. ნახატის სახელის ვარიანტებს განიხილავდნენ და ბიჭმა შესთავაზა ერთი ვარიანტი – „სიტყვის ძალა“.

რატომ?! არ ვიცით, მაგრამ ალბათ მალე გავიგებთ.

გამოფენა დაიწყო და ბიჭი სიტყვით გამოვიდა.

„მოგესალმებით ყველას! ძალიან მინდა, რომ გულდასმით მომისმინოთ, რადგან შეიძლება ჩემი სიტყვებით გული გაგითბოთ კეთილი ადამიანების მიმართ. მინდა გიამბოთ ერთი უცნობი ადამიანის შესახებ, რომლის სიტყვებმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. გამხადა უფრო მიზანდასახული და ოპტიმისტი. სულ თავიდან დავიწყებ თუ წინააღმდეგი არ იქნებით:

მე ბავშვობაში ერთმა ფაქტმა დამაწყებინა ხატვა. ძალიან ხშირად ვხატავდი და ჩემი ოცნება იყო, რომ მხატვარი ვყოფილიყავი. რადგან მხატვრობა მინდოდა ამ კუთხით განათლების მიღებაც მჭირდებოდა. სამხატვრო აკადემიაში უნდა ჩამებარებინა. პირველ წელს ვერ მოვახერხე. მეორე წელს არ მიმიღეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ ნახატში ასეთი თავისუფლება არ შეიძლებოდა, სანამ შემდგარი მხატვარი არ ვიქნებოდი. ამის უფლება მხოლოდ ისეთ შემოქმედ მხატვრებს ჰქონდათ, როგორებიც იყვნენ: ფიროსმანი, პიკასო და ვან გოგი. შემდეგ გადავწყვიტე კონკურსებში მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ იქაც არ ამირჩიეს. ამის შემდეგ, დავკარგე შინაგანი მოტივაციაც და ყველაფრის იმედი, ვიფიქრე, რომ მხატვრობა არ იყო ჩემი საქმე. ყველაფრისთვისაც თავი უნდა დამენებებინა და რაღაც

სხვა პროფესია უნდა ამერჩია. სწორედ ამ დროს ბაღში, ჩემ წინ, სკამზე დაჯდა კაცი, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, მან მითხრა, რომ მიზანი უნდა დამესახა და მის მისაღწევად დაუღალავად მეშრომა, ფარ-ხმალი არ უნდა დამეყარა, თუ წავიქცეოდი ადგომაც უნდა შემძლებოდა. აი ამ სიტყვების მეშვეობით აღვიდგინე ჩემი სურვილი გავმხდარიყავი მხატვარი. სწორედ იმ საღამოს დავხატე ეს ნახატი – „სიტყვის ძალა“. მთელი ჩემი გრძობა-ემოციები და სულიერი სამყარო ჩავაქსოვე ამ ნახატში . სიტყვას დიდი ძალა და მნიშვნელობა აქვს, მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, თუმცა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ოცნება ავიხდინე და საშუალება მომეცა ჩემი ნიჭის გამოვლენისა. იმედია, თავი არ შეგაწყინეთ, ჩემი ემოციური გამოსვლით, ახლა კი შეგიძლიათ დაათვალიეროთ ნახატები. გმადლობთ.“

გალერეაში უამრავი დამთვალიერებელი იყო მისული. ბიჭის ნახატები ბევრ ადამიანს მოეწონა და დაფაზე აღტაცებისა და კმაყოფილების ნიშნად წარწერებს ტოვებდნენ.

სასიამოვნოდ გატარებული და ცოტა დამღლელი დღის შემდეგ ბიჭი მივიდა დაფასთან, დაიწყო წარწერების კითხვა და მათ შორის მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა წარწერამ, რომელზეც ეწერა: „შესაძლოა ბევრ სამადლობელ წერილს კითხულობ, გაქებენ, ხოტბას ასხამენ შენს შემოქმედებას. მე კი მინდა მადლობა გადაგიხადო იმისათვის, რომ დამიჯერე და ჩემი შეცდომები არ გაიმეორე. მე მუდამ შენი შემოქმედების თაყვანისმცემელი ვიქნები“.

ამის წაკითხვის შემდეგ ბიჭს ცრემლები მოადგა, ეს სიხარულისა და ბედნიერების ცრემლები იყო. მან იმ საღამოს შექმნა თავისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნახატი, რომელზეც აღწერილი იყო ემოცია, რომელიც

მას ამ წერილის წაკითხვისას გაუჩნდა. ამ ნახატს ერქვა – „სხვისი ბედნიერება მახარებს“.

ამ სამმა ნახატმა: „კაცი და ძაღლი“; „სიტყვის ძალა“ და „სხვისი ბედნიერება“ ბიჭს სახელი გაუთქვა. მას შემდეგ მან მრავალი ნახატი შექმნა. ის ცნობილი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშიც, როგორც 21-ე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მხატვარი. მისი ნამდვილი სახელი იყო ნიკო, მაგრამ მას იცნობდნენ ფსევდონიმით „უცნობი კაცი“ („სტრანგერ მან”), რომელიც მან უცნობი კაცის პატივსაცემად დაირქვა.

მარჯორი ტერიფილი

„ნუშების თოვლი“

ჩვენგან შორს, გოგონა, მოკლე, ყვავილებიანი კაბით იჯდა ნუშების ბაღში, ერთ-ერთი ხის ქვეშ და ჯეინ ოსტინის წიგნს „სიამაყესა და ცრურწმენას“ კითხულობდა, თან ისეთ სიყვარულზე ოცნებობდა დანახვისთანავე რომ აგაღელვებს. გაზაფხული იყო, საოცარი დროა ოცნებებისთვის. ამას შემოდგომაზე ამბობენ, მაგრამ განა შემოდგომით შეგიძლია იჯდე მზის სხივებით გამთბარ ბალახზე, შენს გარშემო იფრქვეოდეს სასიამოვნო სურნელი. ნუშის ყვავილების რბილი და სათუთი სურნელი, კითხულობდე რომანტიკულ რომანს და ოცნებობდე?!

გოგონამ საათს დახედა, ალბათ სადმე ეჩქარებოდა და წასასვლელად მოემზადა, როდესაც მისი ყურადღება ვიღაცამ მიიპყრო. მისგან მოშორებით ბიჭი იდგა და გოგონას თვალს არ აშორებდა, მის თითოეულ მოძრაობას, ოქროსფერ თმას. მათი მზერა რამდენიმე წუთით შეხვდა ერთმანეთს. გულები გამალებით ცემდა, თითქოს მათ გარშემო აყვავებულმა ნუშმა დაიწყო თოვა. დრო გაიყინა. რამდენიმე წუთი, მხოლოდ რამდენიმე წუთი, უსასრულობის რამდენიმე წუთი, რომელიც აღარასდროს განმეორებულა. გოგონა ყოველ დღე მიდიოდა ბაღში, დაჯდებოდა ნაცნობი ხის ქვეშ, ბალახზე, კითხულობდა, ოცნებობდა და ბიჭს ელოდა, მაგრამის არ გამოჩენილა. იქნებ სიყვარულზე ოცნებაში გართულს მოეჩვენა? ან იქნებ ბიჭიც მოდიოდა ბაღში, მაგრამ განსხვავებულ დროს? იქნებ მათი მზერა შეუხვედრივ სცილდებოდა ერთმანეთს? ვინ იცის?! ალბათ... მხოლოდ იმ წუთებში... მხოლოდ იმ წუთებში... მათ გარშემო მოფარფატე ნუშის ყვავილებმა.

ფუტკრის ლუქა

ოქროს ცრემლები

ცეკვავს თმახუჭუჭა ოქროსთმიანი გოგონა. ჩქარ-ჩქარა აცლის ფერად-ფერად ქაღალდებს. მწვანე მაისურიანი ბიჭუნა ნაძვის ხის ძირას დალაგებულ საჩუქრებს, ხსნის. უხარიათ და... გული სითბოთი და სიყვარულით ევსებათ კარის უკან დამალულ და თავებგამოყოფილ კეთილ მშობლებს, რომლებმაც ბავშვებს სურვილები შეუსრულეს. აგერ ფეიერვერკებმაც დაიგუგუნეს და დაიწყო ჭიქების ჭახა-ჭუხი. აგერ შემობრძანდა ყურებდაცქვეტილი წითელი გოჭუნა. ტკბილი და გემრიელი გოზინაყიც უკან თან მოჰყვა. აგერ ჩურჩხელამაც შემოყო თავი. სუფრის თავში დასკუპებულა წითელი ღვინო და თვალს მიკრავს: მოდი, ვადღეგრძელოთ ახალი წლის შემობრძანებაო. ტრადიციული ქართული სუფრა... როგორ არ მიმიწევს გული ამ თვალისმომჭრელი საცივისაკენ, რომელიც თავს იწონებს... შემოვუსხედით წითლად გადაფარებულ მორთულ-მოკაზმულ სუფრას და... აი, აგერ უკვე ხელს მწვავს მჭადი და მეორე ხელში ყველს უკვე წვენი გასდის... ამ დროს ყრუდ კვნესის ხმა მესმის. ვაბრუნებ თავს აქეთ-იქით და ბოლოს ვხედავ: გარეთ, აივანთან ფანჯარა რომ მაქვს ახლად მიშენებული, დგას პატარა... შვიდირვა წლისა იქნება. თავი მოშიშვლებული აქვს და დაძონძილი ქურთუკი აცვია... თან ცრემლებად იღვრება. შემოჰყურებს ჩვენს სუფრას და მოხტუნავე ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ვის უფრო კარგი საჩუქრები მოუტანა თოვლის ბაბუამ. დიდი ფართო თვალები ცრემლებით აქვს სავსე და ვინ იცის, გულში რას ფიქრობს. ვერ გავუძელი მეც და მეც მომერია თვალზე ოქროს ცრემლები. თვალწინ

წარმომიდგა ის დღეები, როცა ობოლთა თავშესაფარში ვიზრდებოდი და უამრავ რამეს მოკლებული ვიყავი იმ უსუსური ბავშვივით... მოკლებული ვიყავი იმას, რასაც დღეს დიდი შრომის ფასად მივაღწიე. დიდი ხანი არ დამჭირვებია. მალე მოვედი გონს. თუმცა, უკვე ჩემს თოჯინებს დაესწროთ და შემოეყვანათ. აგერ მწვანე მაისურიანი იჩენს თავს და თავის საჩუქარს უყოფს მას. გაბუსულ ოქროსთმიანს კი თითქოს უფრო კარგი საჩუქარი აქვს ბიჭუნასთვის... ისიც აწვდის თავის წილს. მე კი ვიდექი და ვტიროდი, ტიროდა ჩემი მეუღლეც. თან ორივეს გვიხაროდა, რომ ჩვენი შვილები სათნო ადამიანებად გაგვიზრდია. ჩემმა შვილებმა ის გაიმეორეს, რაც ოდესღაც ჩემმა გამზრდელმა მშობლებმა გააკეთეს. შემოიყვანეს და შეიფარეს. იმ დღისით ჩვენ ყველანი ერთად შემოვუსხედით სადღესასწაულო სუფრას და ერთად გავისროლეთ დიდი, ლამაზი და ფერადი ფეიერვერკები.

ნინო ქოქოლაძე

წერილი წარსულიდან

შინ დაბრუნებული, დაღლილი, შეციებული ბუხარს მიუჯდა გასათბობად და შეამჩნია, რომ სახლში უჩვეულო სიჩუმე იყო. შევიდა სამზარეულოში წყლის დასალევად და მაგიდაზე კონვერტი დაინახა. დაეჭვდა და გახსნა მოინდომა. ხელში აიღო, შენიშნა რომ მოახლის ფუსფუსი აღარ ისმოდა, ბუხართან მივიდა და კონვერტი გახსნა. კითხვა დაიწყო:

„პირველად რომ დაგინახე, თეთრებში იყავი გამოწყობილი, ბედნიერი და გახარებული. შენი ღიმილით ყველას ათბობდი, შეგეძლო ადამიანებისთვის თავი განსაკუთრებულად გეგრძნობინებინა, მესაკუთრე და ამპარტავანი იყავი. სულ შენი უნდა გაგეტანა და ბოდიშს არასდროს იხდიდი. როცა თოთხმეტი წლისანი ვიყავით, გადავწყვიტე დღიური გამეკეთებინა, სადაც შენზე მოგონებებს შევინახავდი... ალბათ, წინასწარ ვგრძნობდი რაღაცას და ვემზადებოდი. უშენობისთვის მზადება ძალზე ადრე დავიწყე, მაგრამ მაინც ვერ შევძელი შენი დავიწყება, გამიჭირდა. თვრამეტი წლის შემდეგ შენი გახსენება თითქმის გამქრალმა ასოებმა მაიძულეს. თვრამეტი წლის წინ მეგონა, რომ ეს უბრალოდ გატაცება იყო და მალევე დამავიწყდებოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მახსოვდი, თურმე სულ მახსოვდი, არასდროს მიქრებოდი გონებიდან. სულ თან დამდევდი. არ მიქრებოდა შენდამი გრძნობა. გეფიცები, წამითაც არ დამვიწყებიხარ. შენი დავიწყება განა არ მინდოდა?! უბრალოდ, ვერ გივიწყებდი...

ყოველთვის მემახსოვრება შენი გამოხედვა. ის წამები. ალბათ, რაც არ უნდა გავაკეთო, ვერაფრით და ვერასდროს შეგცვლი სხვით“...

ამ დროს თითქოს მასაც ნელ-ნელა ახსენდებოდა, თუ ვის შეიძლებოდა ეს დაეწერა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ იხსენებდა.

„..მე დღემდე მხოლოდ შენმა სიყვარულმა მომიყვანა, მაგრამ შეიძლება ამის შესახებ წარმოდგენაც არ გაქვს. როცა თვრამეტის გავხდი, შენ დაგკარგე. კრულ იყოს ის დღე, როცა ეს მოხდა... როცა წყეული მუხრუჭი გაიჭედა და ხრამში გადავიჩეხეთ. მაგ დღის შემდეგ ყოველდღე მოვდიოდი საავადმყოფოში იმის იმედით, რომ კიდევ ერთხელ გამიღიმებდი, მაგრამ ამაოდ. არ შემეძლო შენი ყურება იმ დროს, როცა უმოქმედოდ იყავი, როცა არ შეგეძლო ჩემთვის შენი თბილი ღიმილის ჩუქება. ექიმებმა თქვეს, რომ ვერასოდეს ვერ შეძლებდი ტრავმის გამო წარსულის გახსენებას. სასოწარკვეთილი ვიყავი. არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ თუ დავრჩებოდი, დავიტანჯებოდი. ამიტომ წასვლა ვარჩიე. ძალიან გამიჭირდა შენი დატოვება. ყოველთვის გადევნებდი თვალს. ვხედავდი, თუ როგორ დაიწყე ახალი ცხოვრება, ვხედავდი, როგორი ბედნიერი იყავი სხვასთან. მე კი ჯერაც ვერ ვიპოვე ის, ვინც შენ შეგცვლიდა.

ორი წლის შემდეგ დედაც გარდამეცვალა. ამის შემდეგ ობოლიც შემერქვა. ჩემთვის ძალიან რთული პერიოდი დადგა. დაკარგო ერთადერთი საყრდენი, რომელიც ზურგს გიმაგრებს და წაქცევის საშუალებას არ გაძლევს, ძნელი აღოჩნდა. ყველაფერი გავყიდე, რაც მასთან მაკავშირებდა, მაგრამ ჩემი გონებიდან მის გაქრობას ვერასოდეს ვერ შევძლებ. ვიცი, ამას არ უნდა ვწერდე. ვიცი, ვერ გამიხსენებ, მაგრამ ასე სჯობს. უბრალოდ, მინდა იცოდე, რომ არსებობდა ვიღაც, ვისაც შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე ჰყვარებოდი. შენ შეძელი ჩემთვის სიცოცხლის ძალის მოცემა ისე, რომ ამის შესახებ შენ თვითონ არაფერი იცოდი...

ბოლოს კი, მინდა გითხრა, რომ ვერ გიტან, რადგან გამოჩნდი ჩემს ცხოვრებაში და თავბრუ დამახვიე, თავდაყირა დააყენე ჩემი ცხოვრება და არ მომეცი საშუალება სხვასთან ბედნიერი ვყოფილიყავი. თუმცა, რა შენი ბრალია?! ასე მე თვითონ მოვინდომე. უბრალოდ, იმაში ხარ დამნაშავე, რომ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდი და მერე გაქრი!"

მან გაიხედა თაროზე დადებული სურათისაკენ და გაახსენდა, თუ ვინ იყო იმ სურათზე... რომ ის უბრალოდ სურათი კი არ იყო, ის იყო ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილი იყო მისი ცხოვრების ის პერიოდი, რომელიც მივიწყებული ჰქონდა, მაგრამ ამ წერილმა ყველაფერი შეცვალა – სწორედ ამ წერილმა ამოუტივტივა მოგონებები... ამ წერილმა გაახსენა წარსული და ის ადამიანი, ვინც დაკარგა.

მან წერილის კითხვა განაგრძო: „მინდა გითხრა, რომ ამდენი წლის მანძილზე ბედნიერებისთვის მე ისიც მყოფნიდა, რომ ვიცოდი მოგეცი თავისუფლება და ყოველთვის მიხაროდა, რომ შენ ახლა ძალიან, ძალიან ბედნიერი ხარ.

ახლა კი, როცა ყველაფერი გითხარი, იმედი მაქვს, მეც გავაგრძელებ ცხოვრებას უშენოდ...

იქ... სადღაც სხვაგან, ოდესმე კი დედასთან ერთად ვიქნები"...

გარეთ კი უსაშველოდ ციოდა... ცა იყო თეთრი... ძალიან თეთრი... ნეტა ნუშების თოვლი შენს ფანჯრებთანაც ასეთი ლამაზია?!

ნინი ჭენჭელია

საქართველო

თვალი გავახილე. უკვე მზეც ამოსულიყო. ისევ ისეთი დღე იდგა. უნდა ავმდგარიყავი. ღირდა?! არ ვიცი. თავს ძალა დავატანე და ავდექი. ყოველი დილა ასეთია, ვდგები და ყვავილებს ვუვლი. დღეს რაღაც სხვა გრძნობა დამეუფლა, თან ჩუმი ხმაც ჩამესმოდა. სამწუხაროდ, მალევე მიწყდა... ეს ხმა ბავშვობიდან თან მსდევდა. მხოლოდ ის შემომრჩა დღემდე. ვცოცხლობთ მე და ხმა, განუყრელი მეგობრები. მართალია, ხშირად არ მესმის რას მეუბნება, მაგრამ მაინც მსიამოვნებს განცდა იმისა, რომ მარტო არ ვარ...

ყველა თავის ვარსკვლავზე იბადებაო... ზოგი ბედნიერზე, ზოგიც უბედურზეო – გამიგონია. ჩემი ის ბედნიერი არ აღმოჩნდა, რომელიც ღამის ცას ანათებს. ვარსკვლავი, რომელზეც მე დავიბადე ის შავი ლაქაა, სუფთა, კრიალა ცას რომ ატყვია დაღად. მაგრამ, ფუჭ წუხილს რაღა აზრი აქვს?! დაბადებისთანავე ნაკლი დამყვა. მხოლოდ ერთ თვალში მქონდა ხედვა, მადლობელიც ვიყავი. მერჩივნა, ამ წუთისოფლისთვის, ისევ ცალი თვალით შემეხედა... მშობლები ბავშვობაში გარდამეცვალნენ. მათგან არაფერი დამრჩა, გარდა პატარა ფიცრული სახლის, ყვავილებისა და ლამაზი ბიჭუნას ფოტოსი. არ ვიცოდი ვინ იყო და არც მქონდა ინტერესი. ალბათ, ალბომში ამოჭრეს-ასე ვფიქრობდი მთელი ცხოვრება. ერთადერთი, რაც მაბნევდა ფოტოს უკან წარწერა იყო: „თველო“. რას ნიშნავდა არ ვიცოდი, არც კი გამეგონა და თავსაც არ ვიწუხებდი ზედმეტი ფიქრით. ეს იყო და ეს. ასე დავრჩი მარტო მიყრუებულ მთაში. მხსნელად მხოლოდ ბუნება მევლინებოდა. ეტყობოდა ღმერთს აქ თავისი მადლიანი კალთა დაებერტყა და მეც ყოველდღე მადლობას ვწირავდი...

ზოგადად ასე ხდება, როცა ორთვალიან დედამიწელებს ერთთვალიანად მოევლინები. ამ დროს სიცოცხლე ბეწვის ხიდზე სირბილს ჰგავს. და, თუ კიდევ ობოლი ხარ, ერთადერთი ფოტოთი, რომელიც მშობლებისგან დაგრჩა და ბუნდოვანი გაურკვეელი ხმით, ყურში რომ ჩაგესმის ცოტათი გიჟადაც მიაჩნიხართ... და, უბრალოდ გამჭირვალე ხდები, შეუმჩნეველი, უმნიშვნელო...

ამ აზრს, რომ დედამიწაზე სადაც შვიდი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს მარტო ვარ, დიდი ხანია შევეჩვიე, მეტიც, ეს მარტოობა ისე მეკომფორტურელება, ისე მავსებს, მიხარია კიდეც, რომ „გამჭირვალე ვარ“...

ამ ფიქრებში გართულს დრო გამეპარა და გამოფხიზლებული უცებ ავდექი. ყვავილები მოვრწყე და მიწა გამოვუცვალე. ეზოში ვმუშაობდი. უეცრად ორღობეში მოხუცი მეზობელი გამოვარდა:

– საქარ, გოგო! საქარ!

რამ გაახსენა ჩემი თავი?! გამიკვირდა. პასუხი რომ ვერ მიიღო ეზოში შემოვარდა. დამინახა და ისე შემომხედა, თითქოს დანაშაულს ჩავდიოდი. მზერა მალევე სხვა საგანზე გადაიტანა და მოჰყვა ჩქარ ტიტინს. რაც მე მისი საუბრიდან გავიგე, იყო ის, რომ კოდორის ხეობაში ჩრდილო კავკასიელები გადმოსულან, სოფელ-სოფელ დადიან, ხალხს აწიოკებენ და არავისაც არ ინდობენ. თურმე, მალე „აჟარაშიც“ მოვიდოდნენ. თავად მოხუცი ბარში აპირებდა წასვლას და მეც შემომთავაზა. ბარი?! იქ რა მინდა, დასაკარგავი მაინც აღარაფერი მაქვს. წასვლა რომ ვიუარე ერთი შემომხედა, ამათვალჩამთვალიერა, გაიფიქრა: „ეს გოგო სრულ ჭკუაზე არ არისო“ და უკან სწრაფი ნაბიჯით გაბრუნდა.

უნდა წავსულიყავი?! რატომ?! დღეს თუ ხვალ სიმარტოვით მაინც მოვკვდებოდი, მირჩევნოდა ისევ შეჩვეულ ადგილზე ვყოფილიყავი.

მეზობელი მართალი აღმოჩნდა. ჩვენ სოფელსაც მალევე მოაღწიეს. გავიგე ხმაური, როგორ ძარცვავდნენ

ახლო-მახლო სახლებს. მე შუაგულ ეზოში უშიშრად დავეხეტებოდი. იმედი მქონდა... რისი იმედი არ ვიცი, ან უბრალოდ „ვაი“ ცხოვრების დასრულება მსურდა. ასე იყო თუ ისე, მინდოდა მტერს მედგრად დავხვედროდი. ამ ფიქრში გართული, ხმამ გამომაფხიზლა. ჩემს კარებთან ერთ-ერთმა მათგანმა ჩამოიარა. ეზოში შემოვიდა. იარაღი თავიდანვე მომარჯვებული ჰქონდა. დამინახა. სანამ სახეზე შემომხედავდა, მანამდე ამომიღო მიზანში და უცებ მოხდა რაღაც... მე მას შევხედე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა თითქოს სარკეში ვიყურებოდი. ვიგრძენი, რომ ისიც ფიქრობდა, მაგრამ არაფერს იტყობდა. მისი ლამაზი, ცისფერი თვალი... ის ჩემი თვალი იყო, განგებამ თავიდანვე რომ წამართვა. უცებ კავკასიელმა ნაბიჯი გადმოდგა. უკან დავიხიე, ის კი წინ მოიწევდა. გული მიგრძნობდა, რომ ერთი თვალის დახამხამება და აღარ ვიქნებოდი. გავქრებოდი. არც ჩემი კვალი დარჩებოდა ქვეყანაზე და თან ერთი ცრემლიც არ წამყვებოდა. კავკასიელი ზედმეტად ახლოს იყო. გაქცევას აზრი არ ჰქონდა. თან ხელი ჯიბეში ჩაიყო და რაღაცას ძებნა დაიწყო. ალბათ დანით უნდა მაწამოს. ყველაფერი გავიაზრე... ცხოვრებამ თვალწინ ჩამიარა. ერქვა კი ცხოვრება?! არა... მაგრამ მაინც დამენანა... ყოველი წუთი და წამი დამენანა, რომელიც ფუჭად გავატარე. უცებ, თვალი ამეხილა. გამიხარდა, მაგრამ რაღა მნიშვნელობა ჰქონდა? ახლა ხომ საიქიოსა და სააქაოს გასაყარზე ვიდექი. მგონი, უბრალოდ საჭირო იყო სიკვდილისათვის ორივე თვალით ჩამეხედა. კავკასიელი მიყურებდა და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. რატომაც არა? კიდევ ერთი მსხვერპლი. მან როგორც იქნა იპოვა ის, რასაც ეძებდა. ჯიბიდან ფოტო ამოიღო. ფიქრთა აბლაბუდაში გახლართულმა, ვერ გავიგე რა ხდებოდა. მან ფოტო სახესთან მომიტანა. ის იყო კავკასიელი... ბავშვი ფოტოდან და ის ნამდვილი იყო... არ ვიცოდი

რა გამეკეთებინა და მეც ჩემი ფოტო ვანახე. ეს ინსტიქტი იყო. ყველაფრის მიუხედავად, მაინც მინდოდა სიცოცხლე. მან ქართულად ლაპარაკი დაიწყო სიტყვებს ერთმანეთში ურევდა და წინადადებასაც ვერ აწყობდა:

– საქარ-თულო! მე. შენ. ჩვენ!

ახლა ყველაფერი გავიგე. უეცრად მას ჩავეხუტე და მიხვდი. მივხდი, რომ ის ჩემი ძმა იყო. ლამაზი ბიჭუნა ალბომიდან ჩემი ძმა იყო! თურმე არსებობდა ადამიანი, რომელსაც ვუყვარდი. შორს, მაგრამ მაინც არსებობდა. სწორედ ის იყო უცნაური ხმა, რომელმაც აქამდე მომიყვანა. ბორძიკით, მაგრამ მაინც მომიყვანა. დღევანდელი დღიდან შეგვეძლო ცხოვრება დაგვეწყო, ნამდვილი ცხოვრება. ჩვენი ვარსკვლავები ერთმანეთს გაათბობდნენ და ბნელ ღამეებს გაუნათებდნენ. სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამ ქვეყნად მხოლოდ ფეხი მედგა...

ერთ წამში კი ყველაფერი დაინგრა... სიჩუმე დამბაჩის ხმამ გაარღვია. ტყვია ჯერ ჩემს ძმას, ჩემს დაკარგულ განძს, მოხვდა. ვიგრძენი, როგორ გაიარა მის სხეულში და ზუსტად გულში ჩარჩა. მალევე იყო მეორე გასროლაც. საბედისწერო და დასანანი...

ჩრდილოეთ კავკასიელები უკან მალევე გაბრუნდნენ. მოსახლეობა დაუბრუნდა კარ-მიდამოს. ერთ-ერთმა მეზობელმა და-ძმა იპოვა. ბევრს ეცადნენ, მაგრამ მათი სხეულები ერთმანეთს ვერ დააშორეს. იმავ ეზოში, სახლის წინ დაკრძალეს და მხოლოდ ერთი ღარიბული წარწერა გაუკეთეს: „საქარ-თველო“. მას შემდეგ, რაც ეს ორი სული გამთლიანდა, საფლავზე მუხა ამოვიდა. მისი ფესვები მთელ ქვეყანას შემოერტყა. ეს იყო და ეს... ამ მიწაზე მტარვალს ფეხი აღარ დაუდგამს...

ნიკოლოზ ჩუჩიბუნია

მწვანე წამი

ცხოვრების ზარმა ჩამოჰკრა და აცნობა ყველას ახალი დღის გათენება. მზე თითქოს მხიარულად იმზირებოდა და არც თუ ისე მწარედ იკბინებოდა. ქალაქთან ახლოს ტყე ჩიტების საამურ ჭიკჭიკს აევსო. გარეთ გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა, ღრუბელი ღამენათევივით დაზოზინებდა. დაბლა, მინდორში, ქარი თამაშობდა, ეკეკლუცებოდა: ვარდს, გვირილას, ატმის ხეს შემოუვლიდა... ნარცისზე ნაწყენი იყო და ათასში ერთხელ ჩაუნიავებდა. მდინარე ძალიან ხმაურობდა, ზედმეტადაც კი, მაგრამ მგონი, ეს წყლის დინების ხმაური კი არა, მასში მობანავე გოგო-ბიჭების ხმა იყო.

მთის ქიმზე ვიწექი, უკვე შუადღის ორი საათი იყო, ვიწექი და ვფიქრობდი სიყვარულზე, რომელიც მეწვია. ანგელოზზე, რომელიც ჩემს გულში დაფრინავდა თავისი შავი თმითა და ცისფრად მოელვარე, უამრავი რამის მთქმელი თვალებით. ოცნება სიყვარულის დღესასწაულად მექცა.

ჩემი ფერია ოთხ დაქალს შორის მონავარდობდა. კოპლებიანი კაბა ეცვა, სილამაზეს არაამქვეყნიურად ასხივებდა. მის ცქერაში სამყარო თითქოს წამიერად გაშეშდა. დრომ მოძრაობა შეწყვიტა, ღრუბელმა კისეირნობა. ჩემმა თვალებმა ვერ გაუძლო ამის ყურებას და უნებურად სხვა მხარეს გავიხედე ისე, რომ ვერც მივხვდი რა დამემართა. უცაბედად ვიგრძენი, მხარზე როგორ დამადო ხელი ვიღაცამ. მოვიხედე. მან კი მითხრა: წამოდი! არ გინდა ვითამაშოთ?! მეც ავდექი და გავყევი. ფრენბურთის თამაში დავიწყეთ, ვიღაცებიც მოვიდნენ, ბევრნი ვიყავით. დიდხანს ვითამაშეთ, დავიღალეთ, გავოფლიანდით, ჩამოვსხედით.

უნებურად ზევით ავიხედეთ, დრო თვალსა და ხელს შუა გაპარულიყო, ცას შავი ლაბადა ეცვა, ციცინათელებივით ბრწყინავდნენ სიბნელეში ვარსკვლავები, რომლებიც რატომღაც ფერადად მეჩვენებოდა.

ამ დროს კი ქუთუთოები დავახამხამე და თვალისმომჭრელად მოციალე უკიდეგანო სივრცის ნაცვლად, ჩემი ოთახის ჭერი დავინახე და სიზმრებში ჩაკარგული, წავბარბაცდი.

იცით?! ჩემთვის სიზმარი ძალიან მწარეა, კოშმარზე მწარეც კი. ალბათ, ფიქრობთ, რომ სიზმარში ყოველთვის კარგი რამეები ხდება. ზუსტადაც ამ მოვლენის ქვეშ უფრო დიდ საიდუმლოს გვიმალავს ცხოვრება, რომელსაც ზოგჯერ ადრე, ზოგჯერ კი გვიან გავიაზრებთ. სიზმარი ხანდახან მისი სიკარგის გამოა მწარე, რადგან ზოგჯერ გესიზმრება, რომ ფულში ბანაობ, პეპლებს დასდევ, ყოველი ვარსკვლავთცვენის შემდეგ ათას სურვილს ჩაუთქვამ მთვარეს და ყველა მათგანი გისრულდება, ზოგჯერ ცისარტყელაზე სრიალებ და ღრუბლებს დასდევ, შემდეგ იღვიძებ და ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი გამოგონილი სამყარო იყო. გული გტკივა, რადგან რეალობა ბევრად განსხვავებულია... გწყინს, გტკივა და სევდიანი ხარ. არ გეუბნებით, რომ არ უნდა იოცნებოთ?! სიზმრები კი მართლაც უცნაური, არა?! იცით?! ცხოვრების საჭადრაკო დაფაზე სიზმარი, უბრალოდ, პაიკია. მისი კი არ უნდა შეგეშინდეთ. უნდა მოემზადოთ, ეტლისა ან დედოფლის სვლას როდის შემოგთავაზებთ ცხოვრება. არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მჟავე ლიმონისგანაც შეუძლიათ ტკბილი ლიმონათის გაკეთება, ხოლო როდესაც დაგესიზმრებათ, რომ ძალიან ბევრი ფული გაქვთ, პლანეტებზე მოგზაურობთ, ნუ გეწყინებათ, პირიქით, ადექით და ეს უკან მოიტოვეთ, რადგან რეალობა ნამდვილად ჯერ კიდევ ბევრ საჩუქარს გვიმზადებს. ამიტომ შეეცადეთ, გაიფერადოთ ის!

ცხოვრების ჭადრაკს ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო აქვს. ის ყოველთვის შავი ფიგურებით არ ცდილობს სვლას. არა! ამ დაფის ფიგურები ფერადია: წითელი, ლურჯი, თეთრი, ვარდისფერი. ახლ,ა ალბათ, გაგიკვირდებათ, რასაც გეტყვით. ცხოვრებას ჩემთვის ამ დაფაზე ახლა ყვითელი სიზმრის სვლა კი არ დაუხატავს... არა! ეს სიზმარი არ იყო, ეს სწორედ საიდუმლო ფიგურის სვლა იყო. არ მახსოვს არც გოგო, არც გარემო, არც ის, თუ როგორ გავჩნდი იქ ან როგორ წამოვედი იქიდან, არც ის ვიცი, როგორ ვწერ ახლა ამ სიტყვებს ან საიდან ვიცი, რომ გოგო ვნახე ან, საერთოდ, როგორ დავწერე, როგორი იყო ის? ისიც არ ვიცი, კალამი როგორ ავიღე ხელში. ერთი დიდი უცნაურობაა. მე დაგეხმარებით ამ სვლის ამოცნობაში. ეს იყო უფერო ფიგურა, რომელსაც „კალამი“ დავარქვი. მასზე არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ უფერო და მისტიკურია. ეს სვლა ორმაგი იყო. კალმის ფიგურას ეხმარებოდა დედოფალი, რომელიც ჩემმა ტვინმა მწვანედ შეღება. ეს დედოფალი წამი იყო, მწვანე წამი... სიცოცხლით სავსე, რადგან მან მე სიცოცხლე მაჩუქა, უფრო მეტი მაჩუქა, ვიდრე აქამდე. ჰეი, ადამიანებო! ფრთხილად ითამაშეთ ამ ფიგურების წინააღმდეგ. ყოველ სვლას აზრი დაატანეთ და როცა დედოფალი „მწვანე“ გააკეთებს სვლას, საპასუხოდ ნურაფერს მოიმოქმედებთ. დიდხანს უცქირეთ და ეს მაგიური ქვა თქვენ იმ ადამიანს შეგახვედრებთ, რომელსაც თვალებდახუჭული მიენდობით. გაიცანით, ხალხო, „მწვანე წამი“, რომელსაც შეუძლია ყველა ფერი დაამარცხოს და დღე, საათი ან თუნდაც წუთი გაგიხანგრძლივოთ. ადამიანებო, ნუ იქნებით გულუბრყვილოები! ყველას ნუ ენდობით! არსებობენ გულქვა ადამიანები, მაგრამ... ვერ წარმომიდგენია წვიმიანი ამინდი, რომლის მერეც მზე არ გამობრწყინდება. ყოველ თეთრ ღამეში „შავი“

შტრიხი ზოგჯერ მაინც თავის ადგილს დაიმკვიდრებს. ცხოვრება მარტის თვესავით მატყუარაა, ნებისმიერ დროს შეიძლება მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდეს. ყველას არ ენდოთ! ენდეთ იმას, ვინც ნდობას იმსახურებს და გენდობათ. ვისაც უყვარხართ და გაბედნიერებთ! იცით?! ზოგი გვირილებს ელაპარაკება, ანდობს მათ თავის საიდუმლოებებს, რატომ?! ალბათ, იმიტომ, რომ გვირილებს ოქროს გული აქვთ და უღალატო მეგობრობა იციან. ოქროს გული უბრწყინავთ და ულამაზესი, თეთრი, წრფელი გრძნობებისგან შეკერილი კაბა აცვიათ. ენდეთ იმ ადამიანს, რომელსაც ოქროს გული აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთებს ბევრს ვერ იპოვით.

სიყვარული ის არის, რაც საუკუნეებს გადაურჩა. დრო გადიოდა. ხალხი იხოცებოდა, ყვავილები ამოდიოდა და ჭკნებოდა, მაგრამ სიყვარული იყო და იყო... არსებობდა და არსებობდა... არსად არ მიდიოდა, სულ ჩვენთან რჩებოდა და მაგარი კონიაკივით გვათრობდა და გვატყვევებდა. ჩემი ცხოვრებაც გახვეულია იმ მარადიულ ნათელში, რომელსაც „სიყვარული“ ჰქვია სახელად. ჩემს გულში სიყვარულის ისარია გაყრილი. ისარი, რომელიც კი ყოველ დღე უფრო დიდ ჭრილობას აჩენს ჩემს გულში. ამ სასიამოვნოდ მწარე ჭრილობის ფონზე კი, აზრების აღმაფრენა და გრძნობების აღლუმი, გულს ბაგაბუგს უმატებს.

ცხოვრების ჭადრაკი გრძნობათა სვლას თავისით არ გაგიკეთებს, რადგან მას არა აქვს ის, რასაც „გრძნობის ქვას“ ეძახიან. სიყვარული კიდევ არც ცხოვრებასა და არც არავის არ ემორჩილება ქვეყნიერებაზე. ის გემია, რომელიც უკიდეგანო უსასრულობაში დაცურავს. სამწუხაროდ, ხანდახან ტიტანიკივითაც იძირება ხოლმე და ეს ჩაძირვა მგონია, რომ ნებისმიერისთვის ტრაგიკულია. ჩემთვის სიყვარული არის წითელი?!..

ჩემთვის ის სხვადასხვაფრად შეღებილი ულამაზესი გრძნობაა, რომელიც ხშირად სასწაულ ერთ ფერად გარდაიქმნება ხოლმე. სიცოცხლე სიყვარულის ნაყოფია, რომელიც კვირტივით იშლება და როგორც ნუშების თოვლი, ისიც ასე ლამაზად აფრქვევს სიკეთესა და უცნაურ სილამაზეს.

რუსთაველმა ტარიელს ათქმევინა: „მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე“ და ამ „წამში“ მოაქცია ტარიელის მთელი სიცოცხლე და სამყარო. წამია წუთისოფელი და ნეტავ ეს წამი რა ფერია?! მაინც რა არის ეს „წამი?!“ და მაინც რატომ ვფიქრობ, რომ ეს „წამი“ მაინცდამაინც „მწვანე“ უნდა იყოს?! მინდა მჯეროდეს, რომ „წვანე წამი“ მშვენიერი და უკვდავია. და მუდმივად დამდევს ეს კითხვა: იქნებ მართლა სიყვარულია მარადიული „მწვანე წამი“?!

ანეტა ცანტერაძე

ჩინური ვარდისფერი

ეს ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე, თითქოს უზარმაზარი განტოლებაა, რომელსაც ვერ ამოხსნი ცხრაასი წელი თუ არ იცხოვრე. ადამიანი უნიკალური არსებაა, რადგან უწევს ამ ფასდაუდებელ სამყაროში ცხოვრება. ზოგი ამას ვერც კი აცნობიერებს, ზოგიც დიდი ხნის შემდეგ, თუნდაც, სიცოცხლის ბოლო წამს ხვდება. არავინ იცის, რა გველის მომავალში. შეიძლება ზოგჯერ ისეთმა ადამიანმა გვაქციოს ზურგი, რომ ვერასოდეს წარმოგვედგინოს, ან მოხდეს ისეთი რამ, რამაც შეიძ-ლება გული მოგვიკლას, მიწასთან გაგვასწოროს ან პირიქით, ისეთი ბედნიერი გაგვხადოს, რომ ფრთებიც კი შეგვესხას და ანგელოზად მოგვეჩვენოს საკუთარი თავი.

იცით ცხოვრება ყველაზე კარგი მაშინ არის, როცა შენს გვერდით საყვარელი ადამიანები არიან. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად გიყვარს ისინი. მთავარია, მათ მხარხაჭერასა და სიახლოვეს გრძნობ.

თბილისის წითელ-ყვითელ ქუჩებში დავიარები. შე-მოგდომაა. გამხმარი ფოთლები გრძელ ოქროსფერ თმებზე მეცემა. მერე უცებ სრიალდება და ძირს ეცემა. ვფიქრობ, რამდენი რამ შეიძლება გადახდეს ამ ერთ ფოთოლს სანამ ხიდან ჩამოვარდება. შეიგრძნო გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომაც და ახლა მომსწრე ვარ თუ როგორ მოკვდა, როგორ უცებ ჩამოვარდა ხი-დან. ნეტავ ადამიანებიც ასეთი უსუსურები არიან?!

ცხოვრებამ ბევრი რამ მასწავლა. მასწავლა, რომ სიყვარული არ არსებობს. რატომ?! რომ არსებობდეს, დედაჩემი არ დამტოვებდა უცხო ქვეყანაში მამაჩემთან ერთად. პატარა აღარ ვარ და ვიცი, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ პრობლემა უნდა მოაგვარო და არა გაურკვეველი დატოვო. ჩემთვის ის უფრო რთულია, რომ ორი ეროვნების ვარ, მამა სამხრეთ

კორეელი მყავს, დედა კი ქართველი. მამაჩემმა გამზარდა. რთული პერიოდი გვქონდა, თუმცა ჩემთვის არაფერი არ დაუკლია. ყველა სურვილს მისრულებდა და ყოველთვის სიყვარულით მავსებდა. უდედობას არ მაგრძნობინებდა და არც კი უცდია ჩემთვის დედა შეეძულებინა. ერთხელ ვკითხე:

– მამა, დედა ისევ გიყვარს? – ჯერ გაუკვირდა... შემდეგ შემომხედა და მითხრა:

– რა თქმა უნდა მიყვარს. მან ხომ ანგელოზივით შვილი მაჩუქა შენი სახით, ქალიშვილი, რომელიც ცხოვრებას მიხანგრძლივებს და ერთადერთი მიზეზია იმისა, რომ გავუძლო ამ სასტიკ სამყაროს.

მამაჩემი სახელად ჯიჰო კიმია. ის არის მამაკაცი, რომელმაც თავისი ბედკრული სიცოცხლე თავის სიყვარულსა და ერთადერთ ქალიშვილს, მე, მომიძღვნა. იმისდა მიუხედავად, რომ მძიმე დაავადებითაა სნეული, ყოველთვის მიღიმის და თავის ტკივილს არ მაგრძნობინებს. დედას წასვლის შემდეგ მან ბევრი რამ გადაიტანა. დღისით ყოველთვის ჩემს გვერდით იყო, ღამით კი ცრემლებით ბალიშს ასველებდა. როცა გავიზარდე, შევეცადე რომ მისთვის გამეგო და ტკივილი შემემსუბუქებინა, საბოლოოდ კი, საშინელი რამ მოისმინა ჩემმა ყურებმა.

სკოლას ვამთავრებდი. ბოლო წელი იყო და გამოცდებისთვის ვემზადებოდი. მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა, ვუპასუხე და... მამის ავარიის ამბავი შემატყობინეს. იმ წამს მინდოდა, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე. მე ხომ მის გარდა არავინ გამაჩნდა. ის ხომ ჩემთვის ყველაფერია. საავადმყოფოში რომ მივედი, ის კრიტიკულ მდგომარეობაში დამხვდა. ექიმებმა მითხრეს:

– მამათქვენი ავარიამდე ცუდად გახდა... მას ტვინის კიბო აქვს...ხმას ვერ ვიღებდი. ადგილიდან ვერ ვინძრეოდი, ექიმი კი განაგრძობდა: ავარიამ კი მისი მდგომარეობა გააუარესა და...

– არ მითხრათ – გავაჩერე ექიმი და ბოლო ხმაზე ავღრიალდი: გთხოვთ, ყველაფერი გაუკეთეთ... გადამირჩინეთ... მე...მე მის გარეშე ვერ ვიცოცხლებ.

ვტიროდი, ვყვიროდი და ვითხოვდი მის ნახვას, თუმცა ეს შეუძლებელი იყო. დამამშვიდებლები გამიკეთეს. დავწყნარდი. გავჩუმდი. ძალა მოვიკრიბე და მივხვდი, რომ ტირილით ამ ყველაფერს ვერ მოვაგვარებდი, მე რაღაც უნდა მეღონა მამაჩემის გადასარჩენად.

კარებიდან ვუყურებდი თუ როგორ იყო შეერთებული აპარატზე. მომინდა დრო უკან გადამეხვია და მისთვის უამრავი მადლობა მეთქვა. მეთქვა ის რომ, ყველაზე ძალიან მიყვარს ამ დედამიწაზე. დარწმუნებული ვარ, მამაჩემის ადგილას სხვა კაცი რომ ყოფილიყო, ჩემს ნამდვილ მამაზე მეტს ვერ გამიკეთებდა.

დრო გადიოდა. მამაჩემის მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. მას აპარატის გარეშე სუნთქვაც კი არ შეეძლო. მე კი მხოლოდ ოცი წლის ვიყავი. არ ვიცოდი რა მექნა. უამრავი გადასახადი დამიგროვდა. ამის მიუხედავად, კი მამას მკურნალობა სჭირდებოდა. თუ მას ოპერაციას არ გაუკეთებდნენ, მასთან სამუდამოდ დამშვიდობება მომიწევდა. იძულებული გავხდი, სწავლისთვის თავი დამენებებინა და მუშაობა დამეწყო ფულის შესაგროვებლად. თუმცა, ეს ზღვაში წვეთი იყო. მაგრამ არ დავნებდი და გადავწყვიტე დახმარება იმ ადამიანისთვის მეთხოვა, ვის გამოც მამა ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა. დიახ! დასახმარებლად დედისთვის უნდა მიმემართა... ამიტომაც საქართველოში ჩამოვედი მის მოსაძებნად. აქ მეორედ ვარ, მაგრამ პირველი ჩამოსვლის დროს ორი წლისა ვიყავი და არაფერი მახსოვს.

ქუჩაში დედაჩემს ვეძებდი... ყველა გამვლელს მის ფოტოს ვაჩვენებდი და ბოლოს, ერთმა სათნო მოხუცმა ბებომ ფოტოზე დედაჩემი ამოიცნო და მისი ადგილსამყოფელი მიმასწავლა.

გაგიჩნდებათ კითხვა: თუ რატომ შევარჩიე მოთხრობის სათაურად „ჩინური ვარდისფერი“?! კიმ ტეჰიმ დედისგან ჩინური ვარდისფერი მიიღო. ის უარყვეს.

ჭარიან ცინცაძე

ონლაინ თამაშები და მოზარდები

21-ე საუკუნეში განსაკუთრებით განვითარდა ტექ-ნიკა... ტექნოლოგიური პროგრამები... შექმნილია დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის თამაში, რომლითაც მსოფლიოში ძალიან ბევრი მოზარდი თამაშობს. მაგალითად, ჩემი თაობის მოზარდების ერთ-ერთი გამორჩეულად საყვარელი თამაში არის პუბგ მობილე. ბევრი ბავშვია ისეთი, რომელიც ძალიან დიდ დროს უთმობს ზუსტად ამ თამაშს. ჩემი აზრით, ასეთი ტიპის თამაშები არათუ მნიშვნელოვან დროს ართმევს მოზარდს, არამედ ფსიქიკაზეც დიდ გავლენას ახდენს. ბავშვები აგრესიულები ხდებიან და აღარ ურთიერთობენ ერთმანეთთან. ჩემთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ გარკვეულ თანხასაც რიცხავენ მსგავს თამაშებში. ამ ყველაფრის გამო, მოზარდები აღარ უთმობენ დროს სწავლას, მეცადინეობას, კითხვას. დროის უმეტეს ნაწილს სხედან და ტელეფონში თამაშობენ. ფიზიკური დატვირთვა კი გარკვეულწილად აუცილებელია ჯანმრთელობისთვის. მოზარდობის დრო კი ჩვენი ცხოვრების ის ეტაპია, რომელიც ცოდნის გასაღრმავებლად აქტიურად უნდა გამოვიყენოთ. მესმის ისიც, რომ ამოცანებზე, სხვადასხვა მცნებასა თუ ჰიპოთეზასე, მუდმივად გადართულები ვერ იქნებიან. განტვირთვა და, მათ შორის, თამაშიც აუცილებელია, მაგრამ თამაშსაც გააჩნია. თამაშმა ჯანმრთელობასთან ერთად ფსიქიკაც არ უნდა დაგვიზიანოს. ბევრისთვის დღეს ეს თამაშები ცხოვრების განუყოფელ ნაწილადაა ქცეული და მარტივად გადაჩვევაც შეუძლებელი ხდება... ონლაინ თამაშებმა გონების მოდუნებამდე არ უნდა მიგვიყვანოს. ვგუ-

ლისხმობ ისეთ თამაშებს, როგორებიცაა, მაგალითად, მარტივი ლოგიკა... გამოიცანი გამოსახულება... სხვადასხვა მათემატიკურ ამოცანებზე დაყრდნობით შექმნილია უფრო საინტერესო თამაშები, რაც ჩვენს აზროვნებასა და გონებას უფრო სხარტს გახდის.

და თუ მაინც, ასეთი თამაშები არ იწვევს მოზარდებში დიდ ინტერესს, მათი საყვარელი ონლაინ თამაშებისთვის განკუთვნილი მაინც უნდა იყოს კონკრეტული დრო. მაგალითად, ერთსაათიანი თამაშის შემდეგ პროგრამა აღარ უნდა უშვებდეს ადამიანს სათამაშოდ და... ვფიქრობ, ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, ახალგაზრდამ ონლაინ თამაშების პარალელურად სხვა საინტერესო აქტივობებიც განახორციელოს.

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი იმდენად ერთვება ვირტუალურ სამყაროში, რომ მასზე დამოკიდებული ხდება.

პირადად ჩემთვის, ინტერნეტი ინფორმაციის წყაროა. ამასთანავე, მისი წყალობით შევძელი ახალი მეგობრების შეძენა. თანაც ვფიქრობ, რომ ინტერნეტმა თანამედროვე ცხოვრებაში წიგნების როლიც იკისრა. ამიტომაც, ჩვენ გარეთ, ფაქტობრივად, აღარ გავდივართ და... გარეთ კი ნუშების თოვლი ეფინება დედამიწას.

ნუცა ცნობილაძე

ერთი წუთი

გაზაფხულის ერთი ჩეულებრივი, მშვიდი, მზიანი დღე იდგა. თუმცა, გარეთ მაინც სუსხი იგრძნობოდა და ციოდა. ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქშიც, ჩვეულებისამებრ, სიმშვიდე სუფევდა. ბავშვობის მეგობრებიდან იმ დროს ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ისევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ოდესმე ისევ გაცოცხლდებოდა თითქმის მივიწყებული გრძნობა, სახელად – მეგობრობა. თუმცა ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაივიწყებ. შეიძლება რაღაცა თავიდან ამოგივარდეს ოდესღაც, მაგრამ დავიწყება შეუძლებელია.

გოგონა უნივერსიტეტიდან სახლში ბრუნდებოდა, როდესაც შეამჩნია, რომ მის პირდაპირ ახალი მეზობელი გადმოსულიყო. სახლის წინ ავეჯით დატვირთული დიდი სატვირთო ავტომობილი იდგა. სახლს დაინტერესებული მიუახლოვდა და დაახლოებით თავისი ასაკის გოგონა დაინახა. იმანაც შეამჩნია „ს“ და მიუახლოვდა.

– გამარჯობა! მე ვიოლეტა ვარ. დავინახე რომ მიყურებდი და ამიტომ გადავწყვიტე ახლოს მოვსულიყავი.

– აჰ! ჰო, უკაცრავად... – გამარჯობა! – უხერხულად მიესალმა გოგონას.

უბრალოდ, დამაინტერესა, ვინ გადმოვიდა იმ სახლში, რომელიც წლებია იყიდება. დაახლოებით თოთხმეტი წელია ამ სახლში არავის უცხოვრია. ნამდვილად ცუდად გამომივიდა. არ მინდოდა, ასე შესამჩნევი ვყოფილიყავი. მე ელეონუირი ვარ. სასიამოვნოა შენი გაცნობა .

– არა უშავს. აქ ნაცნობები საერთოდ არ მყავს. ადამიანების გაცნობა კი არც ისე კარგად მეხერხება და, ვფიქრობ, შენ შენი მზერით დამეხმარე, რომ გამოგლაპარაკებოდი.

– ჰო, ალბათ. შეგიძლიათ, საღამოს ჩემთან მოხვიდეთ თქვენ და თქვენი ოჯახი. ერთმანეთს უკეთ გავიცნობდით.

– კარგი, მადლობა დაპატიჟებისთვის, მაგრამ აქ მარტო გადმოვედი. მე მარტო ვცხოვრობ.

– არ აუშავს. მეც მარტო ვცხოვრობ. ასე რომ, გელოდები.

– ელეონუირმა გოგონას გაუღიმა და ქუჩა გადაკვეთა. როდესაც ის სახლის ჭიშკარს მიუახოვდა, უკან მიიხედა, ვიოლეტას შეხედა, ისევ გაუღმა და ხელი დაუქნია.

ის სახლში შევიდა.

ელეონუირიმ სახლში შესვლისთანავე, ის ფოტოები აალაგა, რომელზედაც ის და მისი ბავშვობის მეგობარი იყვნენ გამოსახულები. როცა ყველა ფოტო მოაგროვა, ერთ ყუთში ჩააწყო და თავის ოთახში შეინახა.

მას უმძიმდა იმაზე ფიქრი, რომ „ის“ ისევ ნახა... მაგრამ „მას“ ის აღარ ახსოვდა. აღარც დადებული პირობა ახსოვდა და აღარც ბავშვობის ის ეპიზოდები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებდათ და რამდენი ხანიც არ უნდა გასულიყო, იმ მოგონებებს მაინც დავიწყება არ ეწერა.

საღმო მოახლოებულიყო. ელეონუირი ვიოლეტასთნ შესახვედრად ემზადებოდა. უნდოდა მასაც გაეხსენებინა ყველაფერი, მაგრამ რატომღაც თითქოს ამისი იმედი არ ჰქონდა. კარებზე ვიღაცამ ზარი დარეკა და ელეონუირი კარის გასაღებად წავიდა. კარები გააღო და იქვე მდგომი ვიოლეტა დაინახა ნამცხვრით ხელში.

– იცი, არ ვიცოდი, როგორი ტკბილეული გიყვარდა. ამიტომ ჩემი გემოვნებით შევარჩიე – ვიოლეტამ ღიმილიანი სახით უთხრა გოგონას და ნამცხვარი გაუწოდა.

– არა უშავს... საჭირო არც იყო – გოგონამ სტუმარი სახლში შეუშვა და ორივე მისაღებისკენ წავიდა. გოგონები ბუხრის წინ დასხდნენ და საუბარი დაიწყეს. ისინი თავიანთ წარსულსა და ბედნიერ წუთებს იხსენებდნენ...

ელეონურირს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ ვიოლეტას თავისი ბავშვობა და თავისი მეგობარი გაახსენდებოდა, მაგრამ უშედეგოდ. გოგონა არ იმჩნევდა, თუმცა შინაგანად განადგურებული იყო.

გაზაფხულის პირველი თვის ულამაზესი დღე იყო. პატარა ელეონურირი კარგ ხასიათზე იყო. ის ბაღში იჯდა და თავის საჩუქარს უყურებდა, რომელიც თავისი მეგობრისთვის უნდა ეჩუქებინა. როცა მისი საუკეთესო მეგობარი მასთან მივიდოდა. ეს იყო ის დღე, როდესაც ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. დღე, რომელიც ელეონურის გონებაში მძიმედ დაილექა. ვიოლეტას გონებაში კი თითქმის წაიშალა. ბოლოს კი, ორივეს, სახსოვრად და იმ დროის გასახსენებლად, მხოლოდ ორი ერთნაირი სამაჯური დარჩათ. სამაჯურს არც ერთი არ იხსნიდა ხალიდან.

ახლა ელეონურირი უყურებდა მას, სამაჯურს თვალს არ აშორებდა და ვერ გადაეწყვიტა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გამბედაობა მოიკრიფა და ხმადაბლა უთხრა:

– ლამაზი სამაჯური გიკეთია-ელეონურირმა ვიოლეტას მარცხენა ხელზე თვალით მიანიშნა. თვითონ კი თავისი პერანგის სახელური ჩამოქაჩა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და სამაჯური დამალა.

– გეთანხმები, ძალიან ლამაზია. დიდი ხნის წინ ვიღაცამ მაჩუქა და მას მერე ხელიდან აღარ მომიხსნია. არ მახსოვს ვინ იყო ის, ვინც ეს სამაჯური მაჩუქა, მაგრამ შემიძლია გითხრა, რომ ის ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო – ეს სიტყვები ისეთი ნაღველით წარმოთქვა, რომ იმ წუთას შემეცოდა კიდეც.

– არა უშავს, თუ ის ოდნავ მაინც შენთვის რამეს ნიშნავდა, აუცილებლად გაიხსენებ... დარწმუნებული ვარ – ელეონურირმა ის გაამხნევა და თვალი ჩაუკრა.

– შეიძლება გამახსენდეს კიდეც, მაგრამ არ მინდა, რომ დაგვიანებული აღმოჩნდეს.

– არა უშავს... სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს – ორივნი გაჩუმდნენ. კარგა ხანს ასე ისხდნენ, ბოლოს ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ელეონუირმა ვიოლეტა გააცილა... თვითონ კი ისევ ბუხრის წინ ჩამოჯდა.

– იმედია, მართლა დაგვიანებული არ იქნება – ელეონუირმა თავისთვის ჩაიჩურჩულა და თავისი ანალიზების პასუხი გახსნა. იცოდა, რაც იმაში ეწერა, თუმცა მაინც ნახა. ბოლოს კი უიმედოდ დაყარა დაყარა ფურცლები მაგიდაზე ფურცლები და ხელზე სამაჯურს დახედა.

მშვიდად გადიოდა გაზაფხულის პირველი თვის დღეები. ელეონუირსა და ვიოლეტას საოცრად თბილი ურთიერთობა ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ამ მოკლე დროში. თითქოს მთელი ცხოვრება იცნობდნენ ერთმანეთს. თითქმის ყოველ საღამოს დროს ერთად ატარებდნენ. საუბრობდნენ უამრავ რამეზე. იცინოდნენ და ბედნიერები იყვნენ.

გაზახულის მეორე თვე. უცნაურად მოღრუბლული ცა. ვიოლეტა სახლში კექსს აცხობდა. თითმის ერთი კვირა იყო ერთმანეთი აღარ ენახათ მას და ელეონუირის სხვადასხვა მიზეზთა გამო. ვიოლეტა საღმოსთვის ემზადებოდა. ის ელეონუირის ელოდებოდა. მეგობარენ ერთად დრო გაეტარებინა. ვიოლეტამ ღუმელიდან კექსი გამოიღო. მოულოდნელი ზარი ტელეფონზე.

– გისმენთ.

– უკაცრავად, საავადმყოფოდან გირეკავთ. ვიოლეტა ბრძანდებით?

– დიახ, რა მოხდა?!

– ინდა შეგატყობინოთ, რომ თქვენს მეგობარს თქვენი ნახვა სურს და გვთხოვა თქვენთვის დაგვერეკა.

– რამე სერიოზულია?! რა მოუვიდა ელეონუირის?!

– თუ შეიძლება ქალაქის მთავარ საავადმყოფოში მობრძანდით და აქ აგიხსნით ყველაფერს.

– დიახ, ახლავე წამოვალ. ელეს გადაეცით, რომ მალე მოვალ. ვიოლეტამ ყურმილი დაკიდა, ტელეფონი გათიშა. მანქანის გასაღები და ჩანთა აიღო და სახლიდან გავიდა. გზაში ჩქარობდა, მაგრამ მის თვალწინ მომხდარმა ავარიამ ცოტა ხანს შეაფერხა. საავადმყოფოში დააგვიანდა და სწრაფად შევარდა შენობაში. მიმღებში თავისი მეგობარი იკითხა და როდესაც გაიგო, რომ რეანიმაციაში იწვა, წამებში ზემოთ ავარდა... რეანიმაციის წინ ვიღაცები ქოთქოთებდნენ. ერთ-ერთ ექთანს მივარდა და თავისი მეგობარი იკითხა.

– თქვენ ვიოლეტა ბრძანდებით?!

– დიახ!

– ვწუხვარ, ზუსტად ერთი წუთით დაგაგვიანდათ – ექთნმა მწუხარებით ჩაილაპარაკა. წერილის გადმოცემა დაგიტოვათ და... – ვიოლეტას ბუნდოვნად ესმოდა ექთნის სიტყვები. თვალებიდან ცრემლები წასკდა. ექთანს ძლივს გამოართვა წერილი და შენობიდან გამოვიდა. ნერვიულობისგან და მოულოდნელობისგან ვეღარ სუნთქავდა. ელეონუირი ეზოში სკამზე ჩამოჯდა. წერილი გახსნა.

„ვიოლეტა, პირველ რიგში, ბოდიში მინდა მოგიხადო... ბოდიში იმისთვის, რომ არაფერი გითხარი... მინდოდა ბოლო დღეები ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანთან ერთად გამეტარებინა და არაფერზე არ მეფიქრა. „ის“ მეგობარი ხარ შენ! მეგონა ისე მოვკვდებოდი, რომ ვერასოდეს ვეღარ განახავდი, მაგრამ ჩემი უკანასკნელი სურვილი ახდა და მე შენ განახე. გახსოვს, როცა სამაჯურზე გკითხე?! მინდა იცოდე, რომ ასეთი მეც მაქვს. ეს ის სამაჯურია, რომელიც მე გაჩუქე იმ დღეს, როცა წახვედი... იმ დღეს, როცა შევფიცეთ ერთმანეთს მეგობრობა.

არა უშავს, ვიოლეტა. მე ბედნიერი ვარ იმითაც, რომ განახე... განახე ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთებში.

მხოლოდ იმას გთხოვ, რომ ოდესმე თუ გაგახსენდება ჩვენი ჩანაფიქრის შესახებ, გთხოვ, შემისრულო... ვიცი, რომ არასოდეს დამივიწყებ.

სიყვარულით, შენი ელეონუირი.

ვიოლეტას თვალწინ გაცოცხლდა მოგონებები.

ვერასდროს წარმოიდგენდა ამას ვერც ერთი... მართლაც რომ, წუთია წუთისოფელი.

ვიოლეტა ტიროდა და იმ დღეს თითქოს ბუნებამაც იგრძნო მისი ტკივილი... წვიმდა, ძლიერ წვიმდა და ქალაქი უკუნეთ სიბნელეს მოეცვა.

ლუკა ჭეჭია

დროს ოქროს ფასი აქვს

ადამიანი უხსოვარი დროიდან მიხვდა დროის ფასს. ამას მოწმობს უამრავი ბრძნული გამონათქვამი.

ღრმად მწამს, რომ დროს ოქროს ფასი აქვს და თითქმის ყველაფერს დაიბრუნებ დაკარგული დროის გარდა.

ისმის კითხვა: მაშ, რატომღა ფლანგავენ ადამიანები დროს?! რატომ ჭრიან დროზე ადრე იმ ტოტს, რომელზედაც სხედან?!

ეს ადამიანური გულარხეინობა და ბედოვლათობაა! რაც უფრო გონიერია კაცი, მით უფრო უფრთხილდება დროს. წარმოიდგინეთ, მსოფლიოს გენიალურ პიროვნებებს დროის ფასი რომ არ სცოდნოდათ, მოასწრებდნენ თავიანთი შედევრების შექმნას?! კაცობრიობისთვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევას?! ერთი გენიოსის შემოქმედებას, ალბათ, ერთი ჩვეულებრივი მოკვდავის სიცოცხლე არ ეყოფოდა.

„დრო არის ის, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვინდა, მაგრამ ცუდად ვიყენებთ მას,“ – ასკვნის უილიამ პენი.

დღემეხვალიე ადამიანს ჰგონია, რომ ყოველთვის მოასწრებს იმის გაკეთებას, რაც გადადო. მაგრამ ამასოფლის ბრძენნი ამბობენ, ნუ გადადებ ხვალისთვის იმას, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია. ისინი გულისხმობენ იმას, რომ არავინ უწყის, გაგვითენდება თუ არა ხვალინდელი დღე. ამიტომაც გვარიგებენ: ყოველი დღე ისე უნდა განვლო, როგორც – უკანასკნელი.

კაცობრიობას გაჩენის დღიდან აქვს საიდუმლო, რომელსაც სიკვდილი ჰქვია – ბოლო წერტილი სასრულ მონაკვეთში, ხოლო ეს მონაკვეთი არის უძვირფასესი განძი, რაც ადამიანს გააჩნია. მაგრამ ამ განძის ხარჯვაში ყველა ერთნაირი როდია. ზოგიერთი თავისი ოპტიმიზმით ფიქრობს, რომ ეს დღე სადღაც ძალიან შორსაა, მაგრამ წარსულში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ეურჩებოდნენ ცხოვრების კანონზომიერებასა და მათთვის განკუთვნილ

დროს. იმ დროს, რომელიც მოყვასის სიყვარულში უნდა გაეტარებინათ და რომელსაც, უქმად განლევდნენ ან მიდიოდნენ იმ ჭეშმარიტებით, რომ სიკვდილი არ არსებობს, სული უკვდავია და მორჩილებით, მოყვასის სიყვარულითა და მსახურებით უნდა გალიო წუთისოფელი („სიბრძნე ბალავარისა“).

„გუშინდელი დღე წარსულია, ხვალინდელი დღე ჯერ არ არის დამდგარი. ჩვენ მხოლოდ გვაქვს დღევანდელი დღე. მოდით, დავიწყოთ!“ – გვამხნევებს და გვაფრთხილებს დედა ტერეზა, ამიტომაც ადამიანმა ყმაწვილობაში უნდა აკეთოს ის, რის კეთებასაც ზრდასრული ვერ შეძლებს, ან გულს ვერ დაუდებს: „რიკ-ფაინის დრო გარდუვა, ვეღარ ჩაჰკრავს, ჩაჰბილდების, უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების!“ – გვმოძღვრავს დავით გურამიშვილი.

„დრო ყოველთვის დროზე მოდის, მთავარია, შენ არ დაიგვიანო.“ სტეინბერგის ამ იუმორნარევმა სიბრძნემ გამახსენა პაატა ბურჭულაძის ინტერვიუ, ამ პიროვნებამ მომხიბლა თავისი თავმდაბლობითა და სიბრძნით: ჩემზე არანაკლებ ნიჭიერი მომღერლები მხოლოდ იმიტომ ვერ გახდნენ ჩემსავით წარმატებულები, რომ მე გამიმართლა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე საჭირო ადამიანებს შევხვდი, რომელთაც ხელი შემიწყვეს პროფესიულ სრულყოფაში, – თქვა მან.

ბიბლია, სიბრძნის ეს უშრეტი წყარო, გვასწავლის: „სამყაროში ყველაფერს აქვს თავისი დრო, ყველაფერს სამოთხეში აქვს თავისი საათი. დგება დაბადების დრო და სიკვდილის დრო, თესვის დრო და ამოძირკვის დრო, მკვლელობის დრო და განკურნების დრო, დუმილის დრო და ლაპარაკის დრო, ომის დრო და მშვიდობის დრო.“

ამ საკითხზე მსჯელობისას კვლავ ვუბრუნდებით ზოგადადამიანურ საწყისს, ადამიანის ცხოვრების არსის გააზრებას, რადგან თუ არ არის მიზანი, დროს ქვიშის ფასი ექნება, მაგრამ თუ მიზანია, დროის ფასი შეუდარებელია, ყველაფერს დაიბრუნებ, დაკარგული დროის გარდა.

ანა ხარჩილავა

ჩვენ დავბრუნდებით!

ოდითგანვე ასე იყო: საქართველოს სული და გული გახლდათ აფხაზეთი, სადაც იწერებოდა დიდებული ისტორია ჩვენი ქვეყნისა. იქ იყო აფხაზეთი! მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა ჩვენს უდიდესსა და ულამაზეს სამშობლოში, ღვთის წყალობით, „რძე და თაფლი“ მდინარედ გადმოედინებოდა. ღვთისმოყვარე ქართველებმა და აფხაზებმა კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი და მუდამ ერთიანი ძალებით იბრძოდნენ მომხვდურთა წინააღმდეგ. როგორც ჩანს, აფხაზებს თავიანთი გამორჩეული ადგილი ჰქონიათ მიჩენილი ყველა სხვა ტომთა შირის და ისინი მეფე თამარს ისე ჰყვარებია, როგორც ყველა სხვა. საყოველთაო სიყვარული ჩვენ შორის გრძელდებოდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე, მერე კი... – მერე დაიწყო შფოთი და უნდობლობა, გაღრმავდა და გაიბზარა გული აფხაზეთისა...ის გაღმა მხარეს დარჩა, ჩვენ კი გამოღმა მხარეს ვართ და ერთმანეთისთვის სიყვარულით სავსე სიტყვა ვერ მიგვიწვდენია. დაგვიბნელდა მზე ისტორიისა. ამ იარას კი, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად შეუხორცებელს ხდის დრო.

დადგა ხანგრძლივი პერიოდი გაუცხოებისა, მტრობისა და უნდობლობისა. ქართველებისთვის აფხაზეთი მიუწვდომელი და საოცნებო გახდა. ასეთ დროს ადვილი არ არის დადგე მშვიდობისმყოფელთა პოზიციაზე და დაივიწყო შენი პირადი სიმწარე, წყენა და უსიამოვნებები. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ორი ძლიერად დაკავშირებული მხარე... ისინი, რომლებიც ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი იყვნენ ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ნათესაური კავშირებითა და სხვა ფასეული თუ მნიშვნელოვანი დეტალებით. ერთმანეთის წინააღმდეგ ნებსით თუ უნებლიეთ იარაღი აღმართეს და უსიამოვნებაც გაღვივდა.... აფხაზეთს, რომლის ბუნებაც სამოთხესავით ლამაზია, ბევრი ლექსი და ტკბილი სიტყვა უძღვნეს. ვთვლი, რომ საბრალოა ის ადამიანი,

რომელიც ამ სილამაზის ხილვის გარეშე დატოვებს ამ წუთისოფელს. აქვე არ შემეძლო არ დამეწერა ნაწყვეტი შოთა ნიშნიანიძის გენიალური ლექსიდან- „აფხაზური კანტატა": „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ. მაგ თბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და გავყუჩდები, ლოცვით, მადლობით, აღსრულებით მითრთის ტუჩები..." აქ ნათლად ჩანს ის, თუ როგორი იყო დამოკიდებულება ქართველებსა და აფხაზებს შორის. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენი წელი გავიდა. ფაქტი ერთია, საქართველო აფხაზეთის გარეშე და, პირიქით, აფხაზეთი საქართველოს გარეშე იგივეა ,რაც მდინარე ხიდის გარეშე. თუმცა არის ხიდები, რომლებიც მჭიდროდ არიან გადებულნი აფხაზეთსა და საქართველოს შორის, ამ ერთ-ერთ ხიდს მე ბაგრატ III-ს დავარქმევდი. არცერთ მხარეს არა აქვს იმისი დავიწყების უფლება ,რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე აფხაზეთში, უფრო კონკრეტულად კი, ბედიის მონასტერშია დაკრძალული. ასეთი კავშირები ამ ორ მხარეს ვერასოდეს ვერ დააშორებს, ქართველ ხალხს კი აფხაზეთის დავიწყების უფლებასარ მისცემს.

ომს სიკეთე არც გამარჯვებულისთვის მოაქვს და არც დამარცხებულისთვის. ომში გამარჯვებული არ არსებობს და რაოდენ დასანანია აღქმა იმ საშინელი ტრაგედიისა, ჩვენს ხალხს რომ თავს დაატყდა. აფხაზურ- ქართული კონფლიქტის გადაჭრის სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. პირველ რიგში, მთავარია, ამ საკითხის უსისხლოდ მოგვარება. მთავარია, დიალოგი და სიყვარული... მთავარია, კეთილი ნება და ნაბიჯ-ნაბიჯ მიყოლა... რადგან ამ წუთისოფელში რა არის მარადიული, რომ ეს მტრობა და სიძულვილი მარადიულად და უსასრულოდ გაგრძელდეს?! თანაც ,,ეს წუთისოფელი ცოდვა და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი" (ილია).

ჩვენ კი დავბრუნდებით! ნამდვილად დავბრუნდებით! ჩვენ თუ არა „ისინი" დაბრუნდებიან... ჩვენი შვილები დაბრუნდებიან ან იმათი შვილები დაბრუნდებიან ან იმათი შვილები და მაინც!... ჩვენ დავბრუნდებით!

ნათია ჯანაშია

* * *

ნეტავ ნატვრის თვალი მქონდეს!
ნეტავ ნატვრის თვალი მქონდეს!
რას ვინატრებ სხვას?
საქართველოს დავუბრუნებ
სოხუმსა და ზღვას.
არც გაგრას არც სამაჩაბლოს
არ დავუთმობ სხვას
სიტყვით საქმეს შევასრულებ
ვინც რაც უნდა თქვას.
სიმართლის სანთელს ავუნთებ
ილორსა და ჯვარს,
სულაც ფეხით ავაკითხავ
ჩემს ნიკორწმინდას.
მოვისმენ გალაკტიონის
ომახიან ხმას,
სვეტიცხოველს გადვუკოცნი
უტას მარჯვენას.
კოლხურ კოშკში იას დავკრეფ
ავალ მთაწმინდას,
ილიასთან ცრემლებს დავღვრი
წმიდათაწმიდას.

ლექსებიდან წავიკითხავ
ბაზალეთის ტბას,
ოქროს აკვანში ჩავაწვენ
ოქროს თმიან ყრმას.
საქართველოს გმირებს გავზრდი
დავულოცავ გზას
ნეტავ ნატვრი სთვალი მქონდეს!
რას ვინატრებ სხვას ?
დავუბრუნებ საქართველოს
ნათელ მომავალს!

სარჩევი

დავით აბესაძე – ჭიათურა, №2 საჯარო სკოლა 3
ანი არდია – ამბროლაური, ველევის საჯარო სკოლა 5
ბარბარე აბაშიშვილი – ქარელის №1 საჯარო სკოლა 9
ნინო ბიწაძე – ჭიათურის №2 საჯარო სკოლა 10
თამარ ბოლქვაძე – ბათუმის №1 საჯარო სკოლა 18
ლიზი ბურძგლა – ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა 20
ნინო გელაშვილი – ბორჯომი, სოფელ რველის საჯარო სკოლა 22
თაკო გვაზავა – აბაშის №2 საჯარო სკოლა 23
გიგი მოლაშხია – ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა 26
ანი გიგიბერია – აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა 28
მარიამ გობაძე – წალკა, ავრანლოს საჯარო სკოლა 30
ნინო გუნაშვილი – საგარეჯო, პატარძეულის საჯარო სკოლა 31
ლიკა ებრალიძე – ხელვაჩაური, სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლა 34
ანი ვარადაშვილი – გავაზის საჯარო სკოლა 38
თინათინ ზუკაკიშვილი – საგარეჯო,
პატარძეულის საჯარო სკოლა 41
ანანო ზუმბაძე – ახალციხის №6 საჯარო სკოლა 43
ინოლა ღონღაძე – ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა 47
თამარ კანდელაკი – მცხეთა, ნიჩბისის საჯარო სკოლა 52
ლიზა კახაძე – წალკა, ავრალოს საჯარო სკოლა 56
ნინი კეკელიძე – ჩოხატაური, იანეულის საჯარო სკოლა 59
ლუკა კვასტიანი – ნაგომარის საჯარო სკოლა 65
ალექსი კუბლაშვილი – ტყიბულის №4 საჯარო სკოლა 66
ნინო მაზმიშვილი – ქარელის№1 საჯარო სკოლა 68
ვასიკო მამალაძე – ჩოხატაური, ხევის საჯარო სკოლა 72
გვანცა მამულაიშვილი – ბათუმის №1 საჯარო სკოლა 76
ნანო მარკოზია – ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა 78
მარი მეგრელიშვილი – ჭიათურის №2 საჯაო სკოლა 82
ელენე მოსიძე – ბათუმის №8საჯარო სკოლა 84
ანი მჭედლიშვილი – გარდაბანი, მარტყოფის საჯარო სკოლა ... 85
მარიამ რამიშვილი – ბათუმის №1 საჯარო სკოლა 87
ნია სიმონია – აბაშა, ნოღოხაშის საჯარო სკოლა 90

თამარ ტერიშვილი – სიღნაღი, მაჩხაანის საჯარო სკოლა 96
ლუკა ფუტკარაძე – ხელვაჩაური, ახალსოფლის საჯარო სკოლა .. 97
ნინო ქოქოლაძე – ხელვაჩაური, ახალსოფლის საჯარო სკოლა ... 99
ნინი შენგელია – ქუთაისის №30 საჯარო სკოლა 102
ნიკოლოზი ჩაჩიბაია – ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა 106
ანეტა ცენტერაძე – ჩაქვის №1 საჯარო სკოლა 111
მარიამი ცინცაძე – ჩოხატაური, იანეულის საჯარო სკოლა ... 114
ნუცა ცნობილაძე – ლაგოდეხი, აფენის №1 საჯარო სკოლა .. 116
ლუკა ჭეჟია – ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა 122
ანა ხარჩილავა – აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა 124
ნათია ჯანაშია – აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა 126

რედაქტორი: გ. ჩაფიძე
მხატვრული რედაქტორი: მ. კონიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ლ. გეგეშიძე
ტექნიკური უზრუნველყოფა: ს. ცალანი
კომპიუტერული გრაფიკა: ი. კორძახია

9 789941 825132